სახელმძღვანელო PRO BONO პროგრამის დანერგვის შესახებ

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

სახელმძღვანელო PRO BONO
პროგრამის დანერგვის შესახებ

© 2015 PILnet™ და ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაცია – საირუს რ. ვენსის საერთაშორისო მართლმსაჯულების ცენტრი

თარგმანი შესრულდა შემდეგი ორგანიზაციების მხარდაჭერით

ქართულ რედაქციაზე მუშაობდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და კონსტიტუციის 42-ე მუხლი

ეს ნაშრომი დაიბეჭდა ევროპის საბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით. მასში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და არ არის აუცილებელი ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ მოსაზრებებს.

ISBN 978 9941-9658-4-5

დაიბეჭდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

მადლიერების ნიშნად

საჯარო ინტერესების სამართლის გლობალური ქსელი (PILnet) მადლიერებას გამოხატავს ვენსის ცენტრის მიმართ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებისა და ცვლილების ნებართვისათვის, რისი მიზანიც გახლავთ Pro Bono იურიდიული პრაქტიკის ხელშეწყობა მსოფლიო მასშტაბით.

აღნიშნული ქსელი, ვენსის ცენტრთან ერთად, ძალისხმევას უფასებს Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom LLP-ის სპეციალურ მრჩეველს, **რონალდ ტაბაკს**. მისი დახმარება და რეკომენდაციები ფასდაუდებელი აღმოჩნდა სახელმძღვანელოს როგორც თავდაპირველი, ისე მიმდინარე რედაქციის შემუშავებაში, ცვლილებასა და დანართების კომენტირებაში. თუმცა, გზამკვლევის არც საწყისი და არც წარმოდგენილი რედაქცია ან დანართები ყოველთვის არ გამოხატავს ბ-ნი ტაბაკის ან Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom LLP-ის მოსაზრებებს.

ვენსის ცენტრი ასევე მადლობას უხდის:

იურიდიული ფირმა Carey-ს (ჩილე) თანამშრომელს **ხუან ხოსე ბუშონს,** იმ თავდაუზოგავი და რთული სამუშაოსთვის, რომელიც მან შეასრულა როგორც გზამკვლევის თავდაპირველი ვერსიის რედაქტორმა Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom LLP-ს ნიუ-იორკის ოფისში უცხოელ იურისტად მუშაობისას;

ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაციის ადვოკატთა საქალაქო მართლმსაჯულების ცენტრის Pro Bono ინიციატივების დირექტორს **კეროლ ბოკნერს**, საცნობარო დოკუმენტაციის მოპოვებაში თანამშრომლობისა და გზამკვლევის თავდაპირველი ვერსიის რედაქტირებაში დახმარებისათვის;

ფირმა White & Case-ის „საჯარო ინტერესების“ პროგრამის სტიპენდიატს **ბენჟამინ ბასს,** Pro Bono გზამკვლევის დანართის შემუშავებაში გაწეული დახმარებისთვის (რომელიც გზამკვლევის ძირითად ნაწილში გაერთიანდა);

Simpson Thacher & Bartlett LLP-ის Pro Bono იურისტს **ჰარ-**

ლინ კაცმანს და Mayer Brown-ის დირექტორის მოადგილეს Pro Bono საკითხებში **მარსია ტავარეს მააკს,** ფასდაუდებელი დახმარებისა და რჩევებისათვის Pro Bono გზამკვლევის დანართის შემუშავებისას (რომელიც გზამკვლევის ძირითად ნაწილში გაერთიანდა).

და ბოლოს, PILnet-ი მადლიერებას გამოხატავს საკუთარი თანამშრომლების მიმართ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ გზამკვლევის ამ რედაქციის მომზადებაში. ესენი არიან: **დიმიტრი შაბელნიკოვი**, რუსეთის ფილიალის დირექტორი (მოსკოვი); **მერიენ მაკკიონი**, უფროსი იურისტი სამართლებრივ საკითხებში (ლონდონი); და **ლორნა კრალიკი**, უფროსი იურისტი სამართლებრივ საკითხებში (ბუდაპეშტი).

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის იურიდიული კონსულტაცია ან რაიმე სახის დახმარება. PILnet™, საირუს რ. ვენსის საერთაშორისო მართლმსაჯულების ცენტრი, ადვოკატთა საქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი და სამადლობელო სიტყვაში მოხსენიებული იურიდიული ფირმები არ იღებენ პასუხისმგებლობას ნებისმიერ მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე, რომლებიც რაიმე ფორმით შეიძლება მომდინარეობდეს დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციიდან.

წინამდებარე გამოცემა საყოველთაოდ ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution-Noncommercial-No Derivatives 3.0 Unported License Agreement-ის საფუძველზე (http://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/3.0/legalcode). ამ გამოცემიდან ციტირება და ამონარიდების გავრცელება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ინფორმაციის წყაროდ მიეთითება: საჯარო ინტერესების სამართლის გლობალური ქსელი (PILnet), ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაციის საირუს რ. ვენსის საერთაშორისო მართლმსაჯულების ცენტრი და ადვოკატთა საქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი. PILnet-ისა და ვენსის ცენტრის ერთობლივი წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი ადაპტირება ან თარგმნა.

რედაქტორები:

- ***ირაკლი ყანდაშვილი*** *- ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე.*

- ***ნიკოლოზ ლეგაშვილი -*** *ადვოკატი, ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“.*

PILnet: საჯარო ინტერესების სამართლის გლობალური ქსელი

PILnet-ის (www.pilnet.org) მიზანია საადვოკატო პრაქტიკის გაფართოება მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დასაცავად. PILnet 1997 წელს დაფუძნდა, რათა დახმარებოდა კანონის უზენაესობის გაძლიერებას აღმოსავლეთ ევროპაში. დღეს იგი ხელს უწყობს საჯარო ინტერესებზე მომუშავე ადვოკატთა საქმიანობას, რომელთა რაოდენობაც სულ უფრო იზრდება და რომლებიც ადამიანის უფლებათა დასაცავად მუშაობენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, ასევე, ცენტრალური და ახლო აღმოსავლეთის/ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონებში.

საირუს რ. ვენსის საერთაშორისო მართლმსაჯულების ცენტრი

საირუს რ. ვენსის საერთაშორისო მართლმსაჯულების ცენტრი (www.vancecenter.org), სხვადასხვა ქვეყნიდან ადვოკატთა მოზიდვის გზით, ხელს უწყობს სამართლის გლობალურ განვითარებას სამოქალაქო საზოგადოებისა და ეთიკურად აქტიური იურიდიული პროფესიის მხარდასაჭერად. ვენსის ცენტრი იმ საერთაშორისო იურისტთა თანამშრომლობის უნიკალური მაგალითია, რომელთა საქმიანობაც ინოვაციების კატალიზატორია საჯარო ინტერესების სფეროებში. ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაციის ეს არაკომერციული პროგრამა აერთიანებს მსოფლიოს წამყვან იურიდიულ ფირმებსა და სხვა პარტნიორებს, რომ გახდნენ საერთაშორისო სამართლის ნოვატორულ ინიციატივათა პიონერები, ასევე, სოციალური სამართლის სფეროში

მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების Pro Bono იურიდიული წარმომადგენლები.

ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაცია

ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაცია (NYCBAR) (www.nycbar.org) დაფუძნებიდან (1870 წ.) დიდ ყურადღებას უთმობს ადვოკატებში მაღალეთიკური სტანდარტების დამკვიდრებას, სამართლის სფეროში რეფორმებს და მომსახურებას იურიდიული სფეროსა თუ ფართო საზოგადოებისათვის. ასოციაცია ხელს უწყობს მოსახლეობის დაუცველ ჯგუფებზე მიმართულ პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და ინოვაციურ პროგრამებს. საზოგადოების კეთილდღეობის დაცვა მისი კიდევ ერთი პრიორიტეტია.

ადვოკატთა საქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი

ადვოკატთა საქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი აფილირებულია ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაციასთან. ყოველწლიურად ნიუ-იორკის, დაახლოებით, 20 000 მცირე შემოსავლიანი მოსახლისთვის მართლმსაჯულების ცენტრი უზრუნველყოფს უშუალო იურიდიულ წარმომადგენლობას, სწავლებას, რეკომენდაციებსა და საადვოკატო დახმარებას. ამ ყველაფერს ის ახორციელებს Pro Bono ადვოკატების, საშტატო პერსონალისა და მოხალისეების მეშვეობით. ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაციასთან ურთიერთობის წყალობით, მართლმაჯულების ცენტრი მობილიზაციას უკეთებს ადვოკატებს, იურიდიულ ფირმებს, სხვადასხვა კომპანიის იურიდიულ სამსახურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამართლის სკოლებს, სასამართლოებსა და სამართლის სფეროში მოღვაწე სხვა ინსტიტუციებს, რომ დააკმაყოფილოს მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების იურიდიული საჭიროებები. მათი კლიენტები არიან: ემიგრანტები, უსახლკარო ოჯახები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, პენსიონერები, ონკოლოგიური პაციენტები ან ისინი, ვინც დაამარცხა ეს დაავადება, გაკოტრებული ფიზიკური პირები, დაყადაღებული უძრავი ქონების მესაკუთრეები, ახალდაფუძნებული მცირე მეწარმეები, ვეტერანები და სხვა პირები. მართლმსაჯულების ცე-

ნტრი იწვევს, ამზადებს და რჩევებს აწვდის მოხალისეებს, რათა მათი ურიდიული კონსულტაციებითა და წარმომადგენლობით უზრუნველყონ მოსახლეობა; ცენტრი უსასყიდლოდ უწევს სატელეფონო კონსულტაციას ცხელი ხაზის მეშვეობით და მოხალისე ადვოკატებისთვის არჩევს ისეთ სამოქალაქო საქმეებსა და პროექტებს, რომლებშიც საჭიროა მათი დახმარება.

ნიუ-იორკის შტატი,
ქ. ნიუ-იორკი 10036-6689,
44-ე ვესტ სტრიტი № 42;
ტელ.: + 1 (212) 382-4718;
ფაქსი: + 1 (212) 221-5318
vance@nycbar.orgwww.vancecenter.org

საჯარო ინტერესების სამართლის
გლობალური ქსელი (PILnet)
ნიუ-იორკის შტატი, ქ. ნიუ-იორკი 10005,
უოლ სტრიტი № 120, მე-16 სართული
ტელ: +1 (212) 803 5380
ფაქსი: +1 (212) 803 5381
pilnet@pilnet.orgwww.pilnet.org

სარჩევი

ნაწილი I, შესავალი 12

1.1 კონტექსტი 12

1.2 სახელმძღვანელოს მიზანი 12

1.3 სახელმძღვანელოს შესახებ 13

ნაწილი II, Pro Bono პროგრამის ადმინისტრირება..... 16

2.1 შესავალი 16

2.2 Pro Bono კოორდინატორი 16

2.2.1 Pro Bono კოორდინატორის დანიშვნა..... 16

2.2.2 Pro Bono კოორდინატორის როლი 17

2.2.3 Pro Bono კოორდინატორის მოვალეობები 18

2.3 Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი 20

2.3.1 Pro Bono თავმჯდომარის ან კომიტეტის სტატუსი ... 20

2.3.2 Pro Bono თავმჯდომარის ან კომიტეტის როლი..... 20

2.3.3 Pro Bono პროგრამის თავმჯდომარის ან კომიტეტის პასუხისმგებლობა 21

ნაწილი III, Pro Bono სახელმძღვანელოს შემუშავება..... 24

3.1 შესავალი 24

3.2 ფირმის Pro Bono ამოცანები, ადვოკატის მიზნები/მოლოდინები 25

3.3 Pro Bono სამუშაოს განსაზღვრება..... 26

3.3.1 რით განსხვავდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა Pro Bono იურიდიული სერვისებისგან? 27

3.3.2 მიიჩნევა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა Pro Bono სამუშაოდ?.....30

3.3.3 შეიძლება თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრობა მიიჩნეოდეს Pro Bono სამუშაოდ?.....31

3.4 Pro Bono პროგრამის ადმინისტრირება.....31

3.5. Pro Bono პროგრამის დამტკიცებისთვის აუცილებელი ფინანსური საკითხების გათვალისწინება.....32

3.5.1 თუ ფირმის Pro Bono პროგრამას აქვს ბიუჯეტი, როგორ შეიძლება მისი უკეთესად სტრუქტურირება? 32

3.5.2 არსებობს თუ არა სიტუაციები, როცა გონივრულია Pro Bono კლიენტისთვის საფასურის გადახდის დაკისრება? 38

3.5.3 ხარჯების განაწილება 38

3.5.4 როგორია Pro Bono სამუშაოსთან დაკავშირებული შესაძლო საგადასახადო შედეგები (შეღავათები და ვალდებულებები)? 40

3.6 Pro Bono საქმისწარმოების პროცედურები.....41

3.6.1 ახალი Pro Bono საქმის გახსნა 41

3.6.2 Pro Bono საქმის კონტროლი, ზედამხედველობა და შესაძლო განვითარება 45

3.6.3 მომსახურების სტანდარტი 47

3.6.4 სამუშაო საათების აღრიცხვა 48

3.6.5 კლიენტთა ჯგუფები 49

3.6.6 Pro Bono საქმის დახურვა 49

3.6.7 შეფასება 50

ნაწილი IV, Pro Bono შესაძლებლობები.....51

4.1 ბალანსი იურიდიულ საჭიროებასა და ადვოკატის ინტერესს შორის 51

4.1.1 როგორ განვსაზღვროთ სწორად, არის თუ არა კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია შესაბამის Pro Bono კლიენტი? 54

4.2 Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენა 58

4.2.1 პარტნიორობის შექმნა 59

4.2.2 საკონსულტაციო საბჭოები.....61

4.2.3 Pro Bono კოორდინატორთა ქსელი 61

4.2.4 ფირმის შიდა სისტემები 61

4.2.5 ადვოკატის ან კომერციული კლიენტის Pro Bono შესაძლებლობების გამოვლენა 62

ნაწილი V, Pro Bono სამუშაოს ხელშეწყობა და აღიარება 64

5.1. Pro Bono სამუშაოს ხელშეწყობა 64

5.2 Pro Bono სამუშაოს აღიარება 69

ნაწილი VI, შეფასება.....70

6.1 ადვოკატის Pro Bono სამუშაოს შეფასება 70

6.2 Pro Bono პროგრამის შეფასება.....70

ნაწილი VII, Pro Bono პროგრამის სარგებელი.....73

7.1 იურიდიული დახმარების უკეთესი ხელმისაწვდომობა....73

7.2 ადვოკატების გადამზადება 73

7.3 ადვოკატების მოზიდვა და შენარჩუნება.....74

7.4 Pro Bono პროგრამის მარკეტინგი და საინფორმაციო მხარდაჭერა.....75

7.5 ურთიერთობა გლობალურ იურიდიულ საზოგადოებასთან 76

დანართი A, Pro Bono სახელმძღვანელოს ნიმუში 77

დანართი B, Pro Bono კითხვარის ფორმატი 109

დანართი C, ცალკეული საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული Pro Bono დოკუმენტები 111

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის Pro Bono დეკლარაცია 111

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის Pro Bono დეკლარაცია 117

ჩეხეთის რესპუბლიკა: Pro Bono დეკლარაცია 120

გერმანია: Pro Bono Deutschland e.V - ის წევრების მიერ შემუშავებული Pro Bono განსაზღვრება 122

უნგრეთი: უნგრეთის ადვოკატთა როლი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობაში (PRO BONO PUBLICO) 123

ნიგერია: ნიგერიის ადვოკატთა ასოციაციის Pro Bono დეკლარაცია 125

პოლონეთი: პოლონეთის იურისტები საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის/PRO BONO PUBLICO დეკლარაცია 128

დიდი ბრიტანეთი: Pro Bono იურიდიული სამუშაოს ერთობლივი პროტოკოლი 130

შეერთებული შტატები: ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სამოდელო წესი 6.1 ნებაყოფლობითი Pro Bono მომსახურება 134

შეერთებული შტატები: ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის რეკომენდაცია 121-A [ამონარიდები] 140

შეერთებული შტატები: იურიდიული ფირმის Pro Bono ამოცანები® 142

ნაწილი I

შესავალი

1.1 კონტექსტი

იურიდიულ ფირმებში თანდათანობით სულ უფრო მეტი ადვოკატი ახორციელებს Pro Bono პროექტებს. სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, Pro Bono-ს განსაზღვრებისას შემოვიფარგლებით იმ არსებითად იდენტური განმარტებებით, რომლებსაც იყენებენ Pro Bono ინსტიტუტი (Pro Bono Institute) და ჟურნალი American Lawyer (გავითვალისწინებთ Pro Bono ადვოკატთა ასოციაციის განმარტებებსაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებით, აღწერილს ქვეპუნქტში 4.1.1). ამასთან, ვაცნობიერებთ, რომ საჯარო ინტერესების სფეროში ხშირად აქტივობათა მრავალი სხვა სახეობა მიიჩნევა Pro Bono სამუშაოდ. ამ დოკუმენტში განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

1.2 სახელმძღვანელოს მიზანი

გრძელვადიანი Pro Bono პრაქტიკის დანერგვა ჰგავს ახალი მიმართულებისა თუ განყოფილების განვითარება-ფორმირებას ფირმის მიერ, რადგან ის მოითხოვს ფორმალური სტრუქტურისა და მხარდაჭერის სისტემის მეთოდურ დანერგვას ისე, რომ Pro Bono სამუშაო სრულად ინტეგრირდეს ფირმის საქმიანობაში. ოფიციალური Pro Bono პროგრამის ინსტიტუციონალიზაცია გვეხმარება მაღალხარისხიან და ეფექტიან სამართლებრივ საქმიანობაში, შორს მიმავალი შედეგებით.

Pro Bono პროგრამამ უნდა: შექმნას მექანიზმი, რომელიც ადვოკატებს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ Pro Bono სამუშაოს განხორციელებაში (ან დაბრკოლებების აღქმაში); წაახალისოს ფირმის ადვოკატთა ჩართულობა Pro Bono საქმიანობაში; ნათლად მიუთითოს, რომ ფირმა მხარს უჭერს Pro Bono სისტემის დანერგვას პრაქტიკაში; შექმნას მექანიზმები, რომლებიც გამოავლენს Pro Bono შესაძლებლობებს; და ხელი შეუწყოს ფირმის შიგნით Pro Bono საქმიანობის პროპაგანდას.

კარგად ორგანიზებული Pro Bono პროგრამა აუცილებელია არა მარტო მიმდინარე Pro Bono სამუშაოს კოორდინაციისათვის, არამედ ამგვარი სერვისების გასაუმჯობესებლადაც. Pro Bono სამუშაოს წარმართვის ან/და მასზე კონტროლის მექანიზმების შექმნით, ასევე, ფირმის შიგნით სხვადასხვა სახის Pro Bono საკითხის ექსპერტული ცოდნის გაზრდით, ძლიერ Pro Bono პროგრამას შეუძლია, განუსაზღვრელად გაზარდოს Pro Bono კლიენტთა სამართლებრივი საკითხების სათანადოდ დარეგულირების ალბათობა. ამასთან, კარგად სტრუქტურირებული Pro Bono პროგრამა გვეხმარება ცოდნის ძლიერი ინსტიტუციური ბაზის შექმნაში სხვადასხვა Pro Bono საკითხთან გასამკლავებლად, ასევე, კონსტრუქციული შენიშვნების მიწოდებაში Pro Bono სამუშაოს შემსრულებელი ადვოკატებისთვის. ეს გააუმჯობესებს სამუშაოს ხარისხს, როგორც Pro Bono, ისე ანაზღაურებადი მომსახურების მხრივ.

და ბოლოს, ოფიციალური Pro Bono პროგრამა ფირმის ამგვარ პრაქტიკას აძლევს ქმედითი და ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებას. Pro Bono-ს სფეროში საკუთარი ძალისხმევის ინსტიტუციონალიზაციის გზით, იურიდიული ფირმები დაზოგავენ თავიანთ რესურსებს, ფულსა და დროს და შეძლებენ დიდი შედეგების მიღწევას ნაკლები დანახარჯებით.

1.3 სახელმძღვანელოს შესახებ

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მიერ Pro Bono დეკლარაციის (PBDA) მიღების შემდეგ, ძალიან მალე, 2009 წელს, მის განხორციელებაში ლათინური ამერიკის იურიდიულ ფირმების დასახ-

მარებლად, ვენსის ცენტრმა, Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom LLP-ის (Skadden, Arps) თანამშრომლებთან ერთად, მოამზადა სახელმძღვანელოს თავდაპირველი ვერსია, სახელწოდებით: „*PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელო: თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*“ Skadden, Arps-ის Pro Bono გუნდის მონაწილე პერსონალს დიდი გამოცდილება აქვს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ამგვარი პროგრამის განხორციელების სტრუქტურირება, ასევე, ადვოკატებისთვის აუცილებელი დახმარება ფართო სპექტრის Pro Bono სამუშაოს შესრულებაში. სახელმძღვანელოს შემუშავებაში ფასდაუდებელია ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო ასოციაციისა და ადვოკატთა საქალაქო მართლმსაჯულების ცენტრის წვლილი. თავდაპირველი ვერსიის მომზადებისას ვენსის ცენტრმა შეისწავლა ამ სფეროში არსებული მასალები, მათ შორის, Pro Bono საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოები და ამ თემაზე გამოქვეყნებული სტატიები; ასევე, გაითვალისწინა ფირმების, ადვოკატთა ასოციაციებისა და Pro Bono მომსახურების სხვა ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც აშშ-ში ეწევიან Pro Bono პრაქტიკას.

2011 წელს ვენსის ცენტრმა გამოაქვეყნა სახელმძღვანელოს დანართი სახელწოდებით: *ხშირად დასმული კითხვები; დანართი PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელოსთვის: თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*

2014 წელს PILnet-მა თხოვნით მიმართა ვენსის ცენტრს და Skadden, Arps-ის თანამშრომელს ბ-ნ ტაბაკს, რომ მიეცათ სახელმძღვანელოს გამოყენებისა და მასში ცვლილებების შეტანის ნებართვა. მიზანი გახლდათ იურიდიული ფირმების დახმარება Pro Bono პრაქტიკის განხორციელებაში მსოფლიო მასშტაბით; ასევე ითხოვა გზამკვლევის თარგმნის უფლება იმ ქვეყნების ენებზე, სადაც PILnet აქტიურ პროპაგანდას უწევს Pro Bono პროგრამას. ამ მიზნით, Skadden, Arps-ის თანამშრომელმა ბ-ნ მა ტაბაკმა ხელახლა დაამუშავა თავდაპირველი ვერსია, საბოლოო რედაქცია კი მოამზადა PILnet-მა. გამოყენების გასამარტივებლად, ამ რედაქციაში სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილთან

გაერთიანდა 2011 წლის დანართიც. თუმცა, არც განახლებული ვერსია ასახავს აუცილებლად ბ-ნი ტაბაკის ან Skadden, Arps-ის მოსაზრებებს.

სახელმძღვანელოს შედგება შვიდი ნაწილისაგან. II ნაწილი ეძღვნება Pro Bono პროგრამის ადმინისტრირებას; III აღწერს Pro Bono პოლიტიკის სახელმძღვანელოს შემუშავებას (მისი ნიმუში, შესაბამისი დანართებით, ახლავს ამ სახელმძღვანელოს); IV ასახავს მექანიზმებს, რომელთა დახმარებითაც ფირმებს შეუძლიათ გამოავლინონ Pro Bono პროექტების განხორციელების შესაძლებლობა; V მოგვითხრობს ფირმის შიგნით Pro Bono მუშაობის წახალისებისა და აღიარების საკითხებზე; VI გახლავთ ადვოკატის მიერ შესრულებული Pro Bono სამუშაოსა და უშუალოდ Pro Bono პროგრამის შეფასების გზამკვლევი; VII ნაწილი კი აღწერს იურიდიული ფირმის მიერ Pro Bono პროგრამებით მიღებულ სარგებელს.

ნაწილი II

PRO BONO პროგრამის ადმინისტრირება

2.1 შესავალი

ფირმისათვის Pro Bono პროგრამის შემუშავების პირველი ნაბიჯია გადაწყვეტილების მიღება, თუ ვინ უხელმძღვანელებს პროგრამას; ასევე, ამ პირის/ჯგუფის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გასაზღვრა.

Pro Bono პროგრამის მართვა ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: (1) ყოველდღიური ადმინისტრირება, რაც ჩვეულებრივ, Pro Bono კოორდინატორის პასუხისმგებლობაა; (2) შორს მიმავალი მიზნების დასახვა და ფირმის პროგრამის მიმართულებათა განსაზღვრა, რაზეც ხშირად Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი აგებს პასუხს.

2.2 Pro Bono კოორდინატორი

2.2.1 Pro Bono კოორდინატორის დანიშვნა

გადაწყვეტილებას, ვინ იქნება საუკეთესო კანდიდატი Pro Bono პროგრამის სამართავად, იღებს ფირმის ხელმძღვანელობა. მცირე და საშუალო ფირმებში Pro Bono კოორდინატორი შეიძლება იყოს ფირმის ერთ-ერთი პარტნიორი, ან იურისტი, რომელიც ამ ფუნქციებს ადვოკატის ძირითად სამუშაოსთან შეითავსებს. დიდი ფირმების შემთხვევაში, კოორდინატორად შეიძლება დაინიშნოს იურისტი, რომელიც პასუხისმგებელია მხოლოდ (ან ძირითადად)

პროგრამის მართვაზე. მიუხედავად იმისა, საბოლოოდ ვინ გახდება კოორდინატორი, ფირმა ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ პირს აქვს საკმარისი დრო და რესურსები ამ როლისთვის საჭირო ვალდებულებათა შესასრულებლად. ძალიან დიდ ფირმებში კოორდინატორი შეიძლება იყოს გამოცდილი ადვოკატი, რომელსაც დაეხმარებიან: ერთი ან რამდენიმე იურისტი/ადმინისტრაციული კოორდინატორი ცენტრალიზებული რიგით, ან სხვადასხვა ოფისში Pro Bono პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირები.

2.2.2 Pro Bono კოორდინატორის როლი

(ა) Pro Bono კოორდინატორმა, რომელიც არ არის იურისტი, არ უნდა შეასრულოს მოვალეობები, რომლებიც საჭიროებს იურიდიულ განათლებას (მაგ.: ფირმის ადვოკატთა Pro Bono სამუშაოს სამართლებრივი ასპექტების კონტროლი). მას არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი როლი პროფესიული ეთიკის საკითხთა გამოვლენასა თუ გადაჭრაში;

(ბ) თუ Pro Bono კოორდინატორი ხელმძღვანელობს დამხმარე იურისტებს/ადმინისტრაციულ კოორდინატორებს, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ ამ უკანასკნელთა გამოცდილება და ცოდნა შეესაბამება მათზე დელეგირებულ მოვალეობათა შესასრულებლად საჭირო დონეს და ამ პირებთან ხორციელდება საკმარისი კოორდინაცია. კოორდინირებული/ადმინისტრირებული სამუშაო არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ;

(გ) აუცილებელია, Pro Bono კოორდინატორს, რომელიც არ არის პარტნიორი, შეუზღუდავი წვდომა ჰქონდეს პარტნიორთან (ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ადვოკატთან, რომელიც დიდი ხნის პარტნიორია);

(დ) Pro Bono კოორდინატორის სტატუსის მიუხედავად, შეუზღუდავი უნდა იყოს მისი წვდომა იურიდიული ფირმის ერთ ან რამდენიმე თანამშრომელთან, რომელთაც აქვთ გამოცდილება და პასუხისმგებლობა პროფესიული ეთიკის/პოლიტიკის საკითხებზე. უმეტეს ფირმებში ვხვდებით იურისკონსულტს, რომელთანაც Pro Bono კოორდინატორს უნდა ჰქონდეს მჭიდრო ურთიერთობა.

2.2.3. Pro Bono კოორდინატორის მოვალეობები

როგორც წესი, Pro Bono კოორდინატორის მოვალეობებია:

(ა) *ადმინისტრაციული მენეჯმენტი:* Pro Bono კოორდინატორი პასუხისმგებელია Pro Bono პროგრამის ყოველდღიურ ადმინისტრირებაზე, რაც მოიცავს პროგრამის გახსნას, განხორციელებასა და დახურვას. თუ ფირმაში არსებობს Pro Bono პროგრამის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ამ ამოცანების შესრულებისთვის საჭირო პროცედურებს, კოორდინატორი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული ეტაპის გავლა; მას ასევე ევალება საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების, Pro Bono პროგრამის ნებისმიერი ფორმისა თუ სახელმძღვანელოს ორგანიზება და წარმოება. იგი ვალდებულია, აღრიცხოს შესრულებული Pro Bono საათები, როგორც თითოეულ ადვოკატთან, ისე Pro Bono კლიენტთან დაკავშირებით (იხ. ქვეპუნქტი 3.6.4).

(ბ) *ზედამხედველობა Pro Bono საქმეებზე:* Pro Bono კოორდინატორი ვალდებულია, მკაცრად აკონტროლოს ფირმის ან მისი ადვოკატების მიერ წარმოებული Pro Bono საქმეების სტატუსი, რაც გულისხმობს ასეთი საქმეების მიმდინარე მდგომარეობის ცოდნას. ასეთი ფორმით უზრუნველყოფილია თითოეული Pro Bono სამუშაოს დროულად შესრულება და წამოჭრილი პრობლემების რეგულირება. თითოეული შემთხვევის დეტალების მუდმივად ცოდნისათვის კარგი საშუალებაა ოპერატიული ანგარიშების გამოყენება საქმის მსვლელობის შესახებ, ინფორმაციის პერიოდული განახლებით. Pro Bono კოორდინატორი აგზავნის და განიხილავს ამგვარ ანგარიშებს და მათზე დაყრდნობით მოქმედებს იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც საჭიროებს გადაწყვეტილებათა მიღებას.

(გ)*Pro Bono პროგრამის პერსონალის შეცვლა:* სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, Pro Bono პროგრამის კოორდინატორი ფლობდეს ინფორმაციას შემდეგ მოვლენებზე (Pro Bono პროგრამაზე მომუშავე ადვოკატთა და სხვა თანამშრომელთა შემადგენლობაში ცვლილებების ჩათვლით): ფირმიდან გათავისუფლება, შვებულებაში გასვლა (რაც შესაძლოა მოულოდნელადაც მოხდეს),

ან ფირმის კლიენტისა თუ Pro Bono ჯგუფისთვის მუშაობა დროის გარკვეულ პერიოდში (როცა მოსალოდნელი ინტერესთა კონ-ფლიქტის გამო შეიძლება ვეღარ გაგრძელდეს Pro Bono საქმეზე მუშაობა).

მსგავსი ცვლილებების შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ საუ-ბარია ადვოკატებზე, რომლებიც უკვე რეგისტრირებულნი არი-ან სასამართლო პროცესის მონაწილეებად, ან რომელთაც უკვე ჰქონდათ ურთიერთობა კლიენტებთან, მოწინააღმდეგე მხარის ან სხვა იურისტებთან, ასევე, სასამართლოებთან, ადმინისტრა-ციულ ორგანოებთან და ა.შ. უაღრესად მნიშვნელოვანია ფაქტის გამჟღავნება, იმის მითითებით, ვინ შეცვლის ყოფილ ადვოკატს (მუდმივად ან დროებით). ზოგჯერ, პროგრამის დატოვებისას ან მასში ჩართვისას, თუნდაც დროებით, შეიძლება საჭირო გახდეს სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს და სხვათა ნება-რთვა. Pro Bono კოორდინატორი ვალდებულია, ადგილზე განა-ხორციელოს აუცილებელი პროცედურების გასავლელად საჭი-რო მოქმედებები.

რაც შეეხება Pro Bono პროგრამაზე მომუშავე დამხმარე იუ-რისტების ცვლილებას, კოორდინატორი ვალდებულია უზრუნვე-ლყოს მათი შეუფერხებელი მუშაობა და უწყვეტად გაგრძელდეს Pro Bono საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მონაცემთა ბაზების წარმოება.

(დ) ***ურთიერთობა Pro Bono ორგანიზაციებთან:*** Pro Bono შე-საძლებლობაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, კოორდინატორი ვალდებულია, მუდმივი კონტაქტი იქონიოს ფირმის Pro Bono პა-რტნიორ ორგანიზაციებთან და პერიოდულად აცნობოს მათ ფი-რმის იურისტების მიერ განხორციელებული Pro Bono საქმეების სტატუსი (იხ. ქვეპუნქტი 4.2.1). პროგრამის კოორდინატორი ვა-ლდებულია, დროდადრო თითოეულ ამ ორგანიზაციასთან განი-ხილოს საკითხი, თუ რისი გაუმჯობესება შეიძლება ურთიერთო-ბის რომელიმე ან ორივე მხრიდან. თუ ფირმა გადაწყვეტს, არ შექმნას Pro Bono პარტნიორობა, კოორდინატორმა სხვაგვარად უნდა გამოავლინოს Pro Bono პროგრამაზე მუშაობის შესაძლებ-ლობები, რომლებიც იქნება ფირმის პროგრამის სტრატეგიული მიზნის შესაბამისი.

(ე) *შეტყობინება Pro Bono შესაძლებლობაზე:* კოორდინატორის კიდევ ერთი პასუხისმგებლობაა ფირმის იურისტთა ინფორმირებულობა (ელექტრონული ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა ფორმების მეშვეობით) Pro Bono შესაძლებლობაზე, ასევე, ზოგადად Pro Bono პროგრამის პროპაგანდა ფირმის შიგნით (იხ. პუნქტი 5.1). ამასთან, აუცილებლია თითოეული იურისტის წახალისება Pro Bono საქმიანობების მხარდასაჭერად.

(ვ) *ანგარიშვალდებულება:* Pro Bono პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია, ანგარიში ჩააბაროს ამ პროგრამის ხელმძღვანელს ან კომიტეტს (ანდა სხვა პასუხისმგებელ პირს) Pro Bono პროგრამის სტატუსზე, ასევე, განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე.

2.3 Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი

2.3.1. Pro Bono თავმჯდომარის ან კომიტეტის სტატუსი

ფირმის Pro Bono პროგრამის მიმართულებას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ: მისი სიდიდე, ასევე, კორპორაციული და იერარქიული სტრუქტურა. როგორც წესი, აშშ-ს მსხვილ იურიდიულ ფირმებში Pro Bono პროგრამას კურირებს პარტნიორი (ან ზოგჯერ იურისტი, რომელიც ფირმის დიდი ხნის პარტნიორია). სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ფირმაში იგი პასუხს აგებს Pro Bono პროგრამის ზოგად მიმართულებაზეც. Pro Bono პარტნიორი (ან იურისტი) შეიძლება თავმჯდომარეობდეს Pro Bono კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც არიან Pro Bono კოორდინატორი და შემდეგი პირები (ან ზოგიერთი მათგანი): პარტნიორები, იურისტები და თანამშრომლები სხვადასხვა ოფისიდან. ზოგიერთ ფირმაში ამ მიზნით არსებობს Pro Bono კომიტეტი და არა Pro Bono პარტნიორი (ან იურისტი).

2.3.2 Pro Bono თავმჯდომარის ან კომიტეტის როლი

უაღრესად მნიშვნელოვანია, სულ მცირე, ერთი პარტნიორი მაინც (ან დიდი ხნის პარტნიორი, მოქმედი იურისტი) მონაწილეობდეს პროგრამის მართვაში (ზედამხედველობას მაინც უწევდეს მას). სასურველია, იურიდიული ფირმის რომელიმე მმართველი,

აღმასრულებელი პარტნიორი, ან/და ერთ-ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი Pro Bono პროგრამის შესახებ და ღიად უჭერდნენ მას მხარს.

ქვემოთ აღნიშნულია, რომ კონტროლი Pro Bono პროგრამის განხორციელებაზე უნდა მოიცავდეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებას, რაშიც ფირმის რამდენიმე პარტნიორი მაინც ჩაერთვება (იხ. ქვეპუნქტი 2.3.3). პარტნიორთა მონაწილეობამ Pro Bono პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობასა და სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებაში შეიძლება დადებითი გავლენა იქონიოს, ვინაიდან იურისტებისთვის ეს მკაფიო სიგნალი იქნება, რომ ფირმა მხარს უჭერს და ხელს უწყობს ასეთი პროგრამის მუშაობას (იხ. ქვეპუნქტი 5.1(ა)).

2.3.3 Pro Bono პროგრამის თავმჯდომარის ან კომიტეტის პასუხისმგებლობა

როგორც წესი, Pro Bono პროგრამის ხელმძღვანელის ან კომიტეტის მოვალეობები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

(ა) ***Pro Bono პროგრამის კონტროლი:*** Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც მოიცავს ზედამხედველობას Pro Bono პროგრამის კოორდინატორის მუშაობაზეც.

(ბ) ***Pro Bono სახელმძღვანელოს კონტროლი:*** Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს Pro Bono სახელმძღვანელოს თავდაპირველი ვერსიის შემუშავებაში, პერიოდულად გააანალიზოს მისი შინაარსი, მაშინაც კი, თუ სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილი მომზადებული და რედაქტირებულია Pro Bono კოორდინატორის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იხ. პუნქტი 3.1).

(გ) ***Pro Bono პარტნიორობის განვითარება:*** Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი ვალდებულია, იზრუნოს Pro Bono პარტნიორობის განვითარებაზე და, გარკვეულწილად, გა-

ნიხილოს პოტენციური დამატებითი Pro Bono პარტნიორობის შესაძლებლობებიც (იხ. ქვეპუნქტი 4.2.1). თუ ფირმა მიიღებს გადაწყვეტილებას, არ ჩაერთოს სხვა ორგანიზაციებთან Pro Bono პარტნიორობაში, Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი ვალდებულია, Pro Bono კოორდინატორთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად იმუშაოს Pro Bono შესაძლებლობათა იდენტიფიცირების სხვა მექანიზმის შესაქმნელად.(იხ. ქვეპუნქტი 4.2.2).

(დ) ***ახალი Pro Bono თემატიკის დამტკიცება:*** სასურველია, ფირმაში მოქმედებდეს Pro Bono საკითხების გახსნის, მონიტორინგისა და დახურვის განსაზღვრული წესი (იხ. პუნქტი 3.6). Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი: (ა) Pro Bono კოორდინატორთან ერთად ამტკიცებს ყოველი ახალი საკითხის წამოწყებას, ან (ბ) ეთანხმება პარამეტრებს, რომლებსაც კოორდინატორი იყენებს ახალი საკითხების უმრავლესობის დამტკიცებისას. ამასთან, არასტანდარტულ სიტუაციებში, Pro Bono კოორდინატორი ვალდებულია კონსულტაციები გაიაროს მათთან (ასევე, ფირმის ერთ-ერთ ექსპერტთან პროფესიული ეთიკის საკითხებში, ან იურისკონსულტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იხ. ქვეპუნქტი 3.5.1(ბ)).

(ე) ***Pro Bonoსამუშაოს პროპაგანდა და აღიარება:*** Pro Bono თავმჯდომარის ან კომიტეტის კიდევ ერთი ფუნქციაა, Pro Bono კოორდინატორთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიმუშაოს Pro Bono სამუშაოს წახალისებისა და აღიარების მეთოდები ფირმის შიგნით (იხ. ნაწილი V).

(ვ) ***Pro Bono პროგრამის შეფასება:*** Pro Bono თავმდჯომარე ან კომიტეტი ვალდებულია გააანალიზოს პროგრამების წარმატება თუ წარუმატებლობა; საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს მასში ან მიაწოდოს შესაბამისი რეკომენდაციები (იხ. პუნქტი 6.2).

(ზ) ***გარე მარკეტინგი და საინფორმაციო მხარდაჭერა:*** Pro Bono თავმჯდომარე ან ფირმის შესაბამისი ხელმძღვანე-

ლი პირები ვალდებულნი არიან, განსაზღვრონ ამ პროგრამის გარე მარკეტინგისა და საინფორმაციო მხარდაჭერისთვის საჭირო ღონისძიებები, ან ჩაერთონ ამ პროცესში (იხ. პუნქტი 7.4).

(თ) ***ადმინისტრირება:*** ზოგიერთ ფირმაში Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს Pro Bono პროგრამის რომელიმე ან ყველა ადმინისტრაციული ასპექტის შესრულებაზეც.

ნაწილი III

PRO BONO სახელმძღვანელოს შემუშავება

3.1 შესავალი

Pro Bono პოლიტიკის სახელმძღვანელოს შემუშავება Pro Bono პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტია. მართალია, ასეთი სახელმძღვანელოები სიღრმით და დიაპაზონით განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ზოგადად იგი ასრულებს 4 ფუნქციას. კერძოდ, განსაზღვრავს:

ა) Pro Bono სამუშაოს, ასევე, რომელი Pro Bono პროექტის განხორციელება შეიძლება ითავოს ფირმამ ან მისმა ადვოკატებმა;

ბ) ფირმის Pro Bono ამოცანებს;

გ) ფირმის Pro Bono პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებს;

დ) და ბოლოს, სულ მცირე, მაღალი დონის პროცედურებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს Pro Bono პროგრამასთან მიმართებით (ფირმას შეუძლია ჰქონდეს Pro Bono პროგრამის წესებისა და პროცედურების ამსახველი დეტალური დოკუმენტიც, რომელიც გაერთიანდება ფირმის საერთო წესებსა და პროცედურებთან).

პირველ რიგში, ფირმამ უნდა განსაზღვროს, ვინ შეიმუშავებს და დაამტკიცებს Pro Bono სახელმძღვანელოს თავდაპირველ ვარიანტს. ვინაიდან სახელმძღვანელო განსაზღვრავს ფირმის ოფიციალურ პოზიციას Pro Bono-ს მიმართ, სასურველია, წინა-

აბზაცში აღნიშნული პირველი სამი ასპექტი დაამტკიცოს ფირმის აღმასრულებელმა ან მმართველმა პარტნიორმა და განიხილონ ფირმის პარტნიორებთან ერთად. ამ პროცესში, ასევე, Pro Bono პროგრამის წესებისა და პროცედურების დეტალურ ანალიზში მონაწილეობს Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი. ხშირად ასეთ დოკუმენტს მნიშვნელოვანწილად ან მთლიანად ადგენენ Pro Bono კოორდინატორთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (იხ. ქვეპუნქტი 2.3.3(ბ)).

დანართში A მოცემულია Pro Bono სახელმძღვანელოს ნიმუში („Pro Bono სახელმძღვანელოს ნიმუში“), რომელიც მოიცავს აშშ-ს მსხვილი ფირმების სახელმძღვანელოებში ხშირად გამოყენებულ სტანდარტულ ფორმულირებებს. Pro Bono სახელმძღვანელოს ნიმუში შედგენილია იმგვარად, რომ ნებისმიერმა ფირმამ ადვილად შეძლოს მისი ადაპტირება.

3.2 ფირმის Pro Bono ამოცანები, ადვოკატის მიზნები/მოლოდინები

Pro Bono სახელმძღვანელოს შესავალში მოცემულია ფირმის Pro Bono პრაქტიკის ამოცანები. ძირითადად იგი მოიცავს განაცხადს, რომ ფირმა მხარს უჭერს და წაახალისებს საკუთარი იურისტების მონაწილეობას Pro Bono პროგრამაში.

ამ ნაწილში, ჩვეულებრივ, აღწერილია ფირმის Pro Bono სამუშაოს ძირითადი მიზნები ან მოლოდინები. მიზნები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: Pro Bono პროგრამაზე მუშაობის საათების ყოველწლიური მინიმალური ოდენობა ერთი ადვოკატის ან მთლიანად ფირმისთვის; Pro Bono საათების პროცენტული ოდენობა ადვოკატის ანაზღაურებად დროში; იმ ადვოკატთა პროცენტული ან რიცხვობრივი ოდენობა, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ გარკვეული მინიმალური ოდენობის Pro Bono საათებს.

ადვოკატები არ არიან იურიდიული ფირმის ერთადერთი თანამშრომლები, რომელთაც შეუძლიათ Pro Bono სერვისების მიწოდება. მათ დამხმარეებს, საქმისმწარმოებლებს, მდივნებს, საზაფხულო სტაჟიორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს ასევე

მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სამუშაოში. ისინი ხშირად დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან Pro Bono პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობას.

3.3 Pro Bono სამუშაოს განსაზღვრება

Pro Bono სახელმძღვანელოს ეს ნაწილი განსაზღვრავს: იურიდიული სერვისების ტიპებს და სახეებს, რომლებიც ფირმამ შეიძლება განიხილოს Pro Bono მომსახურებად; ასევე, კლიენტთა კატეგორიებს, რომლებიც აკმაყოფილებენ Pro Bono დახმარებისთვის საჭირო მოთხოვნებს. ზოგიერთი ფირმა ცალკეულ სამუშაოს, რომელიც არ შეესაბამება Pro Bono ინსტიტუტისა და American Lawyer-ის მიერ გამოყენებულ საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრებას, შიდა ორგანიზაციული მიზნებისთვის აკრავს Pro Bono-ს იარლიყს. სხვა ფირმებს შეუძლიათ უსასყიდლოდ შეასრულონ იურიდიული სამუშაო, იმის მიუხედავად, შეესაბამება თუ არა იგი საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრებას. მსგავს შემთხვევებში, ფირმამ სახელმძღვანელოში ნათლად უნდა განმარტოს Pro Bono სამუშაო, რომელსაც მოიცავს ეს განსაზღვრება. თუ ფირმა დაუშვებს რაიმე დამატებითი სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულების შესაძლებლობას, მაშინ ზედმიწევნით ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ფირმის გარეთ ის არ მოიხსენიონ „Pro Bono სამუშაოდ“. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როცა რაიმე სამუშაო ფირმის შიგნით, გარკვეული მიზნებისთვის, ითვლება Pro Bono სამუშაოდ. სახელმძღვანელოს მიზნებისთვის კი ტერმინს Pro Bono გამოვიყენებთ Pro Bono ინსტიტუტისა და ჟურნალ American Lawyer-ის მიერ განსაზღვრული ან უფრო ვიწრო მნიშვნელობით.

ფირმაში მიღებული Pro Bono იურიდიული სერვისების კონცეფცია შეიძლება მოიცავდეს ისეთ უსასყიდლო იურიდიულ მომსახურებებს, რომლებიც: გაეწევა შეჭირვებულ მოსახლეობას, ან ძირითადად მათ სასარგებლოდ მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს; ასევე, მიემართება საჯარო ინტერესების საკითხებსა (მაგ.: სამოქალაქო უფლებები, რომელთა წამოყენებაც ალბათ ვერ მოხერხდებოდა უსასყიდლო იურიდიული დახმარების გარეშე) და მარგინალიზებული ჯგუფების სახელით წარმოებულ

საქმეებს. კონცეფცია შეიძლება მოიცავდეს უსასყიდლო იურიდიულ მომსახურებას იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო არ არის შეჭირვებულთა დახმარება, მაგრამ მათი მასშტაბი იმდენად მცირეა, რომ ვერ ახერხებენ ფასიანი იურიდიული მომსახურების მიღებას.

იმისათვის, რომ ადვოკატებმა კარგად გაიაზრონ Pro Bono პროგრამის მასშტაბები, ფირმამ უნდა განსაზღვროს, რომელი სამუშაო მიიჩნევა Pro Bono მომსახურებად და რომელი არა. მაგალითად, Pro Bono არ უნდა მოიცავდეს შემდეგ შემთხვევებს: იურიდიული მომსახურება ფასდაკლებით; დახმარება, რომელსაც არ აქვს კავშირი მართლმსაჯულებასთან; ლექციების კითხვა, ასევე, წიგნებისა და სტატიების გამოცემა საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება Pro Bono განსაზღვრების შესაბამის სამართლებრივ საკითხებს; უსასყიდლო იურიდიული მომსახურება მეგობრებისა და ნათესავებისთვის (უკიდურეს შემთხვევაში, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან შეჭირვებულ ფენას). საქმიანობის ამ სახეობათაგან ბევრი სასურველია და საზოგადოებრივად სასარგებლოც, მაგრამ მაინც დაუშვებელია მათი Pro Bono სამუშაოდ კვალიფიცირება.

3.3.1 რით განსხვავდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა Pro Bono იურიდიული სერვისებისგან?

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს Pro Bono ტერმინის განსაზღვრება. მისი სრული და ღრმა გააზრების გარეშე, იურიდიული ფირმა ვერ შეძლებს ისეთი Pro Bono პროგრამის ინსტიტუციონალიზებას, რომელიც დაეხმარება საკუთარი Pro Bono მიზნების ეფექტიანად და სრულფასოვნად მიღწევაში.

პირველ რიგში, Pro Bono პროფესიული მოვალეობაა, გამომდინარე ადვოკატის როლიდან საზოგადოებაში და მართლმსაჯულებაზე მისი წვდომის პრივილეგიიდან. ეს მოვალეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ხარვეზების აღმოფხვრისათვის, რომლებიც აბრკოლებს ფასიანი ადვოკატის დაქირავებას საზოგადოების შეჭირვებული ფენისა და მათ სასარგებლოდ მომუშავე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ. იგი ასევე უაღრესად

საგულისხმოა საჯარო ინტერესების იმ სფეროებში, სადაც იურიდიულ წარმომადგენლობაზე წვდომა შეუძლებელი იქნებოდა Pro Bono ადვოკატის გარეშე.

Pro Bono იურიდიული სამუშაო უმნიშვნელოვანესია ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, თუმცა განსხვავდება არასამართლებრივი ნებაყოფლობითი სამუშაოსგან და სხვა სახის ქველმოქმედებისგან. Pro Bono იურიდიული სამუშაო გვეხმარება, რომ (ა) შევავსოთ სიცარიელე მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენების იურიდიულ საჭიროებებსა და იურისტთა მომსახურების შესაძლებლობებს შორის; (ბ) გადავჭრათ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სხვა პრობლემები (მაგ.: როდესაც არაკომერციულ ორგანიზაციებს ან ცალკეულ ჯგუფებს არ შეუძლიათ იურიდიული მომსახურების საფასურის გადახდა). ფირმაში Pro Bono სამუშაოს სტრუქტურის ორგანიზებისას მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პროგრამის ფარგლებში გაწეული იურიდიული მომსახურება და ნებაყოფლობითი საქმიანობა და ქველმოქმედების სხვა ფორმები (მაშინაც კი, როცა Pro Bono სამუშაოს და მოხალისე საქმიანობას ერთი და იგივე ადამიანი უწევს კოორდინირებას). ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც შესაძლებელია ქველმოქმედებისა და Pro Bono საქმიანობის სტრუქტურული თანაარსებობა, არის ბიუჯეტის დაგეგმვა (ბიუჯეტირება).

ბიზნეს ტენდენციები და გლობალიზაცია ხელს უწყობს ინტერესის მუდმივ ზრდას „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის“ მიმართ. ეს პასუხისმგებლობა კორპორაციული თვითრეგულირების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დახმარებითაც კომპანიები პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთი საქმიანობის გავლენაზე პარტნიორების, ასევე, საზოგადოებრივი სფეროების სხვა წევრების მიმართ. კლიენტები და მომხმარებლები პროფესიონალური სერვისკომპანიებიდან და ორგანიზაციებიდან სულ უფრო ხშირად ითხოვენ ისეთ საზოგადოებრივ საქმიანობას, რომელიც სარგებელს მოუტანს არა მარტო მომხმარებლებს, არამედ თანამშრომლებს, გარემოსა და, ზოგადად, საზოგადოებას. ვინაიდან, კორპორაციული კლიენტები ხშირად ეძებენ „სოციალურად პასუხისმგებელ“ იურიდიულ ფირმებს, (ა) სამართლებრივ გარე-

მოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და (ბ) Pro Bono იურიდიული სერვისების ცნებამ შეიძლება გაუგებრობა წარმოშვას. ზოგიერთ შემთხვევაში, დამატებითი ფაქტორია ის, რომ იურიდიული ფირმის „სოციალური პასუხისმგებლობის“ შეფასებისას, კორპორაციულ კლიენტს შეუძლია გაითვალისწინოს კომპანიაში Pro Bono პროგრამის არსებობაც.

აუცილებელია, თითოეულ იურიდიულ ფირმაში გაავლონ მკაფიო ზღვარი საქველმოქმედო შემოწირულობებს, მოხალისე სამუშაოს, სოციალურად საპასუხისმგებლო საქმიან პრაქტიკასა და Pro Bono იურიდიულ სერვისებს შორის. პირველ სამს შორის Pro Bono საქმიანობისგან ყველაზე მარტივად გასამიჯნია საქველმოქმედო შემოწირულობები - ეს არის ფინანსური სახსრების პირდაპირი ინვესტიცია საქველმოქმედო, არაკომერციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ეკლესიებსა და სხვა სტრუქტურებში. ზოგიერთი მსგავსი შემოწირულობა შეიძლება ხელს უწყობდეს ან ეხმარებოდეს ამ ორგანიზაციებს ღარიბი ან მარგინალიზებული პირების, ჯგუფებისა თუ თემების მომსახურებაში (რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცავს იურიდიულ სერვისებს), თუმცა თვითონ შემოწირულობის გაღება ვერ კვალიფიცირდება Pro Bono სამუშაოდ. ამასთან, ადვოკატი ან იურიდიული ფირმა, ამგვარი ორგანიზაციებისთვის შემოწირულობათა გაღებით, არ ასრულებს თავის Pro Bono ამოცანას, მისი ბენეფიციარებისა და საბოლოო მიზნების მიუხედავად. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქვემოთ არის მითითებული 4.2.1 ქვეპუნქტში, იურიდიულმა ფირმებმა უნდა დაგეგმონ იმ ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც მიიჩნევიან Pro Bono საქმიანობის წყაროდ (და მომავალში ხშირად ჩაერთვებიან მასში).

საზოგადოებისთვის სასარგებლო სამსახური ან მოხალისეობა ასევე განსხვავდება Pro Bono იურიდიული სერვისებისგან. საზოგადოებისთვის სასარგებლო სამსახური მოიცავს შეჭირვებულთათვის ნივთების შეგროვებას და მათ სოციალურ (მაგრამ არა იურიდიულ) მომსახურებას. სხვა საკითხებთან ერთად, ეს შეიძლება იყოს პროდუქტების ან ტანსაცმლის დარიგება, სისხლის ჩაბარება (ან ნებისმიერი სახის მატერიალური რესურსების შე-

გროვება დაუცველი ფენისთვის), სკოლების შეღებვა, სკვერების ნაგვისგან გაწმენდა და ა.შ.

საზოგადოებისთვის სასარგებლო სამსახური მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილდღეობისთვის; ის ეხმარება ურთიერთობის შენებასა და გამყარებას კლიენტებსა თუ უფრო ფართო წრეებთან. მოხალისე სამუშაო, იურისტებსა და თემის სხვა წევრთა შორის ფორმალობისა და Pro Bono იურიდიული სამუშაოსთვის საჭირო სპეციალიზაციის გარეშე, ღია თანამშრომლობის კარგი საშუალებაა. ის შეიძლება უაღრესად ეფექტიანი აღმოჩნდეს გუნდური მუშაობის პრაქტიკის მისაღებად (ე.წ. teambulding). ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო მოხალისეობა არ მიიჩნევა Pro Bono სამუშაოდ, იგი რჩება მნიშვნელოვანი გამოცდილების წყაროდ, როგორც იურისტების, ასევე ფირმისთვის. იურიდიული ფირმების ეკოლოგიური ინიციატივები (მაგ.: მაკულატურის, ფიჭური ტელეფონების ან პლასტიკატის გადამუშავების პროგრამები) ასევე არ გახლავთPro Bono სამუშაო.

3.3.2 მიიჩნევა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა Pro Bono სამუშაოდ?

ყოველთვის არა. იურიდიულ ფირმებს შორის არ არსებობს შეთანხმება, უნდა ჩაითვალოს თუ არა ამგვარი საქმიანობის კონკრეტული სახეობები იურისტთა Pro Bono სამუშაო საათებში. იმის განსაზღვრისას, რამდენად არის კონკრეტული პროექტი Pro Bono, იურიდიულმა ფირმამ უნდა გაითვალისწინოს როგორც პროექტის მიზანი, ასევე მისი განხორციელებისთვის საჭირო იურიდიული უნარ-ჩვევები. რაც მეტია ამ უნარ-ჩვევების საჭიროება, მით მაღალია ამგვარი პროექტის Pro Bono-დ კვალიფიცირების ალბათობა.

კარგი მაგალითია საშუალო სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეთა მენტორინგისა და იმ საგანმანათლებლო პროგრამების შედარება, რომლებიც იურისტებს უვითარებს კონკრეტული Pro Bono საქმის წარმოებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. მოსწავლეთა მენტორინგი ან ინდივიდუალური მეცადინეობები არ უნდა

ჩაითვალოს Pro Bono სამუშაოდ, რადგან ისინი არ მოიცავს იურიდიულ სერვისებს. როცა არ არსებობს იურიდიული უნარ-ჩვევების ან ცოდნის საჭიროება, პროექტი უნდა კვალიფიცირდეს მოხალისე საქმიანობად.

3.3.3 შეიძლება თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრობა მიიჩნეოდეს Pro Bono სამუშაოდ?

დირექტორთა საბჭოში მუშაობა არ კვალიფიცირდება Pro Bono სამუშაოდ, თუმცა იგი Pro Bono კულტურის ფორმირების, ასევე, საკონსულტაციო ცენტრის - clearinghouse (თუ არასამთავრებო ორგანიზაცია საკონსულტაციო ცენტრია) - სასიცოცხლო როლის გამყარების საგულისხმო ასპექტია Pro Bono ჯაჭვში. ძალიან მნიშვნელოვანია, არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრ იურისტს განემარტოს, როდის უწევს იგი ორგანიზაციას საადვოკატო მომსახურებას. ზოგიერთი იურიდიული ფირმა საერთოდ არ იძლევა იურიდიული მომსახურების ნებართვას იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომელთა დირექტორთა საბჭოშიც წარმოდგენილი არიან ფირმის იურისტები. ფირმებმა, რომლებიც იძლევიან ასეთ ნებართვას, უნდა გაითვალისწინონ ეთიკური მოსაზრებები კონკრეტული გარემოებების განხილვის შედეგად.

3.4 Pro Bono პროგრამის ადმინისტრირება

Pro Bono პროგრამის სახელმძღვანელოს ეს განყოფილება ადგენს, ვინ უნდა განახორციელოს ფირმის Pro Bono პროგრამის ადმინისტრირება; ასევე, განსაზღვრავს პროგრამაში სხვადასხვა როლის შემსრულებელთა, მათ შორის, Pro Bono კოორდინატორის, Pro Bono თავმჯდომარის და Pro Bono კომიტეტის მოვალეობებს. პროგრამის ადმინისტრირება მოიცავს Pro Bono პროექტების ზოგად კოორდინაციასა და მართვას, როგორც წესი, Pro Bono კოორდინატორის ან კომიტეტის მხრიდან. Pro Bono პროგრამის კოორდინატორის, თავმჯდომარის ან კომიტეტის პოზიციები, კვალიფიკაცია და მოვალეობები იხილეთ სახელმძღვანელოს II ნაწილში.

3.5 Pro Bono პროგრამის დამტკიცებისთვის აუცილებელი ფინანსური საკითხების გათვალისწინება[1]

3.5.1 თუ ფირმის Pro Bono პროგრამას აქვს ბიუჯეტი, როგორ შეიძლება მისი უკეთესად სტრუქტურირება?

ყველა Pro Bono პროგრამა უკავშირდება განსაზღვრულ ხარჯებსა და დანახარჯებს, რომლებიც მოიცავს ფირმის როგორც შიდა, ისე გარე ხარჯებს. პირველი აერთიანებს სტანდარტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მაგ.: ასლების გადაღება, სატელეფონო კავშირი, ფოსტა, ტრანსპორტი და კურიერის მომსახურება); მეორე კი - არასტანდარტულ ხარჯებს (მაგ.:საბუთების შეტანის მოსაკრებელი, ან ექსპერტიზისა და გამოძიების ხარჯები). ფირმები შეიძლება განსხვავებული პოლიტიკით არეგულირებდნენ ამგვარი დანახარჯების განაწილებას იურიდიულ ფირმასა და Pro Bono კლიენტებს შორის. ამ წესებს განვიხილავთ ქვემოთ.

ასეთი პოლიტიკის მიუხედავად, Pro Bono პროექტის ხარჯებსა და დანახარჯებზე ბიუჯეტის ფორმირება, მრავალი ფირმის აზრით, მნიშვნელოვანი ასპექტია Pro Bono სამუშაოს ინსტიტუციონალიზაციისა და Pro Bono პროგრამის მდგრადი განვითარებისათვის ფირმის შიგნით. ფირმები, რომლებიც ადგენენ Pro Bono პროგრამის ბიუჯეტს, მიიჩნევენ, რომ ამით ქმნიან შესაძლებლობას, შეუფერხებლად გადავიდნენ სრულად ინტეგრირებულ Pro Bono პრაქტიკაზე (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფირმა, რომელიც წარმატებით ახორციელებს Pro Bono პროგრამას, არ ადგენს ცალკე ბიუჯეტს. მათი აზრით, ეს პროგრამას მეტი მოქნილობის საშუალებას აძლევს).

ნათელი პოლიტიკა Pro Bono ბიუჯეტთან დაკავშირებით მესიჯია ფირმის Pro Bono ამოცანების შესახებ, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მთელი ფირმის მასშტაბით Pro Bono კულტურის განვითარებისთვის. მართალია, ბიუჯეტის გამოყენება შესაძლებელია ფირმის Pro Bono სამუშაოში მონაწილეობის მას-

[1] ადაპტირებულია დოკუმენტიდან *ხშირად დასმული კითხვები: A დანართი PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელოსთვის: თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*

შტაბის საკონტროლოდ, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს მის ჩართულობას კომპლექსურ საქმეებში, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვნად დადებითი სოციალური ეფექტი ჰქონდეს და რომლებშიც ფირმას შუძლია მონაწილეობა სხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე.

ამასთან, Pro Bono ბიუჯეტი დაეხმარება სხვადასხვა განყოფილების იურისტებს ფირმის მოლოდინების გაანალიზებაში Pro Bono სამუშაოსთან მიმართებით, ასევე, Pro Bono პროგრამის უფრო სრულყოფილად შეფასებაში, რაც ხელს შეუწყობს მის ყოველწლიურ გაფართოებასა და მუდმივ მდგრადობას.

ადმინისტრაციული და მენეჯერული საკითხების უმრავლესობის მსგავსად, Pro Bono საქმიანობის ბიუჯეტირებას Pro Bono ბიუჯეტის მქონე ფირმები ახორციელებენ განსხვავებული წესით და ფირმის კონკრეტულ საჭიროებებსა თუ მიზნებზე მორგებით. იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის პირველად დანერგვის ასპექტები, ბიუჯეტირების ჩათვლით (თუ ფირმის ხელმძღვანელობა უარს არ ამბობს მასზე), მოდელირდება იმგვარად, რომ არა მარტო შეესაბამებოდეს ფირმის „კორპორაციულ კულტურას“, არამედ უზრუნველყოფდეს რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას და ქმნიდეს სრულად ინტეგრირებულ Pro Bono პრაქტიკას.

Pro Bono პრაქტიკის დანერგვისას იურიდიულ ფირმებს არ სჭირდებათ „ველოსიპედის ხელახლა გამოგონება“. მათ შეუძლიათ, დაეყრდნონ ფირმაში უკვე დადგენილ წესებსა და პროცედურებს. სხვა სიტყვებით: იმისათვის, რომ Pro Bono პროგრამა იურიდიული ფირმის საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცეს, ის უნდა ესწრაფვოდეს Pro Bono ადმინისტრაციული ასპექტების მაქსიმალურად ინტეგრირებას უკვე არსებულ ინფრასტრუქტურაში. არსებული მექანიზმების გამოყენება ამარტივებს პროცესს და იურიდიულ ფირმებს აძლევს Pro Bono საქმეების უფრო ეფექტიანად წარმოების შესაძლებლობას. კარგად ინტეგრირებული სქემები ფირმის ადვოკატებს უმარტივებს Pro Bono სამუშაოს და მაღალხარისხიანი იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფს ყველა მის კლიენტს.

არსებობს Pro Bono ბიუჯეტის სტრუქტურირების რამდენიმე განსხვავებული საშუალება. მათგან ყველაზე გავრცელებულია:

(ა) ***ვარიანტი 1: ცალკე ბიუჯეტები Pro Bono პროგრამისა და საქველმოქმედო შემოწირულობებისთვის:*** გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ან, უბრალოდ იმიტომ, რომ ეს გარკვეულწილად შეესაბამება იურიდიული ფირმის ბიზნეს მოდელს და მის ინსტიტუციურ სტრუქტურას - ზოგიერთ იურიდიულ ფირმას ურჩევნია, გამიჯნოს Pro Bono საქმეებისა და საქველმოქმედო შენატანების ბიუჯეტები. ვინაიდან Pro Bono სამუშაოსა და საქველმოქმედო შემოწირულობების განაწილება ამგვარ ფირმებში განსხვავდება, ფირმის ყოველწლიური საქველმოქმედო შემოწირულობები არც გაზრდის და არც შეამცირებს თანხას, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს Pro Bono პროგრამაზე. მსგავსად, იურიდიული ფირმები, რომლებიც ირჩევენ ამ ვარიანტს, ვალდებულნი არიან, ერთმანეთისგან განასხვაონ ფინანსური შემოწირულობები და უსასყიდლო იურიდიული მომსახურება.

(ბ) ***ვარიანტი 2: საქველმოქმედო შემოწირულობების ბიუჯეტის გაფართოება:*** ფირმის Pro Bono ბიუჯეტის დადგენის კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტია საქველმოქმედო შემოწირულობების ყოველწლიური ბიუჯეტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაფართოება და მასში Pro Bono პროგრამის ჩართვა. ბევრი იურიდიული ფირმა, ტრადიციულად, წლიურ ბიუჯეტს გამოყოფს სოციალურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქველმოქმედო შენატანებისთვის. იურიდიული ფირმები, რომლებიც Pro Bono პროგრამას თავიანთი საქმიანობის ნაწილად განიხილავენ, ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას საქველმოქმედო შემოწირულობათა ბიუჯეტის გაერთიანებაზე Pro Bono სამუშაოს ხარჯებთან. ამ შემთხვევაში, უსასყიდლო იურიდიული მომსახურების ყველა ხარჯი არსებითად ანაზღაურდება იმავე წყაროდან, საიდანაც ფირმის საქველმოქმედო შემოწირულობები ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ თუ

ფირმა არ გაზრდის საერთო ბიუჯეტს თავის საქმიანობაში Pro Bono პროგრამის ჩართვის შემდგომ, ამ პროგრამის ოფიციალური განხორციელება შეიძლება გულისხმობდეს ფირმის ყოველწლიური საქველმოქმედო შემოწირულობების შემცირებას.

ფირმები, რომლებსაც აქვთ ასეთი შემოწირულობების ბიუჯეტი, ხშირად ქმნიან კომიტეტს საქველმოქმედო ფინანსირების ყველა მოთხოვნის დასამუშავებლად (შემდგომში - „საქველმოქმედო შემოწირულობების კომიტეტი“). ეს კომიტეტი ამუშავებს პროცედურებს, რომელთა მეშვეობითაც ფირმის პარტნიორებს შეუძლიათ სახსრების მოთხოვნა თანხების შესაწირად გარკვეული საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის. კომიტეტი შეიძლება გაფართოვდეს და ანალოგიური გადაწყვეტილებები მიიღოს Pro Bono საკითხებზეც. ფირმას შეუძლია, დანიშნოს ინდივიდუალური კომიტეტიც (შემდგომში „Pro Bono ბიუჯეტის კომიტეტი“), რომელიც Pro Bono ბიუჯეტზე იმუშავებს შემოწირულობათა კომიტეტის მიერ გამოყენებულ ან მსგავს პროცედურებზე დაყრდნობით. ზოგ შემთხვევაში, ბიუჯეტირების ფუნქციას ასრულებს Pro Bono კომიტეტი და ინდივიდუალური Pro Bono ბიუჯეტის კომიტეტი აღარ ყალიბდება.

პრაქტიკაში კომიტეტის სქემამ შეიძლება იმუშაოს შემდეგი წესით: პარტნიორს, რომელსაც სურს ახალი Pro Bono პროექტის ან საქმის ფინანსირება, ისევე, როგორც საქველმოქმედო შემოწირულობათა მოთხოვნის შემთხვევაში, შეუძლია მიმართოს გაფართოებულ საქველმოქმედო შემოწირულობების კომიტეტს ან Pro Bono ბიუჯეტის კომიტეტს. ამის შემდეგ კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნილი თანხის გაცემის, მასზე უარის ან კორექტირების შესახებ. Pro Bono პროექტის ან საქმის მსვლელობისას გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოშობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება, ფირმა დაფარავს დამატებით ხარჯებს თუ კლიენტი (ან როგორ შეუძლია ფირმას

ამ საკითხის გადაჭრა) იღებს იგივე კომიტეტი. კლიენტის ინტერესების Pro Bono წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხარჯების კლიენტის მიერ დაფარვა განხილულია ქვეპუნქტში 3.5.2.

მაშინაც კი,როცა იურიდიული ფირმა აერთიანებს საქველმოქმედო შემოწირულობებისა და Pro Bono ბიუჯეტებს, აუცილებელია აღინიშნოს: როდესაც საქმე ეხება Pro Bono კონცეფციის განსაზღვრას და იმას, რა შეიძლება საფუძვლიანად ჩაითვალოს Pro Bono სამუშაოდ, მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს ფინანსურ შემოწირულობებსა და უსასყიდლო იურიდიული მომსახურებას შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, Pro Bono სამუშაო არის არა ქველმოქმედება, არამედ პროფესიული ვალდებულება, და საქველმოქმედო შემოწირულობები არ მიიჩნევა ProBono სამუშაოდ, ბიუჯეტის სტრუქტურის მიუხედავად.

(გ) ***ბიუჯეტთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები: განსხვავება სატანდარტულ და არასტანდარტულ ხარჯებს შორის:*** ფირმებმა უნდა იცოდნენ Pro Bono სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯები ფირმის შიგნით. ვინაიდან ეს ხარჯები მოსალოდნელია და აუცილებელიც მაღალხარისხიანი იურიდიული მომსახურებისათვის, ბევრი იურიდიული ფირმა არ ითხოვს მათ წინასწარ დამტკიცებას. თითოეულ ამ ტიპის ხარჯზე თანხმობის მოპოვების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციას. რაკი, ჩვეულებრივ, მსგავსი ხარჯები პროგნოზირებადია, იურიდიული ფირმები მათ „სტანდარტულ ხარჯებად“ მიიჩნევენ და საამისოდ გამოყოფენ ფიქსირებულ წლიურ თანხას. როგორც აღინიშნა, ხშირად წლიურ თანხას განსაზღვრავს კომიტეტი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს იმაზეც, რომელ Pro Bono პროექტებსა და სამუშაოებზე უნდა გამოიყოს სახსრები ამ ბიუჯეტის ფარგლებში.

მეორე მხრივ, გარე ხარჯები არ არის სტანდარტული. შესაბამისად, უმეტეს იურიდიულ ფირმებში, სადაც არსებობს ორგანიზებული Pro Bono პროგრამები, აღნიშნული

ხარჯები საჭიროებს წინასწარ დამტკიცებას კომიტეტის ან პარტნიორის მიერ. როგორც წესი, ეს ეხება უფრო დიდ თანხებს (მაგ.: დოკუმენტების შეტანის მოსაკრებლები ან ექსპერტიზის და გამოძიების ხარჯები, რომლებიც აუცილებელია იურიდიული მომსახურებისათვის, მაგრამ სცდება სტანდარტული ხარჯების ფარგლებს).

სხვადასხვა ფირმას სხვადასხვაგვარად ესმის სტანდარტული და არასტანდარტული ხარჯები. მნიშვნელოვანია, ფირმის ადვოკატებს ესმოდეთ Pro Bono პროგრამასთან დაკავშირებული გონივრული ხარჯების მნიშვნელობა, და ფირმის პოლიტიკა მკაფიოდ იყოს გაწერილი მისი Pro Bono წესებისა და პროცედურების სახელმძღვანელოში. სრულიად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რა შემთხვევებში სჭირდება იურისტს წინასწარი თანხმობა და რა შემთხვევებში - არა. თუ იურიდიულ ფირმას აქვს სტანდარტული წლიური Pro Bono ბიუჯეტი, აუცილებელია, მისი საჭიროებებიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, განისაზღვროს ხარჯები, რომლებსაც დაფარავს ეს ბიუჯეტი; ასევე, დადგინდეს მკაფიო პრინციპები, რომლებიც ნათელს მოჰფენს ადვოკატებისთვის, რა ხარჯები ითვლება სტანდარტულად და რა საჭიროებს დამატებით თანხმობას.

Pro Bono სამუშაოს ბიუჯეტირებასთან მიმართებით იურიდიული ფირმის საბოლოო არჩევანის მიუხედავად, მის Pro Bono სახელმძღვანელოში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ფირმის Pro Bono ბიუჯეტი (ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, ფირმის პრაქტიკა აქ განხილულ საკითხთან დაკავშირებით). Pro Bono სამუშაოს ხარჯებისადმი გონივრული დამოკიდებულების მნიშვნელობის ხაზგასამელად, ადვოკატებს, რომლებიც ცოტა ხნის წინათ დაინიშნენ ახალ Pro Bono სამუშაოზე ან პროექტზე, უნდა გავაცნოთ ფირმაში არსებული წესები Pro Bono ბიუჯეტსა და ხარჯებთან დაკავშირებით, ასევე, პროცედურების დეტალური აღწერილობა, ან ვურჩიოთ შესაბამისი დოკუმენტების გაცნობა. ამასთან, მკაფიოდ უნდა განიმარტოს, რომ ადვოკატებმა ძალისხმევა არ დაიშურონ უსასყიდლო იურიდიული მომსახურების ხარჯების მინიმუმამდე შესამცირებლად და, სადაც გონივრული ან ხელმისაწვდომია,

მოითხოვონ საფასურის გადახდისგან გათავისუფლება. ეს ხშირად შესაძლებელია შეჭირვებულ კლიენტების შემთხვევაში. თუ ამაზე უარს მიიღებენ, ან საფასურის გადახდისგან გათავისუფლება შეუძლებელია, ადვოკატმა უნდა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს სხვა საშუალება Pro Bono საქმეებთან დაკავშირებული ხარჯების ასარიდებლად ან შესამცირებლად.

3.5.2 არსებობს თუ არა სიტუაციები, როცა გონივრულია Pro Bono კლიენტისთვის საფასურის გადახდის დაკისრება?

იურიდიული ფირმების მიერ Pro Bono კლიენტისთვის საფასურის გადახდის დაკისრება არასწორია. თუ იურიდიული ფირმა კლიენტს ართმევს რაიმეს იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ, სამუშაო ვერ ჩაითვლება Pro Bono პროექტად. ამასთან, იურიდიული ფირმა და Pro Bono კლიენტი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ კლიენტი პასუხს აგებს Pro Bono წარმომადგენლობის ან Pro Bono იურისტის საკონსულტაციო ხარჯების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფარვაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს სასამართლოს ან ოფიციალური დოკუმენტაციის ხარჯებს, სარეგისტრაციო მოსაკრებლებსდა ა.შ.

თუკი არსებობს ადვოკატის საფასურისა და მომსახურების ხარჯების (ან ორივე მათგანის) ანაზღაურების საშუალება (სასამართლოს გადაწყვეტილებით, მორიგებით ან სხვა საფუძვლით), საკითხი უნდა განიხილონ კლიენტთან ერთად და დაფიქსირდეს Pro Bono ვალდებულების აქტში. პირობები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გამოირიცხოს ბუნდოვანება, რამაც შეიძლება გაართულოს ზომების მიღება გაუთვალისწინებელ შემთხვევებში (მაგ.:მორიგებაზე წინადადების მიღებისას, რომელიც განპირობებულია ადვოკატის საფასურის, ხარჯების, ან ორივე მათგანის გადახდისგან გათავისუფლებით).

3.5.3 ხარჯების განაწილება

ფირმის პოლიტიკა ხარჯების განაწილებასთან მიმართებით, ჩვეულებრივ, ბევრწილად დამოკიდებულია მის Pro Bono ბიუჯეტზე,

კონკრეტულ Pro Bono პროექტსა ან საქმესთან დაკავშირებული გადახდების მოცულობაზე (მაგ.: ზოგიერთი Pro Bono პროექტი, სხვებთან შედარებით, გაცილებით დიდ ხარჯებს მოითხოვს) და კლიენტის ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაძლებელია ასეთი ვარიანტები: Pro Bono კლიენტი არ ფარავს არავითარ ხარჯს, გარდა ფირმის გარე ხარჯებისა; იხდის შიდა ან/და გარე სატანდარტულ ხარჯებს გარკვეული თანხის ფარგლებში; მთლიანად იხდის შიდა და გარე ხარჯებს; ან გადაწყვეტილება ხარჯების დაფარვაზე ინდივიდუალურია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, როგორია კლიენტის ფინანსური რესურსები და ვინ არის იგი - ფიზიკურ პირი თუ არასამთავრობო ორგანიზაცია. ზოგიერთი ფირმა ფარავს ხელმოკლე კლიენტის Pro Bono წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ ყველა გონივრულ და მიმდინარე ხარჯს, მაგრამ არასათავრობო ორგანიზაციებთან მუშაობისას ითხოვს გარკვეული თანხების, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოსაკრებლის გადახდას მათ მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში, ფირმის Pro Bono სახელმძღვანელო უნდა აღწერდეს მის პოლიტიკას ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით.

ეს პოლიტიკაც მკაფიოდ უნდა განემარტოს კლიენტს, ხოლო Pro Bono კლიენტს ყოველთვის ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს იმ ხარჯებზე, რომელთა დაფარვაზეც თვითონ იქნება პასუხისმგებელი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და Pro Bono კლიენტთან ჯანსაღი ურთიერთობის დასამყარებლად, Pro Bono ადვოკატმა და კლიენტმა ეს საკითხი უნდა განიხილონ და დააზუსტონ მანამ, სანამ ადვოკატი შეუდგება კლიენტის წარმომადგენლობას. კომერციული კლიენტის მსგავსად, Pro Bono კლიენტმაც უნდა წაიკითხოს, გააანალიზოს და მოაწეროს ხელი წერილობით თანხმობას ან ფორმას, სადაც მიეთითება, საბოლოოდ ვინ აგებს პასუხს ხარჯებზე, რომლებიც უკავშირდება Pro Bono იურისტის მიერ წარმომადგენლობის, კონსულტაციის ან სხვა იურიდიული სამსახურის გაწევას. შეთანხმება კლიენტის მომსახურების შესახებ უნდა მოიცავდეს ამგვარ „ხარჯებზე მორიგებას“ (იხ. სახელმძღვანელოს დანართი 2 - „Pro Bono ვალდებულების აქტი“). ფირმა ვალდებულია, Pro Bono კლიენტთან კონსულტაცია გაიაროს

იმ არსებითი ხარჯების წარმოშობამდე, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელი იქნება კლიენტი.

ზოგჯერ შეუძლებელია ყველა ხარჯის განსაზღვრა კლიენტის წარმომადგენლობის დაწყებამდე. წარმომადგენლობაზე თანხმობის მიცემის შემდეგ, იურისტს შეუძლია, შეუდგეს კლიენტის კონკრეტული სიტუაციის შესწავლას, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობა, რომლებიც წარმოშობს მოულოდნელ ხარჯებს. ამგვარი ხარჯების ბუნების გამო, იურისტი და კლიენტი ალბათ წინასწარ ვერ შეთანხმდებიან, ვინ აგებს პასუხს მათ გადახდაზე. იურისტსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დადგენის შემდეგ წარმოშობილი მოულოდნელი ხარჯები საჭიროებს დაუყოვნებლივ განხილვას (თუ მათ დაფარვას არ ითვალისწინებს კლიენტთან დადებული შეთანხმება მომსახურების შესახებ) იმავე ოფიციალური წესით (შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებით), რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა ან/და ეთიკური ნორმების დარღვევა.

3.5.4 როგორია Pro Bono სამუშაოსთან დაკავშირებული შესაძლო საგადასახადო შედეგები (შეღავათები და ვალდებულებები)?

Pro Bono სამუშაოს შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი ან ფედერალური საგადასახადო შედეგები. იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადად ყველა ქვეყანასა და რეგიონს აქვს საკუთარი საგადასახადო კანონმდებლობა, Pro Bono სამუშაოს საგადასახადო შედეგები სხვადასხვა იქნება იმ ქვეყანაში, რეგიონსა და, შესაძლებელია, ქალაქშიც, სადაც მდებარეობს იურიდიული ფირმა. ზოგი იურისდიქცია შეიძლება საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებდეს Pro Bono სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით.

ამასთან, იურისტების მიმართ ყველა ქვეყანას თავისი მოთხოვნები აქვს საგადასახადო შედეგების ნაწილში კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებით. შეუძლებელია, ამ უამრავი განსხვავების დეტალურად აღწერა წინამდებარე დოკუმენტში, თუმცა, Pro Bono საქმიანობის მხრივ საკუთარი პროგრამის განვითარების

პროცესში ნებისმიერი იურიდიული ფირმა ვალდებულია, ყურადღებით შეისწავლოს უსასყიდლო სამუშაოს შესრულების ყველა საგადასახადო შედეგი. შესაბამისი საგადასახადო შეღავათებისა და ვალდებულებების ცოდნა ფირმას დაეხმარება Pro Bono საქმიანობის უფრო ადეკვატური და მომგებიანი სტრუქტურის განსაზღვრაში, რომლის ფუნქციონირებამაც უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები და დაეხმაროს ფირმას მიზნების მიღწევაში.

3.6 Pro Bono საქმისწარმოების პროცედურები

3.6.1 ახალი Pro Bono საქმის გახსნა

ფირმამ უნდა დაადგინოს Pro Bono საქმის გახსნის, წარმოებისა და დახურვის ოფიციალური პროცედურები. მექანიზმები, რომლებიც დაეხმარება ფირმას Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენაში, აღწერილია სახელმძღვანელოს IV ნაწილში.

Pro Bono საქმის გახსნა მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

(ა) **Pro Bono საქმის გახსნის მოთხოვნა:** მას შემდეგ, რაც ფირმა შეარჩევს მექანიზმს, რომელიც დაეხმარება მას Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენაში (იხ. IV ნაწილი), ასევე, ამის შესახებ აცნობებს საკუთარ ადვოკატებს (იხ. ქვეპუნქტი 2.2.3(დ) და პუნქტი 5.1) და რომელიმე მათგანი გამოხატავს ინტერესს კონკრეტული Pro Bono სამუშაოს მიმართ, პირველ რიგში, უნდა გაფორმდეს განაცხადი ახალი Pro Bono საქმის შესახებ (შემდგომში - „Pro Bono განაცხადი“). Pro Bono განაცხადი უნდა მოიცავდეს ძირითად ინფორმაციას, მაგალითად, აღწერდეს Pro Bono კლიენტს და საჭირო სერვისებს. იგი უნდა იყოს შეთანხმებული და, შესაძლოა, ხელმოწერილიც შემდეგი პირების მიერ: აღნიშნულ Pro Bono საქმეზე პასუხისმგებელი იურისტი; პარტნიორი, რომელიც კურირებს საქმეს ან სხვაგვარად პასუხისმგებელია მასზე; და, ზოგ შემთხვევაში,Pro Bono კოორდინატორი (იხ. ქვეპუნქტი 3.5.2 დანართი 1 „ახალი Pro Bono საქმის გახსნის განაცხადი“ - Pro Bono

სახელმძღვანელოს ნიმუში).

(ბ) **ინტერესთა კონფლიქტის შემოწმება და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი მიმოხილვა:** Pro Bono საქმეებში შეიძლება გამოიკვეთოს ინტერესთა კონფლიქტი, ამიტომ, ყოველი Pro Bono განაცხადის შემთხვევაში, ფირმა ვალდებულია, შეამოწმოს ეს საკითხი. ამისათვის მან უნდა გამოიყენოს ისეთივე პროცედურა, როგორსაც მიმართავს კომერციული კლიენტების შემთხვევაში, შემოწმების შედეგები კი დააფიქსიროს Pro Bono განაცხადში.

თუ ამას მოითხოვს შესაბამისი იურისდიქცია - ასევე, სხვა შემთხვევებშიც (ფირმის გადაწყვეტილებით) - ფირმამ უნდა ჩაატაროს დამატებითი მიმოხილვა, მაგალითად, „იცნობდე შენს კლიენტს“, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი ქვეყანა.

(გ) **Pro Bono საქმის დამტკიცება:** ფირმამ უნდა დაადგინოს: ახალი Pro Bono საქმეების დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირი - როგორც ავღნიშნეთ, ხშირად ამ ფუნქციას ასრულებს Pro Bono თავმჯდომარე ან კომიტეტი, ანდა მათ კონტროლქვეშ მყოფი Pro Bono კოორდინატორი (იხ. ქვეპუნქტი 2.3.3(დ)); ასევე, პრო ბონო განაცხადის განხილვის გარკვეული კრიტერიუმები.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი კრიტერიუმი, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს ახალი Pro Bono საქმის დამტკიცებისას. ესენია: პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი; პოტენციური ბიზნეს კონფლიქტი (მაგ.: Pro Bono კლიენტის სახელით ისეთი სამართლებრივი პოზიციის დაცვა, რომელიც ეწინააღმდეგება ფირმის სამართლებრივ პოზიციას სხვა კლიენტებთან მიმართებით); რამდენად შეესაბამება მოთხოვნილი სერვისები ფირმაში მიღებულ Pro Bono განსაზღვრებას; ან ხომ არ არსებობს საგანგებო გარემოება, რომელიც მოითხოვს Pro Bono საქმეზე უარის თქმას.

ფირმამ ასევე უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული Pro Bono საქმით დაინტერესებული ადვოკატების გამოცდილება - ან მოსამზადებელი კურსის გავლის შესაძლებლობა - იმ ხარისხის მომსახურებისათვის, რომელსაც ელიან ფირმისა და მისი იურისტებისგან. მას შეუძლია, თავი აარიდოს რთულ Pro Bono საქმეებზე უარის თქმას ისეთი მეთოდების მოძიებით, რომლებიც შეამსუბუქებს გამოცდილების ნაკლებობას ან მისცემს მისი კომპენსირების საშუალებას (მაგ.: Pro Bono სამუშაოსთვის დანიშნოს ადვოკატთა ჯგუფი და მასში ჩართოს რამდენიმე შედარებით გამოცდილი სპეციალისტი). ახალ Pro Bono განაცხადზე უარის თქმის შემთხვევაში, გირჩევთ, მოკლედ განმარტოთ მიზეზი.

თუ არსებობს ალბათობა, რომ Pro Bono საქმე განსაკუთრებით მოცულობითი იქნება მისი მასშტაბის, საჭირო დროისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეიძლება აუცილებელი გახდეს დამატებითი თანხმობა (მაგ.: კონკრეტული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის, ოფისის ხელმძღვანელის ან/და ფირმის აღმასრულებელი თუ მმართველი პარტნიორის მხრიდან). მათი თანხმობა ან უარი უნდა ეფუძნებოდეს არა პირად მოსაზრებებს საქმეზე, არამედ ფირმის მიერ საქმის ეფექტიანად წარმართვის ანალიზსა და შეფასებას. ამ პირებმა უნდა აწონ-დაწონონ ნებისმიერი დაშვება, მათ შორის, რამდენად შესაძლებელი იქნება საქმის სათანადოდ წარმოება ფირმიდან ადვოკატთა წასვლის ან საქმიდან გასვლის შემთხვევაში.

(დ) **ვალდებულების აქტი**: ახალი Pro Bono საქმის დამტკიცების და, სასურველია, პოტენციურ კლიენტთან პირველადი განხილვის შემდეგ, ფირმამ (ზოგ შემთხვევაში, ფირმის ადვოკატებმა, რომლებიც ჩართულნი არიან საქმეში) და Pro Bono კლიენტმა უნდა გააფორმონ ვალდებულების აქტი, რომელიც ადგენს წარმომადგენლობის პარამეტრებს. მაშინაც კი, როცა ფირმა კომერციულ კლიენტებთან მუშაობისას არ იყენებს ასეთ აქტს, გირჩევთ, Pro Bono

კლიენტებთან ის მაინც გააფორმოთ. სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტი უნდა აღწერდეს წარმომადგენლობას და მის ფარგლებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია გაწეული მომსახურების ზუსტი მასშტაბების აღსაქმელად კლიენტის მიერ. ანალოგიურად, მასში უნდა მიეთითოს, ვინ იქნება პასუხისმგებელი თანმდევი ხარჯების დაფარვაზე (იხ. დანართი 2 „Pro Bono ვალდებულების აქტის ფორმატი“).

ფირმამ ამ აქტში შეიძლება გაითვალისწინოს დათქმა წინასწარი უარის შესახებ, მაგალითად: „ჩვენს იურიდიულ ფირმას ჰყავს ბევრი სხვა კლიენტი. თუ თქვენსა და სხვა კლიენტს შორის წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი, გაცნობებთ ამის შესახებ და გვექნება იმედი, რომ უარს იტყვით მასთან დაკავშირებულ პრეტენზიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: იგი ეხება იმავე პროექტს, რომელზეც ვმუშაობთ თქვენთვის, ან მასთან დაკავშირებულ საკითხს; ანდა ვფლობთ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს თქვენს საზიანოდ სხვა საქმეში“.

საადვოკატო საიდუმლოს უფლებისა და დაცვის სხვა საშუალებების შესანარჩუნებლად, ვალდებულების აქტში, სადაც საჭიროა, ნახსენები უნდა იყოს როლ(ებ)ი, რომლ(ებ)ის შესრულებაც უწევს/მოუწევს საკონსულტაციო ცენტრს (clearinghouse) ან სხვა Pro Bono პარტნიორს (მაგ.: განახლებული ინფორმაციის მიღება საქმის მიმდინარე სტატუსზე, კურატორის ან თანაიურისტის ფუნქციის შესრულება).

(ე) **შეთანხმება საქმის ერთობლივად წარმოების შესახებ:** თუ საქმეს ერთობლივად აწარმოებს ორი იურისტი, უნდა არსებობდეს შეთანხმება საქმის ერთობლივად წარმოების თაობაზე, შესაბამისი როლების, ფირმის (ან საქმეში მონაწილე ფირმის ადვოკატების) და თანაიურისტის პასუხისმგებლობის მითითებით. შეთანხმება უნდა მოიცავდეს: იმ ხარჯების დაფარვის წესს, რომლებსაც არ იხდის კლიენტი; კლიენტისთვის რეკომენდაციების მიცე-

მაზე გადაწყვეტილებათა მიღების წესს (იურისტთან აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში); და იურისტის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების წესს. სადაც შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარისთვის საფასურის გადახდის დაკისრება, შეთანხმება საქმის ერთობლივად წარმოების შესახებ უნდა ასახავდეს ამგვარ სიტუაციაში დასაცავ ძირითად პრინციპებს (რამდენადაც ხერხდება მათი წინასწარ განჭვრეტა). ეს სასურველია მოიცავდეს იმ პროცედურებს, რომლებიც განხორციელდება მაშინ, როდესაც შეუძლებელია შეთანხმება, ვიდრე ადვოკატთა სავარაუდო ჰონორარის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება (ანდა ხარჯების გამოქვითვა) უარყოფილია.

(ვ) **Pro Bono საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია:** ყოველ Pro Bono საქმეზე ფირმამ უნდა გახსნას და აწარმოოს წერილობითი ან ელექტრონული დოსიე; ამისათვის უნდა მიმართოს იმავე პროცედურებს, რომლებსაც იყენებს კომერციულ კლიენტებთან. თუ ფირმა კომერციული კლიენტებთან სარგებლობს „კოდირების სისტემით“, იგი უნდა გამოიყენოს Pro Bono კლიენტებთანაც. დოსიე შეიძლება განაახლოს Pro Bono საქმეზე დანიშნულმა ადვოკატმა და აწარმოოს Pro Bono კოორდინატორმა (ან ეს განხორციელდეს მის კონტროლქვეშ).

3.6.2 Pro Bono საქმის კონტროლი, ზედამხედველობა და შესაძლო განვითარება

ფირმის ადვოკატების მხრიდან პროფესიონალური მომსახურებისათვის, ასევე, იმავე სტანდარტების დასაცავად, რომლებიც გამოიყენება კომერციულ კლიენტებთან, ფირმაში უნდა არსებობდეს Pro Bono საქმიანობის კონტროლისა და ზედამხედველობის ოფიციალური სისტემა. ამგვარი სისტემის ფარგლებში უნდა დაინიშნოს პარტნიორი, რომელიც კურირებას გაუწევს თითოეულ Pro Bono საქმეს, ასევე, უშუალოდ ან Pro Bono კოორდინატორის მეშვეობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ანდა სხვაგვარად, რეგულარულად გაეცნობა სამუშაოს მსვლელობას, გააანალიზებს ადვოკატთა მიერ შესრულებულ სამუშაოს და,

აუცილებლობის შემთხვევაში, მისცემს რეკომენდაციებს, ან გაუწევს დახმარებას. ზედამხედველი პარტნიორი შეიძლება იყოს კონკრეტული ადვოკატის ხელმძღვანელი. ადვოკატებს შეუძლიათ, მიმართონ პარტნიორებს, რომლებიც გარკვეულ საკითხებში ფლობენ სპეციალურ ცოდნას ან გამოცდილებას, და სთხოვონ, შეასრულონ კონკრეტული Pro Bono საქმის ზედამხედველი პარტნიორის ფუნქცია. ასევე რეკომენდებულია, Pro Bono კოორდინატორმა მუდმივად აკონტროლოს თითოეული Pro Bono საქმის სტატუსი (იხ. ქვეპუნქტი 2.2.3(ბ)).

ფირმამ უნდა შექმნას ანგარიშის წერილობით ჩაბარების ოფიციალური მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც Pro Bono საქმეზე პასუხისმგებელი იურისტები მის სტატუსზე ინფორმაციას მიაწვდიან Pro Bono კოორდინატორსა და ზედამხედველ პარტნიორს (უშუალოდ ან Pro Bono კოორდინატორის მეშვეობით). იურისტთა ამგვარი ანგარიშები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას უკანასკნელი მიღწევების, წარუმატებლობების, მოსალოდნელი ნაბიჯებისა და რაიმე სახის ჩარევის/პრობლემის შესახებ (იხ.დანართი 3 „Pro Bono სამუშაოს ანგარიშგების ფორმატი“). ანგარიშის პერიოდულობა დამოკიდებულია წარმომადგენლობასა და გაწეულ მომსახურებაზე; ხშირად ყველაზე გონივრულია ანგარიშის მომზადება 4 თვეში ერთხელ.

Pro Bono კოორდინატორმა არა მარტო უნდა უზრუნველყოს ადვოკატთა მიერ ანგარიშების მომზადება, არამედ შეამოწმოს კიდეც ეს დოკუმენტები და მათ საფუძველზე მიიღოს შესაბამისი ზომები, ასევე, დააარქივოს (მატერიალური ფორმით ან ელექტრონულად) ყველა მათგანი და აქტიურად მოითხოვოს ინფორმაცია, თუკი ანგარიში არასრულია, ან არ არის წარმოდგენილი (იხ. ქვეპუნქტი 2.2.3(ბ)).

უაღრესად მნიშვნელოვანია, ფირმამ აუხსნას Pro Bono საქმეზე მომუშავე თითოეულ იურისტს, რომ თუ Pro Bono კლიენტი ითხოვს დამატებითი იურიდიული სამუშაოს შესრულებას, ანდა უკვე შესრულებული Pro Bono სამუშაო საჭიროებს დამატებითი მონაწილეების ჩართვასა და დამატებითი სამართლებრივი საკითხების განხილვას, ადვოკატი ვალდებულია, დაუყოვნებლივ

ჩააყენოს საქმის კურსში Pro Bono კოორდინატორი (თუკი ასეთი არსებობს), კომიტეტი ან თავმჯდომარე. მოთხოვნა დამატებით იურიდიულ სამუშაოზე უნდა განიხილონ აუცილებლად იმავე წესით, რომელიც გამოყენებულია Pro Bono იურიდიული სამუშაოს პირველადი მოთხოვნის შემთხვევაში. არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე საქმეზე მომუშავე სპეციალისტები გამოდგებიან დამატებითი იურიდიული სამუშაოს შესასრულებლადაც, ან ეს სამუშაო შეესაბამება Pro Bono პროგრამის სტრატეგიულ მიზანს, ანდა შესაძლებელია მისი ეფექტიანად და შეუფერხებლად შესრულება. დამატებითი იურიდული სამუშაოს დამტკიცების შემთხვევაში, ვალდებულების აქტში უნდა ჩაერთოს დამატება, ან ცალკე შედგეს დამატებითი იურიდიული სამუშაოს ვალდებულების აქტი.

უკვე არსებულ Pro Bono საქმეში დამატებითი მონაწილეების ან სამართლებრივი საკითხების ჩართვისას, აუცილებელია, შემოწმდეს ინტერესთა კონფლიქტი, ასევე, ყურადღება გამახვილდეს ბიზნეს კონფლიქტების წამოშობასა და მუშაობისთვის საკმარისი პერსონალის არსებობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. ქვეპუნქტი 2.2.3(ბ)), აუცილებლობის შემთხვევაში, უაღრესად მნიშვნელოვანია Pro Bono პერსონალის ცვლილება და დროული ინფორმირება ამის შესახებ.

3.6.3 მომსახურების სტანდარტი

მნიშვნელოვანია, ფირმამ საკუთარ Pro Bono პოლიტიკის სახელმძღვანელოში მკაფიოდ მიუთითოს, რომ Pro Bono მომსახურება გაეწევა ხარისხის იმავე სტანდარტის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება კომერციული კლიენტების მომსახურებისას. ფირმის ადვოკატებს უნდა ესმოდეთ, რომ Pro Bono სამუშაო არ არის კომერციულ სამუშაოზე ნაკლებ პრიორიტეტული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შეზღუდული ვადების პირობებში მომუშავე ადვოკატებს შეიძლება გაუჩნდეთ ცდუნება, გადადონ Pro Bono სამუშაო, ან ნაკლები ყურადღება მიაპყრონ მას, რაც, სავარაუდოდ, დააზიანებს მათი Pro Bono კლიენტების ინტერესებს.

ეს არ გულისხმობს, რომ ადვოკატი ყოველთვის ვალდებულია, ერთდროულად შეასრულოს როგორც გადაუდებელი კომერციული სამუშაო, ისე მიმდინარე Pro Bono პროექტები. შექმნილი მდგომარეობა მან უნდა აცნობოს Pro Bono ზედამხედველს, კოორდინატორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თავმჯდომარეს, ან კომიტეტს, რათა გამოიყოს (დროებით მაინც) დამატებითი ადვოკატ(ებ)ი კომერციულ ან Pro Bono საქმეებზე.

3.6.4 სამუშაო საათების აღრიცხვა

ფირმაში უნდა არსებობდეს აღრიცხვის სისტემა, სადაც ადვოკატებს შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი Pro Bono საათები. აღურიცხავად ფირმა ვერ შეძლებს განსაზღვროს, რამდენად აღწევს იგი Pro Bono სამიზნე ნიშნულებს, და სწორად შეაფასოს საკუთარი Pro Bono პროგრამები რაოდენობრივი თვალსაზრისით (იხ. პუნქტები 3.2 და 6.2). ამასთან, ორგანიზაციები, რომლებთანაც ფირმები ქმნიან Pro Bono პარტნიორობას, ხშირად ითხოვენ ინფორმაციას ერთი წლის განმავლობაში Pro Bono საქმეებზე დახარჯული საათების შესახებ (იხ. ქვეპუნქტი 4.2.1), ისევე, როგორც გარკვეული Pro Bono კლიენტები მათთვის შესრულებულ სამუშაოზე.

აუცილებლობისას, ამგვარი აღრიცხვა უნდა იწარმოებოდეს იმ წესის ანალოგიურად, რომელიც გამოიყენება კომერციული კლიენტების შემთხვევაში. თუ კომერციული კლიენტებისთვის ფირმას არ აქვს სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემა, ან ის სრულყოფილად ვერ ასახავს ყველა საჭირო ინფორმაციას Pro Bono საქმეებზე, Pro Bono პროგრამისთვის ფირმამ უნდა აწარმოოს სპეციალური ან დამატებითი სისტემა. მასშტაბიდან გამომდინარე, ფირმებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა სისტემით, რთული პროგრამული ფუნქციით დაწყებული და მარტივი Excel ცხრილით დამთავრებული, ან სულაც ქაღალდზე ჩანაწერის გაკეთებით. ფირმამ ასევე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, გაითვალისწინებს თუ არა Pro Bono საათებს, როგორც „ანაზღაურებადს“, მოსალოდნელი შედეგების, ასევე, მუშაობის ხარისხის შეფასებისა და ადვოკატთა ანაზღაურების (პრემიების ჩათვლით) მიზნებით (იხ. ქვეპუნქტები 5.1(ბ) და 5.1 (გ)).

3.6.5 კლიენტთა ჯგუფები

ერთზე მეტი კლიენტის ან თანაიურისტის შემთხვევაში, დამატებითი ურთიერთობები, რომლებიც სცდება ერთ ადვოკატსა და ერთ კლიენტთან არსებული ჩვეულებრი ვითარების ფარგლებს, ცოტა განსხვავებულ ორგანიზებას მოითხოვს. დროთა განმავლობაში შესაბამისი წესები უნდა გაიწეროს სტანდარტიზებული ფორმატით და კონკრეტულ გარემოებასთან ადაპტაციის შესაძლებლობით. კერძოდ, აუცილებელია შეძლებისდაგვარად გამოვრიცხოთ ბუნდოვანება, თუ ვინ, როგორ და რა პროცესების გამოყენებით მიიღებს გადაწყვეტილებებს. ეს უნდა განხორციელდეს შედარებით კონკრეტული საბაზისო პრინციპებით. გადაწყვეტილების მიღების სათანადო პროცესის გარეშე, შეიძლება ვეღარ გაგრძელდეს მუშაობა მეორე კლიენტსა და თანაიურისტთან, ან ორივე მათგანთან. შესაძლებელია, თავიდან შემუშავდეს მიდგომა ფირმის კლიენტთა ჯგუფებთან, თანაიურისტთან, ან ორივე მათგანთან მუშაობის მიმართ.

3.6.6 Pro Bono საქმის დახურვა

მას შემდეგ, რაც დასრულდება მომსახურება Pro Bono საქმის ფარგლებში (დაიხურება საქმე, ან ფირმა მიიღებს გადაწყვეტილებას შემდგომი მომსახურების შეწყვეტაზე), ფირმა (ან ამ საქმეზე მომუშავე ფირმის ადვოკატები) ვალდებულნი არიან, აცნობონ Pro Bono კლიენტს ამის თაობაზე. კომუნიკაცია სასურველია წერილობითი ფორმით, „მომსახურების შეწყვეტის აქტის“ (იხ. დანართი 4 „*Pro Bono მომსახურების შეწყვეტის აქტის ფორმატი*“) გაგზავნით. თუ საქმე მიღებულია Pro Bono საკონსულტაციო ცენტრისგან (clearinghouse), ამგვარი ორგანიზაციები, როგორც წესი, მოითხოვენ სათანადო შეტყობინებების გაგზავნას მათთვისაც, რაც საშუალებას მისცემთ, საქმე დახურონ საკუთარი აღრიცხვის სისტემაში.

ამასთან, Pro Bono სახელმძღვანელოში მითითებული უნდა იყოს, რა მოსდის საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას მისი დასრულების ან შეწყვეტის შემდეგ. კარგი პრაქტიკაა ფირმის მიერ იმავე წესის გამოყენება, რომლითაც სარგებლობს კომერციული

კლიენტების შემთხვევაში. ეს წესი უნდა გაიწეროს ვალდებულების აქტში.

და ბოლოს, სახელმძღვანელო უნდა ადგენდეს პროცედურებს იმ შემთხვევებისთვის, როცა ადვოკატს არ შეუძლია მუშაობის გაგრძელება Pro Bono საქმეზე, ან საერთოდ ტოვებს ფირმას (და სურს/არ სურს გააგრძელოს მუშაობა ერთ/რამდენიმე Pro Bono საქმეზე). პროცედურის მიუხედავად, მნიშვნელოვანია გარკვეული წესის დადგენა და მისი სწორად შესრულება, რათა Pro Bono კლიენტები არ დარჩნენ წარმომადგენლობის, ხოლო მათი უფლებები - დაცვის გარეშე.

3.6.7 შეფასება

მაღალხარისხიანი Pro Bono წარმომადგენლობისათვის, თითოეული იურისტისა და ადვოკატის მუშაობა ფირმამ უნდა შეაფასოს რეგულარულად და იმავე სტანდარტების გამოყენებით, რომლებსაც მიმართავს კომერციული კლიენტების შემთხვევაში (იხ. პუნქტი 6.1).

ნაწილი IV

PRO BONO შესაძლებლობები

4.1 ბალანსი იურიდიულ საჭიროებასა და ადვოკატის ინტერესს შორის

მას შემდეგ, რაც ფირმა განსაზღვრავს, თუ ვინ განახორციელებს Pro Bono პროგრამის ადმინისტრირებას და ვინ დაამტკიცებს Pro Bono პოლიტიკის სახელმძღვანელოს, უნდა დადგინდეს ის მეთოდებიც, რომლებიც დაეხმარება ფირმას Pro Bono შესაძლებლობათა გამოვლენაში. პოტენციურ Pro Bono საქმეთა გამოვლენის მეთოდების მიუხედავად, ასეთი საქმის შერჩევისას ფირმამ უნდა გაითვალისწინოს (ა) მოსახლეობასა და თემში არსებული იურიდიული საჭიროებები, რომლებსაც შესაფერისად მიიჩნევს მომსახურების გასაწევად, ასევე (ბ) საკუთარი ადვოკატების გამოცდილება და ინტერესები.

როგორც წესი, Pro Bono მომსახურების განსაზღვრაში მთავარი ელემენტია უსასყიდლო იურიდიული მომსახურება ღარიბი და უუფლებო ადამიანებისა და მათ სასიკეთოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის, ასევე, საჯარო ინტერესების საკითხებზე (იხ. ქვეპუნქტი 3.3.1). ფირმამ უნდა გაითვალისწინოს საკუთარი Pro Bono შესაძლებლობები იმ ჯგუფ(ებ)ის გადაუდებელი ან აუცილებელი სამართლებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლადაც, რომლებსაც სჭირდებათ (და ეკუთვნით) ამგვარი მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ Pro Bono შესაძლებელობები არ შემოიფარგლება სასამართლო საქმეებით. ადვოკატებს არასამთავრობო

ორგანიზაციებისთვის Pro Bono სამუშაოს შესრულების ბევრი შესაძლებლობა აქვთ (წინა აბზაცში მოხსენიებულთან ერთად, იმ პირების ჩათვლითაც, რომლებიც უბრალოდ ვერ აძლევენ საკუთარ თავს ადვოკატის აყვანის უფლებას) შრომისა და დასაქმების, საკუთრების, საგადასახადო, ინტელექტუალური საკუთრებისა და კორპორაციული უფლებების სფეროებში. ამასთან, Pro Bono სერვისები შეიძლება განხორციელდეს საჯარო ინტერესების საკითხებზე (მაგ.: სამართლებრივი ანგარიშების მომზადება სამთავრობო ორგანოების განკარგულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციასთან წვდომაზე).

Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენისას, ფირმამ უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ადვოკატების ცოდნა და გამოცდილებაც. ადვოკატების Pro Bono პროგრამაში მონაწილეობის სტიმულირებისათვის, ასევე, მის მიმართ მუდმივი ინტერესის გასაღვივებლად, ეფექტიანი მეთოდია გამოცდილებისა და ინტერესების შესაფერისი შესაძლებლობების შეთავაზება. მათი განსაზღვრის ერთ-ერთი საშუალება კი გახლავთ ფირმის ადვოკატთა გამოკითხვა, თუ რომელი Pro Bono პროექტის განხორციელებას ისურვებდნენ (იხ. დანართი B „Pro Bono კითხვარის ფორმატი“). ადვოკატთა ინტერესების ერთ-ერთი საგანი, განსაკუთრებით, კარიერის დასაწყისში, გახლავთ გამოცდილების მიღება იურიდიული სამუშაოს განსაზღვრულ სახეობებში, რაც შეიძლება არ იყოს დამოკიდებული საქმის ტიპზე. სწორედ ამ საკითხების შეტანა შეიძლება კითხვარში. ინფორმაციის განახლების თვალსაზრისით, ბევრი ფირმა ყოველ წელს აგზავნის ამგვარ კითხვარებს.

კითხვებზე მათი პასუხების მიუხედავად (ჩვეულებრივ, კითხვარებში ზოგადი საუბარია სხვადასხვა სახის საქმეებზე), ადვოკატებს შეიძლება გაუჩნდეთ ინტერესი იმ შემთხვევათა მიმართაც, რომლებიც არ უხსენებიათ საკუთარ პასუხებში. ამიტომ, კონკრეტული საქმისადმი ინტერესის გასაღვივებლად, აუცილებელია, ვისარგებლოთ ელექტრონული ფოსტით, ხმოვანი შეტყობინებით, სატელეფონო ზარებითა და პირადი კონტაქტებით.

საბოლოოდ, ფირმამ უნდა მიაღწიოს ოპტიმალურ ბალანსს, ერთი მხრივ, იურისტთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და,

მეორე მხრივ, საზოგადოების იურიდიულ საჭიროებებს შორის. მაგალითად, მას შეუძლია გამოარკვიოს, რომ ადგილობრივ დონეზე სამართლის სფეროში შედარებით აქტუალურია ოჯახური დავები, მაგრამ, ამასთან ერთად, მხოლოდ ადვოკატთა 3%-მა გამოხატა ამ სფეროში მუშაობის ინტერესი. ამგვარ შემთხვევებში, ფირმამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ დაკავშიროს სამართლის სფეროში არსებული ეს საჭიროება და ადვოკატთა ინტერესი იმგვარად, რომ მიაღწიოს მაქსიმალურ ეფექტს. ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია იმ ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც იურიდიულ დახმარებას უწევენ ოჯახურ კონფლიქტებს სასამართლო განხილვებში. ესმათ მისცემს მსგავსი საჭიროებების დიდი ნაწილის დაკმაყოფილების საშუალებას. ასევე, განიხილება შესაბამისი ტრენინგები და რეგულარული კონსულტაციები, რაც ფირმის ადვოკატებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის მონაწილეობას ოჯახურ დავებში.

კიდევ ერთი გზა ამის მისაღწევად (რომელსაც შეიძლება ხელი შეუწყოს ზემოხსენებულმა ვარიანტმა) არის რამდენიმე ადვოკატის მიერ გამოცდილების მიღება ოჯახური საქმეების სასამართლო განხილვებში. ეს ხელს შეუწყობს ფირმის შიგნით განათლების მაქსიმალურად გაზრდას ამ კუთხით. ამგვარად, ოჯახური კონფლიქტების განხილვები, ფაქტობრივად, შეიძლება Pro Bono საქმიანობის ცალკე მიმართულებად განვითარდეს და შესაბამისი ჯგუფი ჩამოყალიბდეს, თავისი სხდომებითა და ვებგვერდითაც კი.

ადვოკატთა ინტერესის გაღვივების მესამე საშუალებაა შიდა იურიდიულ განყოფილებასთან მუშაობა ოჯახური კონფლიქტების სამართალწარმოებაში. ამგვარ სამართალწარმოებაში ადვოკატები შეიძლება მივიზიდოთ ფირმის იურისტებთან ახლო თანამშრომლობით.

4.1.1 როგორ განვსაზღვროთ სწორად, არის თუ არა კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია შესაბამის Pro Bono კლიენტი? [2]

Pro Bono წარმომადგენლობა სცდება ღარიბი ან მარგინალიზებული პირების ინტერესთა წარმოდგენის ჩარჩოებს. Pro Bono კლიენტები არასამთავრობო ორგანიზაციებიც არიან, განსაკუთრებით, იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც მუშაობენ გარიგებებზე. როგორც ყველა კერძო პირი არ არის შესაბამისი Pro Bono კლიენტი, ასევე ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ დააკმაყოფილებს Pro Bono იურიდიული მომსახურებისთვის საჭირო კრიტერიუმებს. ქვემოთ მოყვანილია Pro Bono იურისტების ასოციაციის (APBCo) განცხადება არაკომერციული ორგანიზაციების მიერ Pro Bono მომსახურების მიღების შესაძლებლობაზე (შემდგომში „განცხადება“), რომელიც გვთავაზობს სასარგებლო მეთოდიკას, არასამთავრობო ორგანიზაციის რომელი იურიდიული სამუშაო უნდა განვიხილოთ Pro Bono მომსახურებად ფირმაში მიღებული განმარტების ფარგლებში. ეს ფორმულა, რასაკვირველია, სასარგებლოა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც თვითონ ასოციაცია უსვამს ხაზს, „თითოეული სიტუაცია უნიკალურია [და] ყოველთვის უნდა არსებობდეს პროფესიული განსჯის საშუალება იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წარმომადგენლობა კრიტერიუმებს [Pro Bono იურიდიული სერვისებისთვის]“.

ტესტი სტრატეგიული მიზნების, საქმის ბუნებისა და სახსრების შესახებ (Mission, Matter, means Test)

(ა) სტრატეგიული მიზანი: არაკომერციული ორგანიზაცია აკმაყოფილებს [Pro Bono იურიდიული სერვისების] კრიტერიუმებს, თუ მისი სტრატეგიული მიზანია შეჭირვებულთა დახმარება ან სამოქალაქო უფლებების, თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვა და შენარჩუნება, მისი ბიუჯეტის, ან ადვოკატის საფასურის გადახდის საშუალების მიუხედავად. ვინაიდან,

---

[2] ადაპტირებულია დოკუმენტიდან *ხშირად დასმული კითხვები: A დანართი PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელოსთვის: თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*

ტერმინი „საზოგადოებრივი უფლებები“ არ არის განსაზღვრული, APBCo-ს წევრები თანხმდებიან, რომ მისი არსი შეიძლება მოიცავდეს ეკოლოგიურ და ჯანდაცვის საკითხებს, სამშვიდობო ინიციატივებსა და სამთავრობო რეგულაციებთან დაკავშირებულ მოქმედებებს, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე.

თუ კონკრეტული ორგანიზაცია წარმატებით გაივლის სტრატეგიული მიზნის ტესტს, შემდგომი ანალიზი საჭირო აღარ არის. უსასყიდლო იურიდიული მომსახურება შესაბამისი სტრატეგიული მიზნის მქონე ორგანიზაციისთვის პასუხობს იმ პირთა ინტერესებს, ვისაც ის ეხმარება. შესაბამისად, თუ აღნიშნული მიზანი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, მის ბიუჯეტს მნიშვნელობა აღარ აქვს. ამასთან ერთად, იურიდიულმა ფირმამ აუცილებლად უნდა განიხილოს საკითხი, ღირს თუ არა კონკრეტული გარემოებებისას ფირმაში მიღებულ Pro Bono განსაზღვრებას მივაკუთვნოთ ყველა ან ზოგიერთი კარგად დაფინანსებული არაკომერციული ორგანიზაცია, რომლებიც აკმაყოფილებენ საჭირო კრიტერიუმებს. მაგალითად, ზოგიერთი ფირმა წარმოადგენს მსხვილი, კარგად დაფინანსებული საქველმოქმედო ორგანიზაციის ინტერესებს, რომელთაც მუდმივად სჭირდებათ ფასიანი იურიდიული მომსახურება. ხშირად ასეთი ფირმები, კლიენტთან ურთიერთობებიდან გამომდინარე, არჩევენ, არ შესთავაზონ Pro Bono მომსახურება ორგანიზაციებს, რომლებსაც მათი კომერციული კლიენტების მსგავსი დაფინასება აქვთ.

(ბ) საქმის ბუნება: არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის სტრატეგიული მიზანი არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ვერ იქნება მისაღები [Pro Bono იურიდიული სერვისებისთვის], თუ, რა თქმა უნდა, შეთავაზებული კონკრეტული საქმე თვითონ არ აკმაყოფილებს სტრატეგიული მიზნის ტესტს. თუ ასეთი ორგანიზაცია აპირებს კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელ საქმიანობას, რომელიც ემსახურება შეჭირვებულ პირთა ინტერესებს, ანდა ხელს უწყობს ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თავისუფლებების ან საზოგადოებრივი უფლებების დაცვას, მაშინ უნდა ჩაითვალოს, რომ საქმე აკმაყოფილებს კრიტერიუმებს [Pro Bono იურიდიული სერვისების მისაღებად], იმ შემთხვევაშიც კი, როცა ორგანიზაციას აქვს იურიდიული მომსახურების საფასურის

გადახდის საშუალება. თუ კონკრეტული საქმე გაივლის სტრატეგიული მიზნის ტესტს, შემდგომი ანალიზი საჭირო აღარ არის.

(გ) სახსრების არსებობა: მაშინაც კი, როცა ზემოაღნიშნული ორი ტესტიდან [„სტრატეგიული მიზანი“ და „საქმის ბუნება“] არც ერთი არ გაუვლია, იურიდიულ ფირმათა უმეტესობა ორგანიზაციას მაინც მისაღებად მიიჩნევს [Pro Bono იურიდიული სერვისებისთვის], თუკი მას არ აქვს სახსრები იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად. ამგვარ სიტუაციებში საკითხავია, აქვს თუ არა ორგანიზაციას საკმარისი ფინანსები კომპეტენტური ადვოკატის დასაქირავებლად მოსალოდნელ საქმეზე. ამის განსაზღვრა ყოველთვის არ არის ადვილი და მის შესაფასებლად მრავალი ფაქტორის განხილვა შეიძლება, მათ შორის:

გადამისამართება იურიდიული მომსახურების ორგანიზაციის მხრიდან: ბევრ თემში არსებობს Pro Bono იურიდიული მომსახურების კოორდინაციის არაერთი ადგილობრივი ორგანიზაცია, რომლებიც არჩევენ არაკომერციულ ორგანიზაციებს და იურიდიულ ფირმებში გადაამისამართებენ Pro Bono იურიდიული მომსახურების მისაღებად. იურიდიული ფირმები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობიან კოორდინაციის ამ სისტემას. მკაფიო მითითებების გარეშე უადგილო იქნებოდა კონკრეტული არაკომერციული ორგანიზაციისთვის Pro Bono წარმომადგენლობის გაწევა, ამგვარი გადამისამართება კი უკვე საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ორგანიზაცია პასუხობს Pro Bono მომსახურების მიღების კრიტერიუმებს.

ფინანსური კრიტერიუმები: თუ ორგანიზაცია წინასწარ არ შეურჩევია მინდობილ იურიდიული მომსახურების ორგანიზაციას, ფირმას შეუძლია, შეამოწმოს მისი ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშები: კერძოდ, შეადაროს არაკომერციული ორგანიზაციის შემოსავლები მის საერთო ბიუჯეტს, ხელმძღვანელობის ანაზღაურებას და აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობას. თუ ორგანიზაციის ბიუჯეტი ითვალისწინებს იურიდიულ მომსახურების საფასურის გადახდას სავარაუდო საქმეზე, ეს შეიძლება მიუთითებდეს, რომ მას აქვს ასეთი მომსახურების ანაზღაურების სახსრები.

იურიდიული და სხვა სახის პროფესიული მომსახურების გადახდების ისტორია: შეიძლება გავითვალისწინოთ ორგანიზაციის მიერ იურიდიული და სხვა სახის პროფესიული მომსახურების გადახდების ისტორიაც, რომელმაც ავტომატურად არ უნდა წაართვას ორგანიზაციას Pro Bono წარმომადგენლობის უფლება. მეორე მხრივ, გადახდების ისტორია შეიძლება იყოს გადახდისუნარიანობის სარწმუნო მტკიცებულებაც (თუმცა არა ყოველთვის). შეიძლება გავითვალისწინოთ სხვა პროფესიული მომსახურებების გადახდებიც.

საჭირო იურიდიული მომსახურების ბუნება და მოცულობა: იმის განსაზღვრისას, შეუძლია თუ არა ორგანიზაციას ადვოკატის საფასურის გადახდა, ფირმამ შეიძლება გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის ბუნება. ზოგჯერ საქმე მოითხოვს სპეციალურ იურიდიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელთა ღირებულებაც შეიძლება უკიდურესად მაღალი აღმოჩნდეს; ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია Pro Bono მომსახურებაზე წვდომის გარეშე, გარკვეულ საქმეებს კი შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობისთვის. მეორე მხრივ, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ცალკეული სამართალწარმოებები მოსარჩელის პოზიციიდან, ჩვეულებრივ, შეიძლება განხორციელონ ადვოკატებმა, რომელთა ანაზღაურებაც განისაზღვრება საქმის შედეგების მიხედვით.

კლიენტურა: თუ არაკომერციული ორგანიზაცია ემსახურება მხოლოდ ან უპირატესად შეძლებულ კლიენტებს, მაშინ მას შეუძლია იურიდიული მომსახურების საფასურის გადახდა, მაშინაც კი, თუ არ აქვს თავისუფალი ფული ადვოკატის მომსახურების ასანაზღაურებლად. მაგალითად, ბინათმესაკუთრეთა არაკომერციული ორგანიზაცია, არსებული იმ წევრების შენატანების ხარჯზე, რომლებიც არ ცხოვრობენ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ადგილებში, სავარაუდოდ, არ დააკმაყოფილებს Pro Bono დახმარების კრიტერიუმებს, თუკი მას აქვს საკუთარი წევრებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი იურიდიული ფირმა არ მიიჩნევს ორგანიზაციას Pro Bono მომსახურების მხარედ, ვიდრე ის არ გაივლის სტრატეგიული მიზნის ან/და საქმის ბუნების გამოსავლენ ტესტებს, თუნდაც მას არ გააჩნდეს სახსრები იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად; ზოგიერთ იურიდიულ ფირმაში ეს ასეა მაშინაც (მთლიანად ან გარკვეულ შემთხვევებში), როცა ორგანიზაციას გავლილი აქვს სტრატეგიული მიზნის ტესტი, მაგრამ ფლობს დიდ სახსრებს იურიდიული მომსახურების საფასურის დასაფარად; და ბოლოს, ფირმების ნაწილმა შეიძლება დაუშვას უსასყიდლო იურიდიული მომსახურება, მიუხედავად ზემოაღნიშნული ტესტების უარყოფითი შედეგებისა, თუმცა, მსგავს სიტუაციებში ფირმები ასეთ იურიდიულ მომსახურებას არ მიიჩნევენ Pro Bono-დ (იხ. პუნქტი 3.3 ზემოთ).

4.2 Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენა

იურიდიული მომსახურების საჭიროებებისა და ადვოკატთა ინტერესების თეორიული შეფასების შემდგომი ნაბიჯია იმის განსაზღვრა, თუ როგორ გამოავლენს ფირმა Pro Bono შესაძლებლობას. Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენა, განსაკუთრებით, როცა არ არსებობს Pro Bono საქმეების კოორდინაციისა და განაწილების ეფექტიანი ცენტრები (იხ. ქვეპუნქტი 4.2.1 ქვემოთ), მარტივი ამოცანა არ არის და საჭიროებს სერიოზულ ყურადღებას. კლიენტების შემოწმების, სწავლებისა და მენტორობის სათანადო სისტემათა არარსებობის პირობებში, მაშინაც კი, როცა აუცილებელია კონკრეტული უსასყიდლო იურიდიული მომსახურება, მისი გაწევა Pro Bono პირობებით შეიძლება შეუსაბამო აღმოჩნდეს.

ვიდრე ფირმა გამოავლენს Pro Bono შესაძლებლობას, აუცილებელია მთელი რიგი ზომების მიღება (თუკი მათ ვერ იღებენ Pro Bono საქმეების კოორდინაციისა და განაწილების ეფექტიანი ცენტრები). ამ ღონისძიებებს განეკუთვნება პოტენციურ Pro Bono კლიენტებთან კონტაქტი და გასაუბრება, მათი დოკუმენტების მოპოვება და პირველადი განხილვა, რათა დადგინდეს შესაბამისობა ფირმაში მიღებულ Pro Bono-ს განმარტებასთან.

მომდევნო განყოფილებაში განხილულია Pro Bono შესაძლებლობის გამოსავლენად გამოყენებული ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. ისევე, როგორც Pro Bono პროგრამის დანერგვის ყველა ასპექტში, იურიდიულ ფირმას უნდა ახსოვდეს, რომ მათ უნდა მოახერხონ საკუთარი პროგრამების ადაპტირება ინდივიდუალური მახასიათებლებისა და რესურსების გათვალისწინებით. ამგვარად, Pro Bono შესაძლებლობის გამოსავლენად, ფირმამ უნდა ისარგებლოს არსებული კონტაქტების ქსელებით და უკვე დამყარებული ურთიერთობებით.

4.2.1 პარტნიორობის შექმნა

Pro Bono სამუშაოს შესრულების მიზნით პარტნიორობის შექმნა Pro Bono შესაძლებლობათა გამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და კომფორტული საშუალებაა, ფართოდ გავრცელებული აშშ-ს ფირმებში. ეს მიდგომა ითვალისწინებს ფირმის თანამშრომლობას საჯარო ინტერესების ან სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან, იურიდიულ სასწავლებლებთან ან სახელმწიფო დაწესებულებებთან (შემდგომში „Pro Bono საქმის მიმწოდებლები“), პოტენციურ Pro Bono პროექტებზე ინფორმაციის მისაღებად. ეს ინფორმაცია შემდგომ გავრცელდება ფირმის შიგნით, რათა გამოირკვეს ადვოკატთა ინტერესი კონკრეტული საქმეების მიმართ. საკმარისი ინტერესის არსებობისას, თუ Pro Bono საქმის მიმწოდებელს საქმე ჯერ არ გადაუცია სხვა კომპანიისთვის, ფირმა იწყებს მისი მიღების პროცესს (იხ. ქვეპუნქტი 3.6.1). ამგვარი მიდგომის უპირატესობა ის არის, რომ Pro Bono საქმის მიმწოდებელი ათავისუფლებს ფირმას თავდაპირველი შერჩევისა და გაფორმებისგან, რაც მოიცავს კლიენტთან გასაუბრებას, დოკუმენტების განხილვას და სხვა ადმინისტრაციულ სამუშაოს.

ასეთი მიდგომა ფირმას აძლევს პარტნიორული ურთიერთობების საშუალებას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ, როგორც საკონსულტაციო ცენტრები (clearinghouse) და ეხმარებიან იურიდიული მომსახურების გამწევ ფირმას წინასწარ შერჩეულ Pro Bono კლიენტებთან კონტაქტის დამყარებაში. საკონსულტაციო ცენტრის

(clearinghouse) როლი შეიძლება მოირგონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ადვოკატთა ასოციაციებმა, სამთავრობო ორგანოებმა, უნივერსიტეტებმა, იურიდიული სასწავლებლების საკონსულტაციო სამსახურებმა, საავადმყოფოებმა და ეკლესიებმა.

დაფუძნების შემდეგ, ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრი (clearinghouse) ხდება Pro Bono სამუშაოს მნიშვნელოვანი წყარო პროგრამაში ჩართული იურიდიული ფირმებისა და იურისტებისთვის. საკონსულტაციო ცენტრის (clearinghouse) ძირითადი ფუნქციაა Pro Bono პროექტების შემუშავება, რომლებსაც იგი შესთავაზებს იურიდიულ ფირმებს ან კონკრეტულ ადვოკატებს. ამის შემდეგ ცენტრი, Pro Bono ადვოკატებისთვის დახმარების გაწევით, ზედამხედველობს ფირმებს და კოორდინირებას უწევს მათ ურთიერთობას Pro Bono კლიენტთან პროექტის ან საქმის წარმატებით დასრულებამდე. საკონსულტაციო ცენტრს (clearinghouse) შეუძლია, იყოს იურიდიული ფირმის ინფორმაციისა და ტექნიკური დახმარების სასარგებლო წყაროც Pro Bono კულტურის განვითარების პროცესში. ამასთან, ზოგიერთ საკონსულტაციო ცენტრში (clearinghouse) ფუნქციონირებს რეგულარული კონსულტაციებისა და პირველადი მომზადების პროგრამები. ზოგჯერ მათ შეიძლება მოირგონ თანაიურისტის როლიც Pro Bono საქმეში. როგორც ზემოთ აღინიშნა, იურიდიული ფირმისთვის საქმის გადაცემის შემდეგ, ფუნქციები, რომლებსაც შეასრულებს საკონსულტაციო ცენტრი (clearinghouse), ან რომელთა შესრულებაც ძალუძს მას, უნდა აისახოს ვალდებულების აქტში, ზოგჯერ კი - შეთანხმებაში საქმის ერთობლივად წარმოების შესახებ.

უნდა ითქვას,რომ საკონსულტაციო ცენტრის (clearinghouse) მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა სერვისის მხარდასაჭერად, იურიდიულმა ფირმებმა უნდა დაგეგმონ (შესაბამის შემთხვევებში, ბიუჯეტის შედგენისას) ფინანსური შემოწირულობები იმ ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც წარმოადგენენ Pro Bono პროექტების წყაროს (ზოგჯერ მონაწილეობენ კიდეც მათში).[3]

[3] ბოლო ორი აბზაცი ადაპტირებულია დოკუმენტიდან *ხშირად დასმული კითხვები: A დანართი PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელოსათვის: თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*

4.2.2 საკონსულტაციო საბჭოები

კარგი იდეაა, თითოეულმა ადგილობრივმა საკონსულტაციო ცენტრმა (clearinghouse), დირექტორთა საბჭოსთან ერთად, შექმნას საკონსულტაციო საბჭოც (ამა თუ იმ ფორმით). მასში შეიძლება გაერთიანდნენ უმცროსი ადვოკატები, რომლებსაც შეუძლიათ არა მარტო პროგრამების განხორციელებაში დაეხმარონ საკონსულტაციო ცენტრს, არამედ შეასრულონ პროგრამის მონაწილე თითოეული იურიდიული ფირმის საკონტაქტო პირის როლიც და საკონსულტაციო ცენტრს (clearinghouse) მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება მისი მუშაობის გაუმჯობესება Pro Bono ქსელში.

4.2.3 Pro Bono კოორდინატორთა ქსელი

ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრის (clearinghouse), ადვოკატთა ასოციაციის რეფერალური პროგრამების ან საკონსულტაციო საბჭოების არარსებობის შემთხვევაში (ან თუნდაც არსებობდეს რამდენიმე ამგვარი სტრუქტურა), Pro Bono კოორდინატორები სხვადასხვა იურიდიული ფირმიდან შეიძლება შეთანხმდნენ რეგულარული შეხვედრების ჩატარებაზე, სადაც განიხილავენ საკუთარ ფირმებში Pro Bono პროგრამების განხორციელების პროცესს.

გამოცდილებისა და სტრატეგიების გაზიარებით, ეს ქსელი კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს იურიდიულ საზოგადოებაში Pro Bono ინიციატივების დანერგვას და საერთო პრობლემათა გადაჭრის გზების ერთობლივად შემუშავებას.[4]

4.2.4 ფირმის შიდა სისტემები

ფირმებს შეუძლიათ, უპირატესობა მიანიჭონ იმ Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენას, რომელიც არ საჭიროებს ამგვარ პარტნიორობას, ასევე, თვითონ მოიძიონ კლიენტები Pro Bono სამუშაოს შესრულებისთვის. ამ მიზნით, იგი პოტენციურ კლიენტებს

[4] ქვეპუნქტები 4.2.2 და 4.2.3 ადაპტირებულია დოკუმენტიდან *ხშირად დასმული კითხვები:A დანართი PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელოსათვის:თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*

იწვევს საკუთარ (ან პარტნიორობის ფარგლებში ორგანიზებულ) საკონსულტაციო სამსახურში, სადაც უმეტეს მათგანს შეეძლება, ფირმის ადვოკატებისგან მიიღოს ოპერატიული ერთჯერადი კონსულტაცია, ზოგ შემთხვევაში კი შეუთანხმდეს კიდეც ადვოკატებს სრულფასოვან Pro Bono წარმომადგენლობაზე.

იურიდიული ფირმების ნაწილი ქმნის კერძო ფონდებს, რომლებიც ადგილობრივ თემებსა და ფირმას შორის ურთიერთობაში ასრულებენ კლიენტთა შერჩევისა და განაწილების სააგენტოს როლს. მართალია, Pro Bono პარტნიორობას მეტი ადმინისტრაციული უპირატესობა აქვს, მაგრამ მსგავს ფონდებს შეუძლიათ, ფირმას მეტი კონტროლის საშუალება მისცენ პოტენციური კლიენტების გამოვლენისა და მათზე ინფორმაციის დადგენის მხრივ.

4.2.5 ადვოკატის ან კომერციული კლიენტის Pro Bono შესაძლებლობების გამოვლენა

იურიდიული ფირმის პერსონალი Pro Bono კოორდინატორის ან კომიტეტის საუკეთესო რესურსია. არავინ იცის Pro Bono სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები თუ წარმატებები იმ ადვოკატებსა და ადმინისტრაციულ პერსონალზე უკეთ, რომლებიც თვალყურს ადევნებენ, რომ ფირმამ არა მარტო დაიწყოს Pro Bono პროექტის განხორციელება, არამედ ეფექტიანად და მაღალ დონეზე შეასრულოს იგი. Pro Bono კოორდინატორებმა უნდა შეიმუშაონ და პერიოდულად ჩაატარონ სემინარები, გამართონ მრგვალი მაგიდები და სადისკუსიო ჯგუფების შეხვედრები, სადაც Pro Bono პროექტში მონაწილე ადვოკატებს ექნებათ საკუთარი მოსაზრებებისა და წინადადებების წარმოდგენის შესაძლებლობა Pro Bono პროგრამების შესრულების გასაუმჯობესებლად. ეს არამარტო ეხმარება Pro Bono კოორდინატორს ან კომიტეტს უფრო ეფექტიან მუშაობაში, არამედ ხელს უწყობს ფირმაში Pro Bono კულტურის განვითარებას და Pro Bono პროექტში მომუშავე პირთა დამსახურების აღიარებას.[5]

---

[5] ადაპტირებულია დოკუმენტიდან *ხშირად დასმული კითხვები: A დანართი PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელოსათვის: თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*

ამასთან, Pro Bono პროგრამის კლიენტთა წყარო შეიძლება გახდნენ კომერციული კლიენტები ან მათი შიდა იურისტები. ეს შეიძლება იყოს ირიბი შედეგი იმისა, რომ ასეთი იურისტი არის შეჭირვებულ პირთა იურიდიული მომსახურების ჯგუფის დირექტორთა საბჭოს ან იმ გუნდის წევრი, რომელიც ასეთ მომსახურებას არ სთავაზობს, მაგრამ თვითონ საჭიროებს იურიდიულ დახმარებას. ზოგ შემთხვევაში, შიდა იურისტებს შეუძლიათ, ნაყოფიერად იმუშაონ Pro Bono პროექტზე ფირმის ადვოკატებთან ერთად, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაანალიზდება ამგვარი თანამშრომლობის სქემა და შედგება შესაბამისი წერილობითი შეთანხმება.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია ბალანსის დაცვა ადვოკატის ინტერესებსა და ისეთ უმაღლეს მიზანს შორის, როგორიცაა თემში უპასუხოდ დარჩენილი იურიდიული საჭიროებების დაკმაყოფილება. ამასთან, ყველა პოტენციური Pro Bono პროექტი, მათ შორის, იურისტების შემოთავაზებულიც, უნდა აკმაყოფილებდეს ფირმაში მიღებულ განსაზღვრებას Pro Bono სამუშაოს შესრულების შესახებ.

ნაწილი V

PRO BONO სამუშაოს ხელშეწყობა და ალიარება

5.1. Pro Bono სამუშაოს ხელშეწყობა

მას მერე, რაც ფირმა განსაზღვრავს Pro Bono შესაძლებლობის გამოვლენის წესს, უნდა გადაწყდეს, როგორ შეიძლება Pro Bono პროგრამის ხელშეწყობა და წახალისება ფირმის შიგნით, ადვოკატების მოზიდვა მასში მონაწილეობის მისაღებად და Pro Bono სამუშაოს შესრულების სტიმულირება. ასეთ პროექტებზე სპეციალისტთა წარმატებით მოსაზიდად, პირველ რიგში, აუცილებელია, ადვოკატებმა იცოდნენ პოტენციური Pro Bono შესაძლებლობები.

ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომი Pro Bono პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე (იხ. ქვეპუნქტი 2.2.3(ე) ქვემოთ) პასუხისმგებელია Pro Bono კოორდინატორი. ასეთი პროექტებისთვის კადრების მოზიდვის ეფექტიანი საშუალებაა Pro Bono კოორდინატორთა მიერ ელექტრონული წერილების გაგზავნა ადვოკატთა ჯგუფებისთვის. ეს მიღებული პრაქტიკაა აშშ-ის Pro Bono პროგრამებზე მომუშავე ფირმათა უმრავლესობაში. წერილში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი ის Pro Bono საქმეები, რომლებიც საჭიროებს ადვოკატების ჩართულობას. ზოგჯერ ამგვარი ან ჯგუფური ხმოვანი შეტყობინებები ეგზავნება ადვოკატთა მხოლოდ კონკრეტულ ჯგუფებს. ადვოკატები, რომლებსაც მანამდე არ გამოუხატავთ ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ, შეიძლება დაინტერესდნენ ელექტრონულ წერილში აღწერილი სამუშაოთი.

ფირმებმა არა მარტო უნდა აცნობონ საკუთარ ადვოკატებს Pro Bono შესაძლებლობის შესახებ, არამედ წაახალისონ კიდეც ისინი და მისცენ ამგვარი სამუშაოს შესრულების სტიმული. ქვემოთ აღწერილია Pro Bono სამუშაოს სტიმულირების ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი:

(ა) ***პარტნიორების მონაწილეობა:*** ადვოკატთა Pro Bono საკითხებზე სამუშაოდ მოზიდვის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია პარტნიორთა აქტიური ჩართულობა პროგრამაში, კერძოდ: (1) Pro Bono კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა; (2) იურისტებისა და კონსულტანტების დახმარებით Pro Bono იურიდიული მომსახურების გაწევა; ან (3) Pro Bono პროექტზე მუშაობის კონტროლი ნათელი მტკიცებულებაა ადვოკატებისა და კონსულტანტებისთვის, რომ ფირმა ძალიან აფასებს Pro Bono სამუშაოს. ამასთან, პროგრამაში პარტნიორთა მონაწილეობა Pro Bono სამუშაოზე დადებითი წარმოდგენის შექმნის ეფექტიანი საშუალებაა. მაგალითად, Pro Bono პროექტზე მომუშავე ადვოკატის ან კონსულტანტის დადებითად შეფასება უშუალოდ პარტნიორის მხრიდან, სავარაუდოდ, გააქარწყლებს ადვოკატის და კონსულტანტის შფოთვას, რომ Pro Bono პროექტზე დახარჯული დრო უარყოფითად აისახება ფირმაში მის დაწინაურებაზე.

(ბ) ***Pro Bono მომსახურების კლასიფიკაცია:*** Pro Bono პროგრამაში მონაწილეობა ფირმას შეუძლია წაახალისოს მისი გათანაბრებით კომერციულ სამუშაოსთან. ეს ნიშნავს, რომ Pro Bono პროექტზე დახარჯული საათები მიჩნეული იქნება ანაზღაურებადი სამუშაო საათების ეკვივალენტურად, ასევე, Pro Bono სამუშაოს გაითვალისწინებენ მუშაობის შედეგების შეფასებისას, ანდა ანაზღაურებასა თუ სამსახურებრივ დაწინაურებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იურისტებსა და კონსულტანტებს შეიძლება შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ Pro Bono პროექტზე მომუშავე პირებს ფირმა ართმევს შესაძლებლობებს, ანაზღაურებად სამუშაოში ჩართულ პირებთან შედარებით.

(გ) ***Pro Bono სამუშაოს შეფასება:*** თუ მივყვებით ზემოაღნიშნულ პუნქტს, Pro Bono სამუშაოს შესრულებისთვის შეიძლება უდიდესი სტიმული იყოს მისი ხარისხის გათვალისწინება და მოხსენიება თანამშრომელთა პერსონალური შედეგების შეფასებისას. ზოგადად, ფირმები დადებითად აფასებენ ადვოკატთა ძალისხმევას კონტაქტების გაფართოებისა და ახალ კლიენტთა მოძიების მხრივ. Pro Bono სამუშაოც ასევე უპირატესობად უნდა ჩაითვალოს იურისტის საქმიანობაში, იმ პირობით, რომ იგი შესრულებული იქნება მაღალი ხარისხით. ხშირად Pro Bono პროექტი კარიერის დასაწყისში იურიდიული სამუშაოს შესრულების პირველი შესაძლებლობაა ახალბედა ადვოკატისთვის. შესაბამისად, კონსტრუქციული კრიტიკა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მისი პროფესიული განვითარებისთვის. Pro Bono სამუშაოს განსაკუთრებულად კარგი შედეგების დადებისას იურისტები და კონსულტანტები ფასდაუდებელ გამოცდილებას იღებენ, თუმცა, ისინი უნდა წაახლიოსონ კიდეც ინიციატივის გამოჩენისა და წარმატებების მიღწევისთვის.

(დ) ***Pro Bono პროგრამის გაცნობა ახალბედა და სხვა ფირმიდან გადმოსული იურისტებისთვის:*** Pro Bono პროგრამის ხელშეწყობის კიდევ ერთი ეფექტიანი მეთოდია ახალბედა და სხვა ფირმებიდან გადმოსული იურისტებისთვის პროგრამის წარდგენა არაფორმალური, მოკლე და ინფორმაციული სახის საუბრით, ან უფრო ფორმალური გაცნობითი კურსის მეშვეობით, რომელიც შეიძლება ორგანიზებული იყოს Pro Bono კოორდინატორის მიერ. Pro Bono კომიტეტის წევრი ან ფირმის სხვა მთავარი პარტნიორი, ასევე, იურისტები, რომლებსაც აქვთ Pro Bono პროგრამაზე მუშაობის გამოცდილება, უნდა ჩაერთონ დისკუსიებში და სხვებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება. პროგრამის წარდგენისას მონაწილეებს უნდა დაურიგდეთ ფირმის Pro Bono სახელმძღვანელოს ეგზემპლარები.

(ე) ***საზაფხულო ან/და სტუდენტი სტაჟიორების მონაწილეობა Pro Bono პროექტებსა და საქმეებში:***[6] იურიდიული ფირმები, ჩვეულებრივ, იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებს სტაჟიორებად ასაქმებენ ზაფხულის პერიოდში ან მთელი წლით. სტაჟიორები ფირმაში მუშაობენ განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუმცა სწავლის დამთავრების შემდეგ ხშირად იღებენ ფირმაში იურისტად დარჩენის წინადადებას. ფირმის დამწყები ადვოკატების მსგავსად, სტუდენტი იურისტები, როგორც წესი, ხალისით მონაწილეობენ Pro Bono პროექტებში, რადგან ეს მათ აძლევს შანსს, მეტი შეიტყონ იურიდიული საქმიანობის ახალ სფეროებზე, ასევე, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კანონის გამოყენების გზები ცალკეული პირებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დასახმარებლად, საკანონმდებლო რეფორმების ხელშეწყობა და საზოგადოების შეცვლა უკეთესობისკენ. ამასთანავე, ფირმის ტრადიციულ (ანუ კომერციულ) საქმეებთან შედარებით, Pro Bono პროექტებში მათ მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ.

სტუდენტებისთვის Pro Bono პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემით, იურიდიულ ფირმას შეუძლია, გაანათლოს მომავალი იურისტები და მოამზადოს ისინი Pro Bono სფეროში აქტიური მუშაობისთვის მთელი კარიერის მანძილზე. სტუდენტებში Pro Bono იდეალების ჩანერგვა ეხმარება ადგილობრივი Pro Bono კულტურის გაძლიერებასაც, ასევე, ურთიერთობების გამყარებას იურიდიულ ფირმასა და უნივერსიტეტებს (იურიდიულ ინსტიტუტებს) შორის. ეს შემდგომ ხელს შეუწყობს ერთობლივი სპეციალური პროექტებისა და თანამშრომლობის ორგანიზებას საჯარო ინტერესებისთვის სასარგებლო საკითხებზე. ამგვარი სპეციალური პროექტები ეხმარება ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარებას იურიდიულ ფირმას და სასწავლებლებს შორის, სტუდენტებისთვის ფირმის რესურ-

[6] ადაპტირებულია დოკუმენტიდან *ხშირად დასმული კითხვები: A დანართი PBDA-ს განხორციელების სახელმძღვანელოსთვის: თქვენს იურიდიულ ფირმაში Pro Bono პროგრამის დანერგვის გზამკვლევი.*

სების მუდმივად გამოყენების შესაძლებლობის მიცემა კი ბევრად გააძლიერებს პროექტის სასარგებლო გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ Pro Bono პროექტზე მომუშავე სტუდენტთა შემადგენლობა მუდმივად იცვლება, მონაწილეთა შორის დამყარებული პარტნიორული ურთიერთობები უზრუნველყოფს პროექტის წარმატებულ და შეუფერხებელ განხორციელებას.

იურიდიული სასწავლებლების სტუდენტთა მიერ შესრულებული Pro Bono სამუშაო იურიდიულ ფირმებს ეხმარება სტუდენტთა შესაძლებლობებისა და დროის მართვის უნარ-ჩვევების შეფასებაში. Pro Bono სამუშაო სტუდენტებს აკისრებს მაღალი ხარისხის პასუხისმგებლობას, იურიდიულ ფირმას კი ეძლევა მათი ინდივიდუალური მუშაობის შეფასების საშუალება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა მუშაობას Pro Bono პროექტზე - ისევე, როგორც ანაზღაურებად მომსახურებას - ყოველთვის უნდა კურირებდეს უფროსი იურისტი ან, ზოგადად, იურისტი (ჩვეულებრივ, პარტნიორი), რომელიც აკონტროლებს პროექტს. Pro Bono სამუშაოზე სტუდენტთა მიზიდვამ შეიძლება შეამციროს ფირმის შტატიანი ადვოკატების მონაწილეობა ასეთ პროექტებში, თუმცა მთლიანად არ გამორიცხავს მას. მეტიც, ფირმის ძალისხმევით, მის მიერ დასაქმებულ სტუდენტებს უნდა ესმოდეთ, რომ ადვოკატები Pro Bono პროექტებში უნდა ჩაერთონ არა მხოლოდ საკუთარი პროფესიული ვალდებულების ფარგლებში (დახმარების გაწევა მათვის, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს), არამედ კიდევ იმიტომაც, რომ ეს პროფესიული განვითარებისა და ზრდის შესანიშნავი საშუალებაა, ამყარებს ურთიერთობებს კლიენტებთან და იძლევა ფირმის კულტურის განუყოფელ ნაწილში მონაწილეობის საშუალებას.

ამგვარ გაცნობით კურსს შეიძლება დაემატოს Pro Bono სამუშაოს რომელიმე ერთჯერადი პროექტის ჯგუფურად განხორციელების გამოცდილება, მაგალითად, კარგად ორგანიზებული ერთჯერადი საკონსულტაციო მომსახურება იმ იურისტების მხრიდან, რომლებიც პირველი წელია ფირმაში მუშაობენ.

5.2 Pro Bono სამუშაოს აღიარება

Pro Bono სფეროში ადვოკატთა მუშაობის საჯარო აღიარება კიდევ ერთი მეთოდია Pro Bono პროგრამის ხელშეწყობისა და მასში მონაწილეობის სტიმულირებისათვის. მაგალითად, შეიძლება ყველა თანამშრომელს გავუგზავნოთ ელექტრონული ფოსტა, რომელშიც იქნება ინფორმაცია Pro Bono სფეროში მიღწევების შესახებ. ეს მიღწევები შეიძლება ფირმის საინფორმაციო ბუკლეტებშიც გაშუქდეს; ამასთანავე, პერიოდულად (წელიწადში ან ექვს თვეში ერთხელ) დაიგზავნოს ანგარიში Pro Bono სამუშაოს შესახებ, სადაც მოკლედ აღიწერება ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა,მასზე მომუშავე ადვოკატთა მითითებით; შესაძლებელია სტატიების დართვაც კონკრეტულ Pro Bono პროექტებსა და ოფისებში არსებულ ინიციატივებზე.

Pro Bono სამუშაოს სტიმულირებისა და მის მიმართ ინტერესის გაღვივების კიდევ ერთი საშუალებაა ამ სფეროში ყოველწლიური მიღწევების აღიარება, როგორიცაა, მაგალითად, გარკვეული ოდენობის საათების დაგროვება Pro Bono საქმეებზე მუშაობის მხრივ, ან საუკეთესო შედეგების მიღება; ფირმას ჯილდოების გაცემაც შეუძლია სხვადასხვა დონის Pro Bono სამუშაოს შესრულებისთვის, მათ შორის, სპეციალური ცერემონიის ან სადღესასწაულო ღონისძიების ფარგლებში. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს „Pro Bono ბაზრობის“ გამართვასთან ერთად, სადაც მონაწილეობას მიიღებენ Pro Bono სამუშაოს ძირითადი მიმწოდებლები და ამ პროექტებით დაინტერესებულ ადვოკატებს ექნებათ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად განიხილონ მათთვის შეთავაზებული Pro Bono საკითხები.

ნაწილი VI

შეფასება

6.1 ადვოკატის Pro Bono სამუშაოს შეფასება

Pro Bono პროექტში მონაწილე ადვოკატები უნდა შეფასდნენ რეგულარულად და იმავე წესით, რომლითაც აფასებენ კომერციული საქმეებით დაკავებულ იურისტებს. იმ ფირმებშიც კი, სადაც რეგულარულად არ ტარდება შეფასება, Pro Bono სამუშაო უნდა შეფასდეს წელიწადში, სულ მცირე, ერთხელ. ეს უზრუნველყოფს არა მარტო მაღალხარისხიანი Pro Bono სამუშაოს აღიარებას, არამედ კონსტრუქციულ კრიტიკას, რაც Pro Bono ადვოკატთა მხრიდან ყველა სახის კლიენტის მაღალხარისხიანი მომსახურების გარანტია (იხ. დანართი 5 „ადვოკატის Pro Bono სამუშაოს შეფასების ფორმატი“). როგორც აღვნიშნეთ, Pro Bono სამუშაოს ზედამხედველი პარტნიორისა და კოორდინატორის დახმარება ამ შეფასებაში შესაძლებელია სამუშაოს შესრულების სტატუსზე ანგარიშებით (იხ. ქვეპუნქტი 3.5.2).

6.2 Pro Bono პროგრამის შეფასება

ადვოკატის ინდივიდუალური სამუშაოს შეფასებასთან ერთად, ფირმის Pro Bono კომიტეტი ვალდებულია, პერიოდულად შეაფასოს ფირმაში მოქმედი Pro Bono პროგრამაც (იხ. ქვეპუნქტი 2.3.3(ვ)). კომიტეტის არარსებობის შემთხვევაში, პირი, რომელიც შეაფასებს პროგრამის შედეგებს და მისცემს რეკომენდაციებს შესაძლო გაუმჯობესებაზე, ინიშნება Pro Bono კოორდინატო-

რის ან თავმჯდომარის მიერ.

Pro Bono პროგრამის შემფასებელი პირი უნდა ფლობდეს ყველა საჭირო ინფორმაციას, კერძოდ:

- ერთი წლის განმავლობაში ნამუშევარი Pro Bono საათების საერთო ოდენობა;
- იმ იურისტთა, კონსულტანტთა და პარტნიორთა რიცხვობრივი და პროცენტული ოდენობა, რომლებმაც Pro Bono პროექტზე იმუშავეს, სულ მცირე, გარკვეული ოდენობის საათები ერთი წლის განმავლობაში;
- ერთი წლის განმავლობაში Pro Bono სამუშაო საათების საშუალო მაჩვენებელი ერთ ადვოკატზე;
- Pro Bono სამუშაო საათების პროცენტული შეფარდება ანაზღაურებადი სამუშაო საათების საერთო რაოდენობასთან;
- ყველა ზემოაღნიშნული მაჩვენებელი სხვადასხვა ოფისის სპეციალიზებული ჯგუფების მიხედვით;
- მონაცემები სპეციალიზებული ჯგუფების შესახებ, რომელთა იურისტებმაც გამოიმუშავეს, საშუალოდ, ოფისში განსაზღვრულ ანაზღაურებად საათებზე ან ოფისისა თუ ფირმის საშუალო Pro Bono საათებზე ნაკლები;
- Pro Bono კლიენტთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს დახმარება ერთი წლის განმავლობაში;
- თითოეულ კლიენტზე/Pro Bono საქმეზე ერთი წლის განმავლობაში გამოყოფილი საათების ოდენობა;
- Pro Bono საქმეების ჩამონათვალი, დაყოფილი ტიპების მიხედვით;
- ინსტიტუციური პარტნიორობის ფარგლებში ფირმისთვის გადაცემული Pro Bono საქმეების ჩამონათვალი;
- Pro Bono შესაძლებლობის სხვა წყაროების ჩამონათვალი;

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი Pro Bono პროექტების ეფექტიანობა ან წარუმატებლობა.

ამ ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე, ფირმას ეძლევა საშუალება, გააანალიზოს საკუთარი Pro Bono პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები; ასევე, ადვოკატებთან განხილვის ან მათი ანონიმური გამოკითხვის საშუალებით, შეაფასოს, ახერხებს თუ არა ფირმა საკუთარი Pro Bono მიზნების მიღწევას, როგორია პარტნიორთა ჩართულობა ამ პროცესში და რამდენად შედეგიანია ინსტიტუციური პარტნიორობა საინტერესო Pro Bono შესაძლებლობათა უზრუნველყოფის მხრივ.

ფირმებს შეუძლიათ, ეს შეფასებები გამოიყენონ შესაბამისი კორექტივების შეტანისათვის - ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა საკუთარი Pro Bono პროგრამების გაუმჯობესება, ამ სფეროში ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, კონტროლის სტრუქტურის შეცვლა და ადვოკატთა მოზიდვის ახალი საშუალებების გამოვლენა.

ნაწილი VII

PRO BONO პროგრამის სარგებელი

ეს თავი წარმოგვიდგენს Pro Bono პროგრამის ძირითად სარგებელს.

7.1 იურიდიული დახმარების უკეთესი ხელმისაწვდომობა

კარგად ორგანიზებულ Pro Bono პროგრამას შეუძლია გაზარდოს ადვოკატთა შესაძლებლობა, რომ აღმოფხვრან შეუსაბამობა საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფების (ასევე, არაკომერციული ორგანიზაციების, რომლებიც ცდილობენ მათ დახმარებას) სამართლებრივ საჭიროებებსა და თავიანთ შესაძლებლობებს შორის (შესაბამისი იურიდიული დახმარების გაწევის მხრივ). იგი ადვოკატებს სხვა პრობლემების გადაჭრის საშუალებასაც აძლევს, როცა საჯარო ინტერესების სასარგებლოდ მომუშავე არაკომერციულ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს არ აქვთ ადვოკატის დაქირავების საშუალება, თუმცა საჭიროებენ იურიდიულ დახმარებას რიგი საკითხების ეფექტიანად გადაწყვეტისათვის.

7.2 ადვოკატების გადამზადება

Pro Bono პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, გავაუმჯობესოთ უმცროს ადვოკატთა უნარ-ჩვევები და დავეხმაროთ მათ პროფესიული კონტაქტების ქსელის შექმნაში. როგორც წესი, ისინი მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ თავიანთი ფირმების სასამართლო საქმეებსა თუ კომერციულ გარიგებებში. Pro Bono პროგრამა მათ საშუალებას აძლევს, შეადგინონ სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტები ან კონტრაქტები, მოამზადონ საბუ-

თები სასამართლო განხილვისთვის და მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვაში ან სასამართლო მოსმენებზე. ამასთან, Pro Bono საქმეზე მომუშავე ადვოკატები ხშირად წარმატებით ავითარებენ ურთიერთობის, დისკუსიისა და მოლაპარაკებების უნარებს. საქმეები, რომლებსაც ისინი აწარმოებენ, შეიძლება გახდეს კლიენტთან პირდაპირი კონტაქტის დამყარების ან მოწინააღმდეგე მხარეებთან, მოსამართლეებსა, მათ ასისტენტებსა და სხვა იურისტებთან მჭიდრო ინტერაქციის შესაძლებლობა. როგორც წესი, Pro Bono სამუშაო ადვოკატებს მაღალხარისხიან პასუხისმგებლობას აკისრებს და ამზადებს რთული გადაწყვეტილებების მისაღებად, რასთანაც ექნებათ საქმე მთელი კარიერის განმავლობაში. მოკლედ რომ ვთქვათ, Pro Bono სამუშაო ეფექტიანი საშუალებაა ადვოკატებისთვის, რომ მოკლე დროში დაადგნენ კვალიფიციური სპეციალისტის გზას.

7.3 ადვოკატების მოზიდვა და შენარჩუნება

Pro Bono სამუშაოს კიდევ ერთი უპირატესობა ფირმებისთვის არის ახალი ადვოკატების მოზიდვა და უკვე მომუშავეთა შენარჩუნება.

კვალიფიციური ადვოკატების შერჩევა და შენარჩუნება შეიძლება რთული ამოცანა აღმოჩნდეს იურიდიული მომსახურების კონკურენტულ ბაზარზე. ძლიერ და ორგანიზებულ Pro Bono პრაქტიკას შეუძლია ფირმის დახმარება, რომ გახდეს გამორჩეული კონკურენტთა ფონზე. გამოცდილებამ აჩვენა, რომ Pro Bono სამუშაოს დამწყები იურისტები გამოცდილებზე მეტ დროს უთმობენ.

მაღალკვალიფიციურ ახალგაზრდა ადვოკატთა უმეტესობა ამჯობინებს ისეთ ფირმაში მუშაობას, სადაც შეძლებენ Pro Bono სამუშაოს შესრულებას. ამასთან, ბევრი მათგანი ფირმის Pro Bono სამუშაოს ხარისხს აიგივებს მის დონესა და ზოგად ფასეულობებთან.

ეფექტიან Pro Bono პროგრამას შეუძლია, მნიშვნელოვნად დაეხმაროს ფირმას ღირებული იურიდიული კადრების შენარჩუნებაში. Pro Bono პრაქტიკა, თავისთავად, კომერციულ საქმეებზე

მუშაობის მიმზიდველი ალტერნატივაა და ქმნის თვითრეალიზაციის განცდას (როგორც საზოგადოებრივი სარგებლის, ასევე პირადი პროფესიონალური განვითარების თვალსაზრისით), რაც კომერციულ კლიენტთა ინტერესებზე მომუშავე ადვოკატებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის კარიერის დასაწყისში. როგორც წესი, კარგად ორგანიზებულ Pro Bono პროგრამაში მონაწილეობა ამაღლებს სულისკვეთებას და აჩენს სიამაყისა და ლოიალობის განცდას საკუთარი ფირმის მიმართ. ეს სასარგებლო გავლენა, ჩვეულებრივ, ვრცელდება არა მარტო უმცროს ადვოკატებზე, არამედ უფროს ადვოკატებსა და დამხმარე პერსონალზეც.

7.4 Pro Bono პროგრამის მარკეტინგი და საინფორმაციო მხარდაჭერა

Pro Bono სამუშაოს შეუძლია, სასარგებლო რეკლამა გაუწიოს ფირმას; ფირმებს კი შეუძლიათ, Pro Bono პროგრამები მოიხსენიონ საკუთარ ვებგვერდებზე ან კლიენტებისთვის გაგზავნილ საინფორმაციო ბმულებში. Pro Bono პროგრამის თავმჯდომარემ და ფირმის მარკეტინგის განყოფილებამ უნდა გააანალიზონ საკითხი, როგორ სჯობს ამ პროგრამის საინფორმაციო მხარდაჭერა ფირმის შიგნით (იხ. ქვეპუნქტი 2.3.3(ზ)).Pro Bono სფეროში ფირმის პარტნიორული ურთიერთობა ცნობილ ორგანიზაციებთან (ზოგჯერ, შიდა იურისტების მონაწილეობითაც), Pro Bono დახმარება მნიშვნელოვან საქმეებში, რომლებიც საჯარო ინტერესის საგანია, Pro Bono სამუშაოსთვის ჯილდოების მიღება ან მისი პოზიტიური გაშუქება მედიით ხელს შეუწყობს ახალი კლიენტების (ასევე, ადვოკატების) მოზიდვას. ამ გზით ფირმას შეუძლია, გახდეს გამორჩეული კონკურენტთა ფონზე. მთლიანობაში, წარმატებით განხორციელებულ და კარგად გაშუქებულ Pro Bono პროგრამას შეუძლია გააუმჯობესოს ფირმის იმიჯი ფართო საზოგადოებაში, მედიასა და სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე, უკვე არსებულ თუ პოტენციურ კლიენტებს, ადვოკატებსა და დამხმარე პერსონალს შორის.

მედიით გაშუქება სასარგებლოა საზოგადოებისთვისაც. იგი ინფორმაციას აწვდის ადამიანებს, აფხიზლებს მათ ცნობიერებას

საჯარო ინტერესების მიმართ, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება უსამართლობასა და სოციალურ საჭიროებებს, ან სამართლებრივი სისტემის იმ სფეროებს, რომლებიც მოითხოვს რეფორმებს. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ადვოკატის იმიჯის გაუმჯობესებას და იმ ცვლილებებს, რომლებიც აამაღლებს ზოგად ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი Pro Bono სერვისების გასაჯაროებამდე, ფირმებმა უნდა შეისწავლონ ადგილობრივი კანონმდებლობა. რეკლამის ზოგიერთი სახეობა შეიძლება აიკრძალოს ან შეიზღუდოს კანონით, ანდა პროფესიულ გაერთიანებათა მოთხოვნით.

პიართან ერთად, ადვოკატებს Pro Bono სამუშაოს გამო და კიდევ იმიტომ, რომ ამას უსასყიდლოდ აკეთებენ, შეუძლიათ განსაკუთრებული ავტორიტეტით ისარგებლონ სამართლებრივი რეფორმების განხორციელებისას.

7.5 ურთიერთობა გლობალურ იურიდიულ საზოგადოებასთან

Pro Bono საქმიანობაში მონაწილეობა იურიდიულ ფირმებს დაეხმარება მსოფლიოს სხვა ფირმებთან კონტაქტის დამყარებაში, კერძოდ, იმ პროექტებზე თანამშრომლობით, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა იურისდიქციას. არსებობს Pro Bono პროექტების რამდენიმე საკონსულტაციო ცენტრი (clearinghouse), რომლებიც ფირმებს ამგვარ შესაძლებლობებს სთავაზობენ.

დანართი A

PRO BONO სახელმძღვანელოს ნიმუში

©2015 PILnet™ და ნიუ-იორკის ადვოკატთა საქალაქო
ასოციაცია – საირუს რ. ვენსის საერთაშორისო მართლმსაჯულების ცენტრი

PRO BONO სახელმძღვანელო

[ფირმის დასახელება]

სარჩევი

1. ფირმის Pro Bono ამოცანები 80
2. Pro Bono პროგრამის მიზანი 81
2.1 Pro Bono იურიდიული სერვისების განმარტება 81
2.2 სერვისები, რომლებიც არ მიიჩნევა
Pro Bono მომსახურებად.....81
3. Pro Bono პროგრამის სტრუქტურა 82
3.1 Pro Bono კოორდინატორი 82
3.2 Pro Bono [თავმჯდომარე] [კომიტეტი] 84
4. Pro Bono პროცესი 85
4.1 ახალი საქმეების გახსნა.....85
4.2. ზედამხედველობა და ანგარიშგება 89
4.3. პასუხისმგებელი იურისტის შეცვლა..... 90
4.4. პოტენციური ახალი მხარეების ან
საკითხების გათვალისწინება 91
4.5. დამატებითი იურიდიული დახმარების
მოთხოვნა Pro Bono კლიენტის მიერ 91
4.6. მომსახურების სტანდარტები 91
4.7. შესრულებული სამუშაოს დროისა
და დეტალების აღრიცხვა 92
4.8 ხარჯები 92
4.9. Pro Bono საქმის დასრულება 93
4.10. შეფასება 93

დანართები

დანართი 1 - ახალი Pro Bono საქმის გახსნის განაცხადის ფორმატი;
დანართი 2 - Pro Bono ვალდებულების აქტის ფორმატი;
დანართი 3 - Pro Bono სამუშაოს ანგარიშგების ფორმატი;
დანართი 4 - Pro Bono მომსახურების შეწყვეტისაქტის ფორმატი;
დანართი 5 - ადვოკატის Pro Bono სამუშაოს შეფასების ფორმატი.

1. ფირმის Pro Bono ამოცანები

გვჯერა, ჩვენი ფირმის თითოეულ ადვოკატს აკისრია Pro Bono მომსახურების შეთავაზების პასუხისმგებლობა. ეს უკავშირდება იმ როლს, რომელსაც ადვოკატი ასრულებს საზოგადოებაში, ასევე, სწრაფვას სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამართლებრივი სისტემისკენ.

ფირმა იღებს Pro Bono სამუშაოს ვალდებულებას და სურს, უსასყიდლო იურიდიული მომსახურება გაუწიოს ღარიბ და უუფლებო ადამიანებსა თუ ჯგუფებს, ასევე, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დახმარებას უწევენ მათ. ეს მეტყველებს პროფესიულ მთლიანობასა და ეთიკურ ფასეულობებზე, რომლებიც ძალიან ღირებულია ჩვენთან. ფირმა გეგმავს, იურიდიული სერვისები შესთავაზოს არაკომერციულ ორგანიზაციებსაც, რომლებიც საკუთარ თავს ვერ აძლევენ ამგვარი მომსახურების მიღების უფლებას, და უზრუნველყოს მათი წარმომადგენლობა ისეთ საქმეებზე, რომლებიც საჯარო ინტერესებს შეიცავს (მაგ.: სამოქალაქო უფლებები) და ნაკლებ სავარაუდოა, რომელიმე ადვოკატს მოეკიდა ხელი, თუნდაც ჰონორარის აღების შემთხვევაში.

უფრო კონკრეტულად, ჩვენს ფირმას სურს, თითოეულმა ადვოკატმა წელიწადში, სულ მცირე, 60 Pro Bono საათი იმუშაოს, რომელთა უმეტესობა წინა აბზაცის პირველ წინადადებაში აღწერილ გარემოებებს უნდა მიემართებოდეს. ფირმა იძლევა რეკომენდაციას, ყველა ადვოკატმა შეასრულოს ეს მინიმალური ვალდებულება.

მაშინაც კი, როცა Pro Bono სამუშაო ნებაყოფლობითია, ჩვენი ფირმა მოუწოდებს თითოეულ ადვოკატსა და დამხმარე პერსონალს, მონაწილეობა მიიღონ Pro Bono პროგრამაში, პარტნიორებმა კი აქტიური ზედამხედველობა გაუწიონ მათ სამუშაოს. ამასთან, ფირმას აქვს მოლოდინი, რომ ახალბედა და სხვა ფირმებიდან ახალგადმოსული ადვოკატები მუშაობის დაწყების პირველივე წელს იკისრებენ, სულ მცირე, ერთი Pro Bono საქმის შესრულებას.

2. Pro Bono პროგრამის მიზანი

2.1 Pro Bono იურიდიული სერვისების განმარტება

ტერმინი „Pro Bono იურიდიული სერვისები“ ნიშნავს იურიდიული მომსახურების შეთავაზებას უსასყიდლოდ ან სასყიდლის მოლოდინის გარეშე, რომლითაც სარგებლობენ:

(ა) ღარიბი ან უუფლებო პირები და ჯგუფები;

(ბ) ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებიან მათ;

(გ) პირები, ჯგუფები ან ორგანიზაციები საჯარო ინტერესის საქმეებთან მიმართებით, სადაც სხვაგვარად, დიდი ალბათობით, შეუძლებელი იქნებოდა იურიდიული კონსულტაციის მიღება;

(დ) არაკომერციული სამოქალაქო, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც, სავარაუდოდ, ვერ მიიღებდნენ იურიდიულ კონსულტაციას ჰონორარის გადახდის დაკისრების შემთხვევაში.

2.2 სერვისები, რომლებიც არ მიიჩნევა Pro Bono მომსახურებად

ჩვენი ფირმა ამტკიცებს და მხარს უჭერს ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისებისა და საქმიანობების უმეტესობას და მიესალმება ადვოკატთა მონაწილეობას მათში, თუმცა, ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ისინი არ მიიჩნევა Pro Bono იურიდიულ მომსახურებად. ესენია:

(ა) საზოგადოებისთვის სასარგებლო მოხალისეობა ან საქმიანობა, რომელიც არ მოიცავს იურიდიულ მომსახურებას;

(ბ) იურიდიული მომსახურებები, რომლებსაც სარგებლობა მოაქვს ოჯახის წევრების ან მეგობრებისთვის, თუ ეს პირები არ მიეკუთვნებიან 2.1(ა) ქვეპუნქტს;

(გ) ორგანიზაციების (როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული) დირექტორის მოვალეობის შესრულება ან მათი

სხვაგვარად დახმარება (იურიდიული მომსახურების გარეშე), ადვოკატთა ასოციაციების კომიტეტთა მომსახურება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ კომიტეტის საქმიანობა მოიცავს 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების ან ჯგუფების კვლევას, ანალიზს, ანგარიშგებას ან დამოწმებას), ან სამუშაოს შესრულება (იურიდიული სამუშაოს ჩათვლით) იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც არ ერთიანდებიან პუნქტში 2.1;

(დ) იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დაკავება;

(ე) კანონმდებლობის მიმოხილვითი სტატიების ან წიგნების დაწერა (თუ ისინი არ ეხება 2.1 პუნქტში ჩამოთვლილი ერთი ან მეტი ორგანიზაციის სამართლებრივი სტრატეგიის მხარდაჭერას);

(ვ) უსასყიდლო იურიდიული მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული 2.1 პუნქტით და რომლის შესრულებაც სავალდებულოა კანონის ან რეგულაციის თანახმად;

(ზ) იურიდიული მომსახურებები, რომელთათვისაც მოსალოდნელია ადვოკატის საზღაურის გადახდა კლიენტის მიერ, მაგალითად, ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ან როცა არსებობს ჰონორარის გადახდის მოლოდინი - ამჟამად ან მომავალში.

3. Pro Bono პროგრამის სტრუქტურა

3.1 Pro Bono კოორდინატორი

ფირმას ეყოლება Pro Bono კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელია Pro Bono პროგრამის ზედამხედველობაზე.

Pro Bono კოორდინატორის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

(ა) ყველა პროგრამული ღონისძიების განხორციელება IV ნა-

წილში აღწერილი „Pro Bono პროცესის“ შესაბამისად;

(ბ) ფირმაში ადვოკატის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრა და მისი ინტერესების გამოვლენა გარკვეული სახის Pro Bono სამუშაოს ან საკითხების მიმართ;

(გ) ყოველდღიური კონტაქტი და კომუნიკაცია Pro Bono პარტნიორებთან (მათ შორის, არასამთავრებო ორგანიზაციებთან, ადვოკატთა ასოციაციებთან, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებთან);

(დ) ინფორმაციის მიწოდება იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც გვაძლევს Pro Bono პროგრამა, ასევე, ამჟამად ხელმისაწვდომ Pro Bono საქმეებსა და სამომავლო Pro Bono ტრენინგებზე ფირმის ადვოკატებისთვის (განსაკუთრებით, ახალბედა ან სხვა ფირმებიდან გადმოსული ადვოკატებისთვის);

(ე) სათანადო პერსონალის უზრუნველყოფა და ზედამხედველობა Pro Bono საქმეებზე;

(ვ) კონფლიქტების სათანადო კონტროლი, ბიზნეს კონფლიქტების განხილვა, შეთანხმებების გაფორმება კლიენტის მომსახურებისა და საქმის ერთობლივად წარმოების შესახებ;

(ზ) მიმდინარე Pro Bono საქმეების სტატუსზე მონიტორინგი და ხელმძღვანელი ადვოკატის დახმარება Pro Bono სამუშაოში;

(თ) სათანადო გამკლავება Pro Bono საქმეში პერსონალის ცვლილებასთან (დროებით ან მუდმივად), წარმომადგენლობის შეცვლისა ან გაფართოებისთვის საჭირო ძალისხმევის გაღებასთან ერთად;

(ი) Pro Bono საქმეებთან დაკავშირებულ დიდ ხარჯებზე თანხმობის მოპოვება;

(კ) ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება ფირმის Pro

Bono [თავმჯდომარისთვის] [კომიტეტისთვის] მის მიერ ნაკისრ პროგრამასა და საკითხებზე;

(ლ) Pro Bono საქმის წარმატების რეკლამირება ფირმის შიგნით და მუშაობა მარკეტინგის ჯგუფთან Pro Bono პროგრამის გაშუქებაზე ფირმის ფარგლებს გარეთ.

3.2 Pro Bono [თავმჯდომარე] [კომიტეტი]

პროგრამას უნდა ჰყავდეს Pro Bono [თავმჯდომარე] [კომიტეტი] („Pro Bono [თავმჯდომარე] [კომიტეტი]“), რომელიც პასუხისმგებელია მის ზედამხედველობაზე.

[Pro Bono კომიტეტი შედგება [-----] წევრისგან, მოიცავს [----] პარტნიორს, [-----] დამხმარე თანამშრომელს და Pro Bono კოორდინატორს].

Pro Bono [თავმჯდომარეს] [კომიტეტს] ეკისრება შემდეგი მოვალეობები:

(ა) ზედამხედველობა ფირმის Pro Bono პროგრამზე და Pro Bono კოორდინატორის შეძლებისდაგვარად დახმარება საკუთარი მოვალეობების შესრულებაში;

(ბ) განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ახალი Pro Bono საქმეების დამტკიცება და ფირმის შესაბამისი განყოფილებების თანხმობის მოპოვება მათზე. ეს შესაძლებელს გახდის აქტივობის გაგრძელებას პერსონალის ცვლილების ან საქმეების უფრო აქტიურ ფაზაში გადასვლის დროს;

(გ) Pro Bono პარტნიორობის შექმნასა (ისეთ ინსტიტუციებთან, როგორებიც არიან: არასამთავრობო ორგანიზაციები, ადვოკატთა ასოციაციები, სახელმწიფო ორგანოები და სხვა დაწესებულებები) ან, თუ ეს გონივრულია, Pro Bono სამართლებრივ საკითხებზე მუშაობაში ფირმის შიდა იურისტის მონაწილეობის დამტკიცება;

(დ) ფირმის შიგნით Pro Bono სამუშაოს პოპულარიზაციისა და აღიარების პოლიტიკის განსაზღვრა;

(ე) ფირმის ფარგლებს გარეთ Pro Bono პროგრამის მარკეტინგისა და რეკლამირების პოლიტიკის განსაზღვრა;

(ვ) Pro Bono ბიუჯეტის არსებობის შემთხვევაში, მისი დამტკიცება და ბიუჯეტის დაცვით მიღწეული წარმატებისა და წარუმატებლობის მონიტორინგი; ბიუჯეტის არარსებობის შემთხვევაში, კოორდინატორის მიერ ვალდებულების აღება, დაადგინოს თითოეული კონკრეტული Pro Bono სამუშაოს ხარჯის გონივრულობა, გარემოებებიდან გამომდინარე;

(ზ) ფირმის Pro Bono პროგრამის წლიური შეფასება.

4. Pro Bono პროცესი

4.1. ახალი საქმეების გახსნა

ახალი Pro Bono საქმის გახსნისას დასაცავია შემდეგი პროცესები (როცა საქმე ეხება - და, სავარაუდოდ, ასეც იქნება - Pro Bono შესაძლებლობას, რომელსაც Pro Bono კოორდინატორი რეგულარულად ატყობინებს იურისტებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ან უშუალოდ სთავაზობს ადვოკატი, და ა. შ):

(ა) Pro Bono მოთხოვნა: თუ ერთი ან რამდენიმე ადვოკატი დაინტერესებულია ახალი Pro Bono საქმის გახსნით, ერთ-ერთი მათგანი, Pro Bono კოორდინატორი ან მისი ზედამხედველობის ქვეშ მომუშავე პირი, ვალდებულია, შეავსოს „ახალი Pro Bono საქმის გახსნის მოთხოვნა“ 1-ლი დანართით გათვალისწინებული ფორმატით („Pro Bono მოთხოვნა“). Pro Bono მოთხოვნას ხელს აწერს პასუხისმგებელი იურისტი („პასუხისმგებელი იურისტი“), ზედამხედველი პარტნიორი („ზედამხედველი პარტნიორი“) და Pro Bono კოორდინატორი. სხვა საკითხებთან ერთად, Pro Bono მოთხოვნა მოიცავს ინფორმაციას პოტენციურ Pro Bono კლიენტებზე და აღწერს საჭირო მომსახურებასა და მასში მონაწილე სხვა მხარეებს.

(ბ) ინტერესთა კონფლიქტის განხილვა კლიენტებსა და საკითხებთან მიმართებით. შესაძლო დამატებითი მოსაზრებები:

i. Pro Bono მოთხოვნის შევსების შემდეგ, მის ხელმოწერამდე, უნდა შემოწმდეს ინტერესტთა კონფლიქტის არსებობა მოქმედ, ყოფილ ან პოტენციურ კლიენტებთან. ამისათვის გამოიყენება ის პროცედურა, რომლითაც სარგებლობენ ახალ კომერციულ კლიენტებთან. განხილვის - ისევე, როგორც მომდევნო ორ პუნქტში აღნიშნული შემოწმების - შედეგები უნდა აისახოს Pro Bono მოთხოვნაში.

ii. ამასთან, სავარაუდო კონფლიქტები სხვა კლიენტების (როგორც კომერციული, ისე Pro Bono) სახელით წარმოდგენილ პოზიციასთან დაკავშირებით უნდა განიხილონ შესაბამის პარტნიორებთან. ჩვეულებრივ, არ არის სასურველი Pro Bono საქმეებში პრეცედენტების შექმნა, რომლებიც შემდეგ სხვა კლიენტების მიმართ გამოიყენება.

iii. როცა ამას ითხოვს კანონი - ასევე, ფირმის შეხედულებისამებრ - შემდგომი შემოწმება უნდა/შეიძლება განხორციელდეს სავარაუდო Pro Bono კლიენტებთან დაკავშირებით, არაკომერციული ორგანიზაციების, მათი თანამდებობის პირების, დირექტორებისა და ძირითადი პერსონალის ჩათვლით.

iv. როგორც წესი, ფირმა არ განიხილავს სხვა ბიზნეს მოსაზრებებს, როცა იღებს გადაწყვეტილებას ისეთი Pro Bono საქმეების წამოწყებაზე, რომლებიც სცდება ზემოაღნიშნული სამი პუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებს.

(გ) Pro Bono [თავმჯდომარის] [კომიტეტის] თანხმობა: (ბ) პუნქტით გათვალისწინებული საკითხების განხილვისთანავე, Pro Bono განაცხადი თანხმობისთვის უნდა წარედგინოს Pro Bono [თავმჯდომარეს] [კომიტეტს].

Pro Bono [თავმჯდომარემ] [კომიტეტმა] უნდა განიხილოს:

i. არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი ყოფილ, ამჟამინდელ ან პოტენციურ კლიენტთან, Pro Bono კლიენტთა ჩათვლით;

ii. არსებობს თუ არა - ან ხომ არ შეიძლება წარმოიშვას - „საკითხთან“ დაკავშირებული კონფლიქტი;

iii. არსებობს თუ არა სხვა ფაქტები პოტენციური კლიენტის შესახებ, რომელთა გამოც შეიძლება არაგონივრული გახდეს წარმომადგენლობა;

iv. რამდენად შეესაბამება საჭირო სერვისები აქ განსაზღვრულ Pro Bono სამართლებრივ მომსახურებას;

v. რამდენად მზად არის ფირმა, რომ დააკომპლექტოს და სათანადო ზედამხედველობა გაუწიოს საქმეს მაშინაც კი, თუ: მისი მოცულობა და ხანგრძლივობა თავდაპირველი მოლოდინისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდება; ძირითადი ადვოკატ(ებ)ი წავლენ ფირმიდან, ანდა სხვა მიზეზის გამო ვერ შეძლებენ მასზე მუშაობის გაგრძელებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც უნდა განვიხილოთ შრომატევადი და ძვირადღირებული საქმეების შემთხვევაში, ასევე მაშინაც, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ საქმე ასეთი გახდება;

vi. როცა საქმე მოითხოვს თანაიურისტის მონაწილეობას, არის თუ არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მასთან ურთიერთობა და მისი (და ფირმის) პასუხისმგებლობა წერილობით და რამდენად მისაღებია ეს ფირმისათვის;

vii. თუ განხილვის ამ ეტაპზე არსებული Pro Bono საქმე არ დამტკიცდება, გადაწყვეტილების მიზეზ(ებ)ი უნდა დაფიქსირდეს Pro Bono მოთხოვნის ფორმაში.

(დ) Pro Bono ვალდებულების აქტი, და სიტუაცია რამდენიმე კლიენტსა ან იურისტთან: ახალი საქმის გახსნის დამტკიცების შემდეგ, კლიენტმა და ფირმამ, მე-2 დანართით გათვალისწინებული ფორმატით („Pro Bono ვალდებულების აქტი“), უნდა გააფორმონ Pro Bono ვალდებულების აქტი. ეს აქტი უნდა ასახავდეს გასაწევ მომსახურებას, მის პარამეტრებსა და ფარგლებს, ასევე, ხარჯების დაფარვის საკითხს.

თუ არსებობს ადვოკატის ჰონორარისა და ხარჯების, ან ორივე მათგანის ანაზღაურების შესაძლებლობა (განჩინებით, მორიგებით ან სხვაგვარად), საკითხი უნდა განიხილონ კლიენტთან და აისახოს Pro Bono ვალდებულების აქტში. მისი ფორმულირება უნდა გამორიცხავდეს ბუნდოვანებას და, შესაბამისად, გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომასც, როგორც მორიგების შეთავაზება, რომელიც განპირობებულია უარის თქმით ადვოკატის ჰონორარსა და ხარჯებზე, ან ორივე მათგანზე.

ხშირად, გონივრულია სავარაუდო კლიენტთან პირველადი განხილვა ან შეხვედრა, რომლის დასასრულს, ან შემდგომ, მალევე ფორმდება Pro Bono ვალდებულების აქტი. ეს მეთოდი თავიდან აგვაცილებს ისეთ მომსახურებას, რომელიც განსხვავდება ფირმასა და კლიენტს შორის პირველადი დისკუსიისას ან მის შემდეგ შეთანხმებული სერვისისგან.

რამდენიმე კლიენტის ან თანაიურისტის შემთხვევაში, დამატებითი ურთიერთობები, რომლებიც სცდება ერთ კლიენტსა და ერთ ადვოკატთან შექმნილ ჩვეულ სიტუაციას, საჭიროებს განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც დროთა განმავლობაში უნდა დადგინდეს კონკრეტულ გარემოებებთან ადაპტირებული სტანდარტიზებული ფორმატით. კერძოდ, ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად: როგორ, ვის მიერ, რა პროცესისა და, სადაც შესაძლებელია, რომელი სპეციფიკური სახელმძღვანელოს გამოყენებით მიიღება გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილების მიღების შესაბმისი წესის დაუცველობის გამო შეიძლება ვეღარ მოხერხდეს მუშაობის გაგრძელება მხარეებსა და თანაიურისტთან, ან ორივე მათგანთან. ფირმის მოქცევის წესი კომერციული წარმომადგენლობისას რამდენიმე კლიენტსა და თანაიურისტთან ან ორივე მათგანთან, შეიძლება თავიდანვე გაერთიანდეს სახელმძღვანელოში.

(ე) დოსიეს შექმნა: არაუგვიანეს და, ხშირ შემთხვევაში, Pro

Bono ვალდებულების აქტი ხელმოწერამდე, უნდა გაიხსნას ახალი Pro Bono საქმის დოსიე. დოსიეს შექმნისას უნდა დავიცვათ ისეთივე პროცედურები, როგორიც გამოიყენება კომერციულ კლიენტთა ახალი საქმეების შემთხვევაში. Pro Bono კლიენტის თითოეული დოსიე დაცული უნდა იყოს კომერციული კლიენტების დოსიეთა მსგავსად.

4.2. ზედამხედველობა და ანგარიშგება

თითოეულ Pro Bono საქმეს უნდა ჰყავდეს ზედამხედველი პარტნიორი. იგი განიხილავს პასუხისმგებელი იურისტის სამუშაოს, ან სხვაგვარად ეხმარება მას, როცა ფირმა საჭიროდ მიიჩნევს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. თუ Pro Bono საქმეზე პასუხისმგებელი პარტნიორი ფირმის პარტნიორია, მაშინ არ არის აუცილებელ სხვა პარტნიორი ზედამხედველად.

თითოეული პასუხისმგებელი პარტნიორი ვალდებულია, რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია ზედამხედველ პარტნიორს და Pro Bono კოორდინატორს Pro Bono საქმის სტატუსზე, ისეთი საკითხების ჩათვლით, როგორიცაა დახმარების საჭიროება, კლიენტთან ურთიერთობის პრობლემა, ახალი პოტენციური მხარეების, საკითხების ან გარემოებების წარმოშობა.

თითოეული პასუხისმგებელი იურისტი დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას ზედამხედველ პარტნიორს და Pro Bono კოორდინატორს, თუკი ივარაუდება საქმის არასასურველი განვითარება და დამატებითი დახმარების საჭიროება - დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში.

თითოეული პასუხისმგებელი იურისტი ვალდებულია, ყოველ 4 თვეში ერთხელ გაუგზავნოს Pro Bono კოორდინატორს ანგარიში Pro Bono სამუშაოს შესახებ (ასლი კი - ზედამხედველ პარტნიორს) მე-3 დანართით გათვალისწინებული ფორმატით. Pro Bono კოორდინატორი (ან მისი დამხმარე) ვალდებულია, შეძლებისდაგვარად სრულყოს ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც ასახავს წინასწარ ცნობილ ინფორმაციას საქმის შესახებ. შესაძლებლობის ფარგლებშივე უნდა შემუშავდეს ანგარიშის ელექტრონულად გავრცელების, დასრულებისა და დაბრუნების მეთოდები.

4.3. პასუხისმგებელი იურისტის შეცვლა

თუ Pro Bono საქმეზე პასუხისმგებელი იურისტი მიდის ფირმიდან (დროებით ან სამუდამოდ), გადის შვებულებაში, ან მიიჩნევს, რომ აღარ შეუძლია ამ ფუნქციების შესრულება, იგი ვალდებულია, ეს აცნობოს Pro Bono კოორდინატორსა და დაწესებულების ზედამხედველ პარტნიორს, საქმის ვითარებასა და გადაუდებელ ამოცანებთან ერთად. Pro Bono კოორდინატორმა ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს ფირმაში ახალი პასუხისმგებელი იურისტის დაუყოვნებლივ მოსაძებნად. საჭიროების შემთხვევაში, ფირმა ადვოკატს ავალებს ამ როლის შესრულებას. წინამორბედი პასუხისმგებელი იურისტი ვალდებულია, ყველა საჭირო ღონისძიება გაატაროს შუალედურ პერიოდში Pro Bono კლიენტის სათანადო წარმომადგენლობისთვის.

ფირმა, Pro Bono [კოორდინატორის] [თავმჯდომარის] [კომიტეტის] საშუალებით ადგენს პროცედურებს, რათა ყველა საჭირო პირი და საწარმო ინფორმირებული იყოს (ოფიციალურად, საჭიროების შემთხვევაში, ანდა თუ სასურველია) პასუხისმგებელი იურისტის შეცვლაზე. ანალოგიურად, ფირმამ უნდა დააკმაყოფილოს წინამორბედი პასუხისმგებელი იურისტის საქმიდან გასვლისა და ახალი იურისტის საქმეში შემოსვლის დასამტკიცებლად საჭირო ყველა მოთხოვნა.

ამასთან, Pro Bono [კოორდინატორი] [თავმჯდომარე] [კომიტეტი] ვალდებულია, ყველა კომუნიკაცია საკითხის ირგვლივ, საშუალების მიუხედავად, შესაბამისად გადაამისამართოს როგორც ახალ პასუხისმგებელ იურისტთან (თუ უკვე არსებობს), ისე Pro Bono [კოორდინატორთან] [თავმჯდომარესთან] [კომიტეტეტთან]. სამდივნო, ასევე, იურიდიული დახმარების, კორესპონდენციის დამუშავებისა და სხვა პერსონალი, სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული ამ პოლიტიკის შესახებ, ასევე იმაზეც, რომ არცერთ მათგანს არ აქვს უფლება, უადგილოდ გაგზავნოს რაიმე ინფორმაცია, რომელიც ეხება ახალ პასუხისმგებელ იურისტს ან Pro Bono [კოორდინატორს] [თავმჯდომარეს] [კომიტეტს].

4.4. პოტენციური ახალი მხარეების ან საკითხების გათვალისწინება

პოტენციურმა ახალმა მხარეებმა ან საკითხებმა შეიძლება წამოჭრას ზემოაღნიშნულ 4.1(ბ) პუნქტში განხილული პრობლემები და წარმომადგენლობის დაწყებამდე საჭირო გახდეს იმ პირებთან კონსულტაცია, რომლებიც მუშაობენ მსგავს პრობლემებთან გამკლავების კუთხით. შედეგად, ფირმა შეიძლება მივიდეს გადაწყვეტილებამდე, რომ საჭიროა მისი წარმომადგენლობიდან გასვლა, ან გასვლაზე ნებართვის გაცემა.

4.5. დამატებითი იურიდიული დახმარების მოთხოვნა Pro Bono კლიენტის მიერ

თუ კლიენტი ითხოვს დამატებით დახმარებას, რომელიც სცდება წინასწარ შეთანხმებული წარმომადგენლობის ფარგლებს, უნდა განხორციელდეს პროცედურები, რომლებსაც ითვალისწინებს 4.1(ა),(ბ),(გ) პუნქტები, ხოლო თანხმობის შემთხვევაში, Pro Bono ვალდებულების აქტს დაემატოს დანართი, ან მასში შევიდეს ცვლილება; შესაძლებელია ახალი Pro Bono ვალდებულების აქტის გაფორმებაც. დამატებით იურიდიულ სამუშაოს შეიძლება ჰყავდეს სხვა პასუხისმგებელი იურისტი.

4.6. მომსახურების სტანდარტები

ჩვენი ფირმის ადვოკატთა Pro Bono იურიდიული სერვისები უნდა აკმაყოფილებდეს იმავე სტანდარტებს, რომლებიც გათვალისწინებულია კომერციული კლიენტებისთვის. Pro Bono საქმეებზე მომუშავე ადვოკატები ისეთივე ერთგულებას და პროფესიონალიზმს უნდა ამჟღავნებდნენ საქმისადმი, როგორსაც კომერციული კლიენტების შემთხვევაში, ხოლო ზედამხდველი პარტნიორები ვალდებულნი არიან, დაიცვან ეს სტანდარტები.

Pro Bono საქმეები ხშირად ისეთ საკითხებს მოიცავს, რომლებიც არ არის ფირმის ბიზნეს პრაქტიკის ნაწილი. შესაბამისად, ზემოთ აღწერილი მიზნების მიღწევაში ხშირად მონაწილეობენ საჯარო ინტერესებზე მომუშავე სამართლის ორგანიზაციებიც, კერძოდ, ტრენინგების და მენტორინგის გზით, დროთა განმავლობაში კი

მან საკუთარი გამოცდილებაც უნდა განავითაროს ფირმის შიგნით სამართლის კონკრეტულ სფეროებში.

4.7. შესრულებული სამუშაოს დროისა და დეტალების აღრიცხვა

Pro Bono საქმეებზე მომუშავე ადვოკატები (ისევე, როგორც სტუდენტები, იურიდიული თანაშემწეები და სხვა პერსონალი, რომლებიც აღრიცხავენ კომერციულ საქმეებზე დახარჯულ დროს) ვალდებულნი არიან, რეგულარულად დააფიქსირონ ნამუშევარი საათები - ისევე დაუყოვნებლივ და დეტალურად, როგორც კომერციული კლიენტების შემთხვევაში.

ამ საათებთან, ანაზღაურებასა და ადვოკატის წახალისებასთან მიმართებით, ფირმამ უნდა გაითვალისწინოს Pro Bono კლიენტებზე დახარჯული დროც, ისევ და ისევ კომერციულ კლიენტთა მსგავსად.

4.8. ხარჯები

Pro Bono კლიენტები არ ფარავენ ოფისის სტანდარტულ ხარჯებს (მაგ.: ასლების გადაღება, ტელეფონით სარგებლობა და საფოსტო მომსახურება).

თუ Pro Bono ვალდებულების აქტით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, არასტანდარტულ ხარჯებს (მაგ.: ავტორიზებული ან ავთენტური დოკუმენტების ასლების მოპოვება, მოსაკრებლები, ლიცენზიის გაცემა, დოკუმენტების წარდგენა, სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოების წინაშე მოთხოვნის/საჩივრის წარდგენა, სანოტარო ან საკანცელარიო მომსახურება, თარგმანი, ტექნიკური ანგარიშების შედგენა, საქალაქთაშორისო ან შიდა ზარების განხორციელება, დოკუმენტების გაგზავნა და მგზავრობა) ფარავს კლიენტი.

როცა ასეთ ხარჯებს ანაზღაურებს ფირმა, პასუხისმგებელი იურისტი ვალდებულია, მათ წარმოშობამდე მოიპოვოს უფლებამოსილება ფირმისგან Pro Bono კოორდინატორის [თავმჯდომარის] [კომიტეტის] მეშვეობით.

Pro Bono საქმეებზე მომუშავე თითოეულმა ადვოკატმა ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რომ ამ საქმეებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი იყოს გონივრული.

4.9. Pro Bono საქმის დასრულება

Pro Bono საქმის დასრულებისას, პასუხისმგებელი იურისტი ატყობინებს Pro Bono კოორდინატორსა და ზედამხედველ პარტნიორს არსებული ვითარებისა და შედეგების შესახებ. პასუხისმგებელი იურისტი ასევე ვალდებულია, Pro Bono კლიენტს გაუგზავნოს მე-4 დანართით გათვალისწინებული ფორმატის მიხედვით შედგენილი „Pro Bono მომსახურების დასრულების აქტი“ და აცნობოს მას Pro Bonoს საქმისა და, შესაბამისად, შეთანხმებული მომსახურების დასრულება.

დასრულებული Pro Bono საქმის დოსიე, კომერციულ კლიენტთა დოსიეს მსგავსად, უნდა შეინახონ ან განათავსონ Pro Bono ვალდებულების აქტში შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

4.10. შეფასება

Pro Bono სამუშაო შედის შეფასებებში, რომლებსაც ფირმა პერიოდულად ატარებს საკუთარი ადვოკატების მიმართ. შეფასებისას Pro Bono სამუშაოს წარმოება განიხილება დადებითად.

ამასთან, Pro Bono სამუშაო უნდა შეფასდეს შესაბამისი პოლიტიკის მიხედვით, „იურისტის Pro Bono სამუშაოს შეფასების“ ფორმატის გამოყენებით, რომელიც მოცემულია დანართში 5.

დანართი 1

ახალი PRO BONO საქმის გახსნის განაცხადის ფორმატი

<u>ახალი Pro Bono საქმის გახსნის განაცხადი</u>

ვის	:	
ვისგან	:	
თარიღი	:	
წყარო	:	

პასუხისმგებელი იურისტის სახელი:

ზედამხედველის სახელი:

საქმეზე მომუშავე სხვა თანამშრომლების სახელები:

დაასახელეთ, რომელმა ორგანიზაციამ მოგვმართა?
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რა სახის მენტორინგს უზრუნველყოფს ორგანიზაცია,
რომელმაც მოგვმართა (ასეთი არსებობის შემთხვევაში)?

Pro Bono კლიენტის სახელი:

საკონტაქტო პირის (ორგანიზაციაში, თუ ის ორგანიზაციაა) სახელი:

Pro Bono კლიენტის საკონტაქტო ინფორმაცია:

თუ Pro Bono კლიენტი არის ორგანიზაცია, თანამდებობის პირების, საბჭოს სხვა წევრებისა და ძირითადი პერსონალის სახელები და სამუშაო:

მოწინააღმდეგე მხარეთა სახელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

Pro Bono საქმისა და საჭირო მომსახურების აღწერა (თანაკლიენტებს ან/და თანაიურისტებს შორის არსებული შეთანხმებების (თუ არსებობს) ჩათვლით):

საჭირო დროის შეფასება:

ღირებულების შეფასება:

ინტერესთა კონფლიქტის შემოწმება:

ყველა სხვა შემოწმების შედეგები (მაგ.: კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები, ან განხილვები, რომლებიც მოიცავს ინტერნეტით მოპოვებულ ინფორმაციას კლიენტის ან (თუ საჭიროა) თანამდებობის პირების, დირექტორებისა და ძირითადი პერსონალის შესახებ):

პასუხისმგებელი იურისტი

ზედამხედველი პარტნიორი

Pro Bono კოორდინატორი

დამტკიცებულია Pro Bono [თავმჯდომარის] [კომიტეტის] მიერ, თარიღი

უარი ეთქვა Pro Bono [თავმჯდომარის] [კომიტეტის] მიერ, თარიღი

თუ Pro Bono [თავმჯდომარეს] [კომიტეტს] ან Pro Bono კოორდინატორს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, საჭირო დამატებითი ინფორმაცია:

Pro Bono [თავმჯდომარის] [კომიტეტის] შენიშვნები:

დანართი 2

PRO BONO ვალდებულების აქტის ფორმატი

<u>Pro Bono ვალდებულების აქტი</u>

[თარიღი]

[როცა კლიენტი ორგანიზაციაა]: კლიენტის საკონტაქტო პირის სახელი

[კლიენტის სახელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კლიენტი დაფუძნების პროცესში მყოფი ორგანიზაციაა]

[კლიენტის (ან თუ ორგანიზაცია იურიდიულად ჯერ არ არსებობს, კლიენტის საკონტაქტო პირის) მისამართი]

წყარო: Pro Bono წარმომადგენლობა

ძვირფასო [კლიენტის ან კლიენტის საკონტაქტო პირის სახელი]:

ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ ჩვენ თანახმა ვართ, გაგიწიოთ ამ დოკუმენტში აღნიშნული Pro Bono მომსახურება, ასევე, ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს, მომსახურების ფარგლებს და ვადებს.

თანახმა ვართ, ვიყოთ თქვენი [ან თქვენი, როგორც დაფუძნების პროცესში მყოფი ორგანიზაციის სახელით მოქმედი პირის, ხოლო დაფუძნების შემდეგ კი - ორგანიზაციის] წარმომადგენელი [Pro Bono საქმის აღწერა] დაკავშირებით. ჩვენი მომსახურება მოიცავს [Pro Bono მომსახურების აღწერა]. მომსახურება ითვალისწინებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ საკითხებს და მისაღები და გონივრულია ამ ტიპის საქმისთვის.

აქტში მითითებული სერვისისგან განსხვავებული დამატებითი მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ, განვიხილოთ წარმომადგენლობის გაგრძელება, ცვლილება ან ახალი წამომადგენლობის დაწყება, გამომდინარე გარემოებებიდან. ჩვენ შორის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ეს დოკუმენტი ჩასწორდება, ან გაფორმდება ახალი აქტი.

ზემოაღნიშნულ იურიდიულ სერვისებს გთავაზობთ Pro Bono საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ მომსახურება უსასყიდლოა და მისი გაწევისთვის არ დაგეკისრებათ საფასურის ან ოფისისში და სერვისების სტანდარტული ხარჯების დაფარვა (მაგ.: ასლების გადაღება, ტელეფონით სარგებლობა ან საფოსტო მომსახურება).

[პირველი ვარიანტი: ფირმა ანაზღაურების გარეშე ფარავს ჩვენს მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა გონივრულ ხარჯსა და დანახარჯს, რომლებიც წარმოიშვება შემდეგი პროცედურებით: ავტორიზებული ან ავთენტური დოკუმენტების ასლების მოპოვება, ლიცენზიის გაცემა, დოკუმენტების წარდგენა, სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოების წინაშე მოთხოვნის ან საჩივრის წარდგენა, სანოტარო ან საკანცელარიო მომსახურება, თარგმანი, ტექნიკური ანგარიშების შედგენა, საქალაქთაშორისო ან შიდა ზარების განხორციელება, დოკუმენტების გაგზავნა და მგზავრობის ხარჯები].

[მეორე ვარიანტი: თქვენ პასუხს აგებთ და ვალდებული ხართ, დაფაროთ (გარდა მითითებული სტანდარტული ხარჯებისა) ჩვენს მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები და დანახარჯები, რომლებიც წარმოიშვება (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგი პროცედურებით: ავტორიზებული ან ავთენტური დოკუმენტების ასლების მოპოვება, სერტიფიკატების გაცემა, დოკუმენტების წარდგენა, სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოების წინაშე მოთხოვნის ან საჩივრის წარდგენა, სანოტარო ან საკანცელარიო მომსახურება, თარგმანი, ტექნიკური ანგარიშების შედგენა, საქალაქთაშორისო ან შიდა ზარების განხორციელება, დოკუმენტების გაგზავნა, მგზავრობა, მოწმედ მოწვეული კონსულტანტების ან ექსპერტების ჰონორარების გადახდა და ჩვენების გაშიფვრა. ჩვენი ფირმა დააფიქსირებს ამგვარ ხარჯებს და დანახარჯებს და მოგთხოვთ მათ დაფარვას.]

[მესამე ვარიანტი: თქვენ პასუხს აგებთ და ვალდებული ხართ, დაფაროთ (გარდა მითითებული სტანადარტული ხარჯებისა) ჩვენს მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები და დანახარჯები, რომლებიც წარმოიშვება (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგი პროცედურებით: ავტორიზებული ან ავთენტური დოკუმენტების ასლების მოპოვება, სერტიფიკატების გაცემა, დოკუმენტების წარდგენა, სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოების წინაშე მოთხოვნის ან საჩივრის წარდგენა, სანოტარო ან საკანცელარიო მომსახურება, თარგმანი, ტექნიკური ანგარიშების შედგენა, საქალაქთაშორისო ან შიდა ზარების განხორციელება, დოკუმენტების გაგზავნა, მგზავრობა, მოწმედ მოწვეული კონსულტანტების ან ექსპერტების ჰონორარების გადახდა და ჩვენების გაშიფვრა. ამ ხარჯების და დანახარჯების წარმოშობამდე, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას საჭირო თანხით (თუ ცნობილია, ან როგორც კი ცნობილი გახდება) ჩვენი წინასწარი უზრუნველყოფისათვის].

ვიტოვებთ უფლებას, კანონისა და ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, ნებისმიერ დროს შევწყვიტოთ ჩვენი მომსახურება, თქვენი უფლებების ადეკვატურად დაცვით, მათ შორის, ყველა იმ საგანგებო ზომის მიღებით, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამისათვის. შეწყვეტის შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ დოკუმენტს მომსახურების შეწყვეტის შესახებ. ერთ-ერთი გარემოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეს, არის საქმეში ახლი განსხვავებული მხარეების ან სამართლებრივი საკითხების დამატება.

თქვენ თანახმა ხართ, (i) ითანამშრომლოთ ყველა საკითხში, რომლებიც აუცილებელია ჩვენი მომსახურების ადეკვატურად გასაწევად; (ii) დროულად გვაცნობოთ თქვენი (და, არსებობის შემთხვევაში, თქვენი საკონტაქტო პირის) ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის ან მისამართის ცვლილება; (iii) აუცილებლობის შემთხვევაში, გადაიხადოთ ან აანაზღაუროთ, წინამდებარე დოკუმენტში აღნიშნული ხარჯები და ხარჯები; (iv) დროულად გვაცნობოთ საქმესთან დაკავშირებული მოვლენების ყოველი ახალი განვითარება ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება, იმის გაცნობიერებით, რომ მხარეთა ან სამართლებრივ საკითხთა დამატება რელევანტურია; (v) რეგულარულად გვეკონტაქტოთ თქვენი საქმის სტატუსის გასაგებად ან/და გან-

სახილველად; და (vi) წერილობით გვაცნობოთ, თუკი გექნებათ წინამდებარე დოკუმენტით შეთანხმებული მომსახურების ცვლილების ან გაფართოების სურვილი.

[დაამატეთ ფრაზა, დაეყრდენით ფირმის კომერციული კლიენტის შეთანხმებას ფირმის მხრიდან სხვა წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე უარის შესახებ, კლიენტისთვის არასასურველი სამომავლო წარმომადგენლობის ჩათვლით, იმ პირობით, რომ ეს პირდაპირ არ უკავშირდება წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ იურიდიულ მომსახურებას].

[დაამატეთ ფრაზა, დაეყრდენით ფირმის კომერციული კლიენტის ვალდებულების აქტს, თუ როგორ უნდა განკარგოთ ტრადიციული ან ელექტრონული ფორმით შედგენილი მასალები საქმის დასრულების შემდეგ.]

თუ ეთანხმებით დოკუმენტის შინაარსს, კერძოდ, მასში აღწერილი მომსახურების ფარგლებს, მახასიათებლებსა და პირობებს, გთხოვთ, მოაწეროთ ხელი და მისი ასლი დაგვიბრუნოთ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.

პატივისცემით,

[იურიდიული ფირმის დასახელება]

ვეთანხმები დოკუმენტის პირობებს ----------

[საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი, თუ კლიენტი ორგანიზაციაა]

[თუ კლიენტი ორგანიზაციაა, დაამატეთ: ვის მიერ:]

სახელი: ----------

[თუ კლიენტი ორგანიზაციაა, დაამატეთ პირის თანამდებობა ორგანიზაციაში]

ხელმოწერა: ----------

დანართი 3

PRO BONO სამუშაოს ანგარიშგების ფორმატი

(საჭიროებს ადაპტირებას, თუ გაგზავნა და რეაგირება ხდება ელექტრონულად)

Pro Bono სამუშაოს ანგარიში

[თარიღი]

Pro Bono კლიენტის/საქმის კოდი:

Pro Bono კლიენტის/საქმის სახელი:

პასუხისმგებელი იურისტის სახელი:

ზედამხედველი პარტნიორის სახელი:

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში გაუგზავნოთ ანგარიშის ასლი Pro Bono კოორდინატორს [თავმჯდომარეს] [კომი-

ტეტს] და ზედამხედველ პარტნიორს. წინასწარ გიხდით მადლობას.

1. Pro Bono კოორდინატორისთვის [თავმჯდომარისთვის] [კომიტეტისთვის] ცნობილი საქმის უახლესი სტატუსი (ჩასმულია ფორმის გავრცელებამდე, ინფორმაციის თარიღისა და წყაროს მითითებით):

---

2. მიუთითეთ საქმის მიმდინარე სტატუსი:

---

3. მიუთითეთ, ხომ არ გქონიათ ან გაქვთ რაიმე სახის პრობლემა ან დისკომფორტი საქმესთან დაკავშირებით (და თუ ასეა, გთხოვთ, აღწეროთ დეტალურად):

---

4. მიუთითეთ შესრულებული სამუშაო და საქმის მიმდინარეობა (ან მათი არარსებობა) ბოლო განახლების (თუ ეს პირველია) ან მიღების შემდგომ:

---

5. მიუთითეთ შემდგომი ნაბიჯები და ზომები, რომლებსაც შეიძლება მიმართოთ, ან სხვაგვარად არის მოსალოდნელი:

---

6. Pro Bono კლიენტთან ბოლო კონტაქტის თარიღი:

---

7. მიუთითეთ, თუკი გეგმავთ ან გონივრულად მიგაჩნიათ მხარეების ან სამართლებრივი საკითხების დამატება; ასევე, დეტალური ინფორმაცია, რამდენად შემოწმდა კონფლიქტების არსებობა ან/და თუ განხორციელდა თანხმობის მისაღებად საჭირო სხვა ქმედებები:

---

8. დაამატეთ შენიშვნები, მათ შორის, ხომ არ მოუთხოვია კლიენტს დამატებითი იურიდიული დახმარება, ან ხომ არ ელით მისგან ასეთ მოთხოვნას:

პასუხისმგებელი იურისტი

დანართი 4

PRO BONO მომსახურების შეწყვეტისაქტის ფორმატი

<u>Pro Bono მომსახურების შეწყვეტის აქტი</u>

[თარიღი]

[*კლიენტის სახელი*]

[*საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის საკონტაქტო პირის სახელი და თანამდებობა*]

[*კლიენტის ან, საჭიროების შემთხვევაში, მისი საკონტაქტო პირის მისამართი*]

წყარო: Pro Bono წარმომადგენლობა [საქმის დასახელება]

ძვირფასო [კლიენტის ან კლიენტის საკონტაქტო პირის სახელი]

პირველი ვარიანტი: გაცნობებთ, რომ [საქმის მოკლე აღწერა და მისი დასკვნითი ნაწილი] და, შესაბამისად, ჩვენი იურიდიული მომსახურება შეწყვეტილია ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

მეორე ვარიანტი: Pro Bono ვალდებულების აქტის შესაბამისად [მიუთითეთ თარიღი და დაურთეთ ასლი], გაცნობებთ, რომ ამჟამად გადავწყვიტეთ, იურიდიული მომსახურების შეწყვეტა ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით [საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ მიზეზ(ებ)ი].

მოხარული ვართ, რომ შევძელით, ვყოფილიყავით თქვენი წა-

რმომადგენელი. სამომავლოდ, თუ დაგჭირდებათ იურიდიული წარმომადგენლობა რაიმე სხვა საქმეში, გთხოვთ, დაუკავშირდით [ჯგუფი,რომელსაც უნდა მიმართონ, ასეთის არსებობის შემთხვევაში], [ან დაგვიკავშირდით ჩვენ. ფრჩხილებში ჩასმული „ჩვენ“ არ უნდა მიეთითოს, თუ შეწყვეტა გამოწვეულია კლიენტის მხრიდან პასუხის გაუცემლობით ან მისი უპასუხისმგებლო და არაეთიკური საქციელით] თქვენთვის წარმომადგენლობის გაწევის განსახილველად.

[დაამატეთ ფრაზა, დაეყრდენით ვალდებულების აქტს, თუ როგორ უნდა განკარგოთ ტრადიციული თუ ელექტრონული ფორმით შედგენილი მასალები საქმის დასრულების შემდეგ].

დაგვიკავშირდით, თუ გაქვთ კითხვები დოკუმენტთან დაკავშირებით.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით,

[იურიდიული ფირმის დასახელება]

დანართი 5

ადვოკატის PRO BONO სამუშაოს შეფასების ფორმატი

<u>ადვოკატის Pro Bono სამუშაოს შეფასება</u>

თარიღი: ----------

შეფასებული ადვოკატი: ----------

შემფასებელი ადვოკატი: ----------

საქმე: ---------- კოდი: ----------

[მხოლოდ რჩევისთვის: უნდა ისარგებლოთ იმავე ფორმატით, რომელსაც გამოიყენებდით ანაზღაურებადი საქმის შემთხვევაში (საჭიროებისას, მინიმალური ცვლილებისშეტანით მასში)]

1. 1-დან 10-მდე ქულებით გამოხატეთ თქვენ მოსაზრება ადვოკატის შესახებ, რომელიც შეფასდა ქვემოთ მოცემულ სფეროებში:

დოკუმენტების შედგენა ----------

დოკუმენტების წარდგენა ----------

დეტალებზე ორიენტირებულობა ----------

საქმის შესწავლის პოტენციალი ----------

ინსტრუქციის შესრულების უნარი ----------

ინიციატივა ----------

კრიტიკული აზროვნება ----------

კრიტიკის მიღების უნარი ----------

კოლეგებთან ურთიერთობა ----------

პროპრიტეტების განსაზღვრისა
და რამდენიმე ამოცანის
ერთობლივად მართვის უნარი ----------

დოკუმენტების დროულად მიწოდება ----------

პროფესიონალიზმი ----------

Pro Bono კლიენტთან ურთიერთობა ----------

რეგულარული კონტაქტი
Pro Bono კლიენტთან ----------

2. შეფასებული ადვოკატის ძლიერი მხარეების აღწერა:

---

3. შეფასებული ადვოკატის სუსტი მხარეების აღწერა:

---

4. დამატებითი შენიშვნები:

---

5. გაუზიარეთ თუ არა ადვოკატს თქვენი მოსაზრებები მის მუშაობაზე?

თუ არა, გირჩევთ მოიქცეთ ასე.

PRO BONO კითხვარის ფორმატი

Pro Bono კითხვარი

სახელი: ----------

სფერო: ---------- ხანგრძლივობა: ----------

Pro Bono სამუშაოს მიმართ ჩემი ინტერესები მოიცავს (თეორიულად) შემდეგ სფეროებს (ვაცნობიერებ, რომ გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავინტერესდე სხვა საკითხებითაც)

----------	ადმინისტრაციული მოსმენა	----------	სამოქალაქო უფლებები
----------	საკონსტიტუციო სამართალი	----------	მომხმარებელთა უფლებები
----------	სისხლის სამართლის საკითხები	----------	ოჯახში ძალადობა (სიკვდილით დასჯის ჩათვლით)
----------	ეკოლოგიური სამართალი	----------	ოჯახური პრობლემები
----------	ადამიანის უფლებები	----------	ემიგრაცია/ თავშესაფარი
----------	მეიჯარე/მოიჯარე	----------	სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში
----------	სააპელაციო სამართალწარმოება	----------	არაკომერციული ორგანიზაციები

_____	უძრავი ქონების სამართალი	_____	მცირე ბიზნესი
_____	საგადასახადო სამართალი	_____	ანდერძი და ცხოვრების დაგეგმვა
_____	ქალთა უფლებები	_____	მშრომელთა უფლებები

გთხოვთ, ქვემოთ დეტალურად აღწეროთ დამატებითი ინტერესები, როგორიცაა არაკომერციული ორგანიზაციებისთვის გარკვეული სამუშაოს შესრულება, ოჯახური სამართლის გარკვეული სახეობები და ადმინისტრაციული მოსმენის გარკვეული ტიპები (მაგ.: უმუშევრობის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სახელმწიფო საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ):

_____

_____

მსურს, მაცნობოთ Pro Bono შესაძლებლობები (ზემოაღნიშნულ სფეროებში):

დიახ _____ არა _____

(სხვა საკითხებზე, რომლებითაც შეიძლება დავინტერესდე კონტექსტიდან გამომდინარე):

დიახ _____ არა _____

შემიძლია ამჟამად ან ახლო მომავალში ვიმუშაო ერთ ან მეტ Pro Bono საქმეზე:

დიახ _____ არა _____

დაინტერესებული ვარ Pro Bono სამუშაოს მენტორინგით ან ზედამხედველობით:

დიახ _____ არა _____

თანხმობის შემთხვევაში, მიუთითეთ სფეროები: _____

_____

დანართი C

ცალკეული საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული PRO BONO დოკუმენტები

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის PRO BONO დეკლარაცია[7]

დამტკიცებულია ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს მიერ 2008 წლის ოქტომბერში

ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საბჭო, იურისტთა გლობალური ხმა:

ა) შთაგონებული უკეთესი და უფრო სამართლიანი მსოფლიოს ხედვით;

ბ) ადასტურებს ადვოკატთა სასიცოცხლო როლს ამ ხედვის რეალიზებაში;

გ) აღიარებს, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა აუცილებელია თავისუფლების, სამართლიანობის, ღირსების, პროგრესის, განვითარებისა და კანონის უზენაესობისთვის;

დ) მხარს უჭერს მართლმსაჯულების გზაზე ბარიერების მსხვრევას, როგორც ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს;

ე) მწუხარებას გამოთქვამს იმ ფაქტის მიმართ, რომ სასამა-

[7] წყარო:http://www.ibanet.org/Document/Default.aspx?DocumentUid=C4B06FD6-A807-44D4-A98AC73B464589C6.

რთლოსა და ეფექტიან იურიდიულ წარმომადგენლობაზე წვდომა არ აქვს ყველა ადამიანს, რომლებიც ამას საჭიროებენ, განსაკუთრებით, ღარიბ, უუფლებო და მარგინალიზებულ პირებს;

ვ) გვახსენებს, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველა ადამიანის უფლებაა და სახელმწიფოს უპირველესი პასუხისმგებლობა გახლავთ ამ უფლების რეალიზაცია და დაცვა, კერძოდ, ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორიცაა იურიდიული დახმარების დაფინანსება მის მიერ, ხაზგასმული შემდეგ დოკუმენტებში: გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დეკლარაცია (მე-10 მუხლი), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება (14(3)(დ) მუხლი) და სხვა ძირითადი საერთაშორისო, რეგიონული თუ ეროვნული დოკუმენტები, ასევე, საბჭოს 1996 წლის რეზოლუცია სამართლებრივი დახმარების შესახებ;

ზ) მოუწოდებს ხელისუფლებას, საკმარისი წყაროები გამოყოს ღარიბ, უუფლებო და მარგინალიზებულ პირთა წვდომისათვის იურიდიული დახმარებაზე, და Pro Bono სერვისების გამო არ შეამციროს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარება;

თ) აცნობიერებს, რომ საზოგადოების ნდობა სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებების მიმართ გამქრალია მართლმსაჯულების არარსებობის ან ამ გზაზე არსებული ბარიერების გამო;

ი) მიიჩნევს, რომ ადვოკატების მხრიდან Pro Bono მომსახურება სასიცოცხლო მნიშვნელობის საჯარო და პროფესიული ინტერესის საგანია და გვეხმარება ღარიბ, უუფლებო და მარგინალიზებულ პირთა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების შესრულებაში, ასევე საზოგადოების ნდობის აღდგენაში სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებათა ეფექტიანობის მიმართ;

კ) აცნობიერებს, რომ ადვოკატის პროფესიას - თუ გავითვალისწინებთ მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს სამართლი-

ანი და თანასწორუფლებიანი სამართლებრივი სისტემის მიმართ - უნიკალური და პრივილეგირებული პოზიცია უკავია მართლმსაჯულების საკითხებში. შესაბამისად, ევალება და აქვს შესაძლებლობა, Pro Bono იურიდიული მომსახურება გაწიოს სახელმწიფო და სასამართლო სისტემებთან, იურიდიულ სასწავლებლებსა და იურიდიული მომსახურების ორგანიზაციებთან ერთად;

ლ) იცავს როგორც ტრადიციულ, ისე ახალ ინიციატივათა ღირებულებებს, ასევე, თანამშრომლობის პრინციპებს ადვოკატთა ასოციაციებს, კერძო და სახელმწიფო იურიდიულ ფირმებს, იურიდიულ სასწავლებლებს, ფონდებსა და სხვა არასახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, რომელიც მიემართება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და ეფექტიანი Pro Bono იურიდიული მომსახურების მიწოდებას;

მ) რომ არაფერი ვთქვათ ლათინური ფრაზიდან (pro bono publico) მომდინარე „Pro Bonoს“ მნიშვნელობაზე: „მუშაობა ან მოქმედება საზოგადოების საკეთილდღეოდ“;

ნ) მიაჩნია, რომ Pro Bono სამუშაოს შესრულებით მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ადვოკატის მოვალეობის გაძლიერება საზოგადოების მომსახურების მიმართ საჭიროებს გარკვეულ ძალისხმევას;

ო) ახსოვს, რომ ინოვაციური Pro Bono სტანდარტებისა და პრაქტიკის შექმნის მოტივაცია შეიძლება მომდინარეობდეს სხვადასხვა ერის სამართლებრივი სისტემებისა და ტრადიციების მრავალფეროვნებიდან;

პ) ითვალისწინებს ღირებულ დეკლარაციებს, რომლებიც მიღებულია ამ სფეროში ეროვნულ და რეგიონულ დონეზე (განსაკუთრებით, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის Pro Bono დეკლარაციას), ხელს უწყობს მეტი ამგვარი დეკლარაციის მიღება-შესრულებას და:

აცხადებს და ადგენს, რომ:

1. მოუწოდებს იურისტებს, იურიდიულ ფირმებსა და ასოციაცი-

ებს, რომ მიაწოდონ Pro Bono იურიდიული სერვისები და ეს განახორციელონ ისეთივე კვალიფიკაციის მქონე ადვოკატებმა, როგორებიც ემსახურებიან კომერციულ კლიენტებს, უსასყიდლოდ ან სასყიდლის მოლოდინის გარეშე, ღარიბი, უუფლებო და მარგინალიზებული პირების, თემების ან იმ ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც დახმარებას უწევენ მათ. Pro Bono იურიდიული მომსახურება მოიცავს კონსულტაციის ან წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევას მათთვის, ვინც მოკლებულია შემდეგ შესაძლებლობებს: საკუთარი უფლებებით სარგებლობა ან მართლმსაჯულებაზე წვდომა; მართლმსაჯულების მართვა, ამ ინსტიტუტის შენება ან გაძლიერების ხელშეწყობა; დახმარების გაწევა ადვოკატთა ასოციაციებისა და სამოქალაქო, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა არასამთავრობო ინსტიტუციებისთვის, როლებიც ემსახურებიან საჯარო ინტერესებს და მოკლებულნი არიან ეფექტიან იურიდიულ მომსახურებასა თუ წარმომადგენლობით სერვისებს; დახმარება საბუთების მომზადებასა და სასამართლო პროცესებში, ასევე, არჩევნების მონიტორინგსა და მსგავს პროცესებში, სადაც საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების, სასამართლო და საარჩევნო სისტემებისადმი შეიძლება რისკქვეშ იდგეს; იურიდიული ტრენინგები და მენტორინგი; დახმარება პროექტის მართვისა და საინფორმაციო რესურსების გაცვლის საშუალებით, და სხვა მსგავსი აქტივობები კანონის უზენაესობის შესანარჩუნებლად.

2. იურიდიული პროფესია კიდევ ერთხელ ადასტურებს ვალდებულებას Pro Bono იურიდიული სერვისების მიმართ, როგორც ამ პროფესიის განუყოფელი ნაწილს; ადვოკატებსა და იურიდიული ფირმებს ეძლევათ რეკომენდაცია, დააზუსტონ საკუთარი დროისა და რესურსების პროპორციული თანაფარდობა მათი იურისტების მიერ Pro Bono სერვისების განსახორციელებლად.

3. Pro Bono იურიდიული მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს უწყვეტად, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ასევე, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საკითხების ყველა იმ ფორმით, სადაც იურიდიული

მომსახურება შეიძლება შეზღუდული იყოს.

4. Pro Bono მომსახურების მნიშვნელობა და პრაქტიკაში განხორციელება უნდა გამოიკვეთოს და წახალისდეს იურიდიულ განთლებასა და პრაქტიკაში. ამისათვის Pro Bono შესაძლებლობები უნდა გახდეს სამართლის ფაკულტეტის აკადემიური ან პრაქტიკული პროგრამების ნაწილი და ნდობა გამოვუცხადოთ იურისტებს, რომლებიც უწყვეტად იღებენ იურიდიულ განათლებას, ან მუშაობენ ამ სფეროში.

5. ადვოკატებმა, მოსამართლეებმა, იურიდიულმა ფირმებმა, ადვოკატთა ასოციაციებმა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა ხელი უნდა შეუწყონ ცობიერების ამაღლებას Pro Bono იურიდიულ სერვისების შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; ასევე, განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც მიემართება პროფესიაზე მონიტორინგს და ფართო საზოგადოებისთვის ანგარიშგებას, თუ როგორია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხარისხი Pro Bono ღონისძიებების საშუალებით.

6. ადვოკატებს, ასევე, იურიდიულ ფირმებს, ადვოკატთა ასოციაციებსა და სხვა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ასაქმებენ მათ, ეძლევათ რეკომენდაცია: დანერგონ ან გააუმჯობესონ გარკვეული Pro Bono პოლიტიკა და პროგრამები; შექმნან პირობები და წაახალისონ გარემო, სადაც Pro Bono სამუშაო იქნება რეკომენდებული, დაფასებული და შესაბამისად დაჯილდოებულიც; მიიღონ ან უზრუნველყონ უწყვეტი იურიდიული განათლება ამ სფეროში, რადგან Pro Bono სერვისები მჭიდროდ უკავშირდება იურიდიული პროფესიის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

7. საბჭო მოუწოდებს ხელისუფლებებს, ხელი შეუწყონ და მხარი დაუჭირონ ადვოკატთა Pro Bono სერვისებს საკუთარ ქვეყნებში და აღკვეთონ მათი ხელშემშლელი გარემოებები. ამასთან, ხელისუფლებამ Pro Bono იურიდიული სერვისები უნდა წაახალისოს სხვადასხვა ღონისძიებით, მაგალითად, არ დაბეგროს ის, ან გააუქმოს გადასახადი.

8. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია აღიარებს და მადლობას უხდის ბევრ ადვოკატსა და იურიდიულ ფირმას, რომლებმაც Pro Bono იურიდიულ სერვისებს უკვე მიუძღვნეს ან ამჟამად უძღვნიან საკუთარი პროფესიული აქტივობების ნაწილს; აქტიურად მოუწოდებს ადვოკატებს, მოსამართლეებს, იურიდიულ ფირმებს, ადვოკატთა ასოციაციებს, იურიდიულ სასწავლებლებს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს Pro Bono იურიდიულ მომსახურებაში მონაწილეობისაკენ; ასევე, სთავაზობს მის მიერ ამ სფეროში შემუშავებულ საინფორმაციო წყაროებს და საკუთარი წვლილის შეტანას მათში, კერძოდ, ვებგვერდებზე www.internationalprobono.com, www.ibaprobono.com და www.roldirectory.org.

9. ადვოკატებს, მოსამართლეებს, იურიდიულ ფირმებს, ადვოკატთა ასოციაციებს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ Pro Bono კონფერენციების ორგანიზებას, მათზე დასწრებასა და მხარდაჭერას. ეს შესაძლებელს ხდის Pro Bono იურიდიული მომსახურების პროექტირებასა და მიწოდებას. ასეთ მომსახურებაში ჩართულ პირებს ულევი რესურსები ექნებათ როგორც სერვისის მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრივ, რითაც სათანადო გამოცდილების მიღება შეიძლება.

10. წინამდებარე დეკლარაცია იწყებს ფართო საგანმანათლებლო კამპანიას და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის კონსულტაციების მრავალწლიან პროცესს, რომლის მიზანია: Pro Bono კულტურის დანერგვა და ხელშეწყობა; Pro Bono იურიდიული სერვისების არსისა და მნიშვნელობის დაფასება; საუკეთესო პრაქტიკის, ასევე, სასურველი ოდენობის დროისა და რესურსების გამოვლენა; ამ სფეროში კონსენსუსის გაღრმავება და შემდგომი პროგრესის მიღწევა; Pro Bono და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კომიტეტს ევალება მუშაობის გაგრძელება და გაფართოება ამ სფეროში, დეკლარაციის გამოყენებაზე მონიტორინგსა და ანგარიშგებასთან ერთად.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის PRO BONO დეკლარაცია[8]

ვინაიდან მართლმსაჯულებისა და იურიდიული წარმომადგენლობის ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისთვის;

ვინაიდან სამთავრობო და იურიდიული მომსახურების ორგანიზაციების რესურსები არ კმარა ღარიბი და უუფლებო პირებისა და თემების კრიტიკული იურიდიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ხშირად უპასუხოდა არის დარჩენილი;

ვინაიდან საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით, ღარიბ და უუფლებო პირებს, არ აქვთ წვდომა მართლმსაჯულებასა და ეფექტიან იურიდიულ წარმომადგენლობაზე;

ვინაიდან მართლმსაჯულებასა და იურიდიულ წარმომადგენლობაზე ხელმიუწვდომლობა ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას სახელმწიფო თუ სასამართლო ინსტიტუციებისა და დემოკრატიის მიმართ;

ვინაიდან იურიდიული პროფესია პრივილეგირებულ როლს ასრულებს და ცალსახად პოზიციონირებს მართლმსაჯულების საკითხებში და, ამრიგად, ევალება და შეუძლია, ხელი შეუწყოს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი მართლმსაჯულების სისტემის შექმნას, ასევე, ადამიანისა და კონსტიტუციური უფლებების დაცვას სახელმწიფო და სასამართლო სისტემებსა თუ იურიდიული მომსახურების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

ვინაიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში არსებობს ამის ტრადიციები, რამდენიმე ქვეყანა კი ადვოკატთა ასოციაციებთან, კერძო და სახელმწიფო იურიდიულ ფირმებთან, იურიდიულ სასწავლებლებთან, ფონდებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ატარებს ახალ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მწვავე და დაუკმაყოფილებელ იურიდიულ საჭიროებებზე; და

---

[8] წყარო: http://www.vancecenter.org/vancecenter/images/stories/vancecenter/english.pdf

ვინაიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის შეთანხმებული მოძრაობა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას Pro Bono სამუშაოს მეშვეობით, რითაც გააძლიერებს სწრაფვას დემოკრატიისკენ და იურიდიული პროფესიის მსახურებას საზოგადოებისთვის;

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, საზეიმოდ ვადასტურებთ საკუთარ ერთგულებას Pro Bono სამუშაოს მიმართ და ვაცხადებთ:

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს ეკისრებათ Pro Bono იურიდიული მომსახურების პასუხისმგებლობა, გამომდინარე ამ პროფესიის როლიდან და დანიშნულებიდან საზოგადოებაში, ასევე, თავისთავადი ვალდებულებიდან სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამართლებრივი სისტემის მიმართ.

ტერმინი „Pro Bono“ მოდის ლათინური ფრაზიდან pro bono publico, რაც ნიშნავს საზოგადოების საკეთილდღეო ქმედებებს;

დეკლარაციის მიზნებისთვის, Pro Bono იურიდიული სერვისები ნიშნავს უსასყიდლოდ ან სასყიდლის მოლოდინის გარეშე მომსახურებას ღარიბი ან უუფლებო პირების, თემებისა და იმ ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც დახმარებას უწევენ ასეთ ადამიანებსა და ჯგუფებს. სერვისები შეიძლება მოიცავდეს მათთვის წარმომადგენლობის გაწევას საჯარო ინტერესების საკითხებში, რომლებიც სხვაგვარად მოკლებული იქნებოდა ეფექტიანი იურიდიული წარმომადგენლობის შესაძლებლობას.

Pro Bono იურიდიული სერვისები შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს სამოქალაქო, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ემსახურებიან ეფექტიან იურიდიულ წარმომადგენლობას მოკლებულ საზოგადოების წევრებს.

Pro Bono იურიდიული სერვისები უნდა განხორციელდეს ისეთივე ხარისხით, როგორც კომერციული კლიენტების შემთხვევაში, ასევე, ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

ეფექტიანი Pro Bono მომსახურება საჭიროებს თანამშრომლობას მართლმსაჯულების სფეროს სხვადასხვა სუბიექტს შორის (ადვოკატთა ასოციაციები, კერძო და სახელმწიფო იურიდიული

ფირმები, იურიდიული სასწავლებლები, ფონდები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ).

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, იურიდიულ პროფესიაში საკუთარი როლის შესაბამისად, ვიღებთ ვალდებულებას:

ვიმოქმედოთ და გავაუმჯობესოთ ღარიბი და უუფლებო პირებისა და თემების ეფექტიანი იურიდიული წარმომადგენლობა;

უზრუნველვყოთ ფართომასშტაბიანი და ეფექტიანი წვდომა მართლმსაჯულებასა და იურიდიულ მომსახურებაზე იმ პირებისა და თემებისთვის, რომლებიც მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას;

თითოეული ადვოკატისათვის წელიწადში განვსაზღვროთ Pro Bono იურიდიული მომსახურების, სულ მცირე, 20 საათი ან 3 დღე; იურიდიული ფირმების, ინსტიტუციებისა და ადვოკატთა სხვა ჯგუფების შემთხვევაში კი, საშუალოდ, 20 საათზე მეტი. ამოცანა უნდა შესრულდეს დეკლარაციის მიღებიდან 3 წლის განმავლობაში.

გავაძლიეროთ Pro Bono იურიდიული სერვისების მიწოდებისა და გაფართოების ვალდებულება, მისი მნიშვნელობის გამოკვეთით და იურიდიულ განათლებაში პრაქტიკად დანერგვით;

ხელი შევუწყოთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნას, განვითარებასა და საქმიანობას, რომლებიც მიაწვდიან საზოგადოებრივი მნიშვნელობის იურიდიულ მომსახურებას;

პროფესიის ფარგლებში დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ ცნობიერების ამაღლებას Pro Bono იურიდიული სერვისებზე, როგორც იურისტთა ეთიკური სტანდარტებისა და ვალდებულებების ნაწილზე.

დეკლარაცია მიზნად არ ისახავს, შეცვალოს ან ჩაანაცვლოს ნებისმიერი არსებული კანონმდებლობა, დადგენილება ან ეთიკური კოდექსი რომელიმე იურისდიქციაში, ფირმასა თუ ინსტიტუციაში, რომელიც უფრო ხელსაყრელია Pro Bono იურიდიული სერვისების მისაწოდებლად.

დეკლარაცია ძალაში შედის 2008 წლის 1 იანვრიდან.

ჩეხეთის რესპუბლიკა: PRO BONO დეკლარაცია[9]

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ჩეხეთში, საზეიმოდ ვაცხადებთ, რომ ვიღებთ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებებისა და საჯარო ინტერესების დაცვაში და გავაგრძელებთ ადვოკატთა მოხალისეობის ტრადიციას ამ სფეროში.

ჩვენი საზოგადოება სწრაფად ვითარდება, როგორც ეკონომიკურად, ისე სოციალურად, რაშიც საგულისხმო როლს ასრულებს მართლმსაჯულება. ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კანონის უზენაესობიდან გამომდინარე, თანამედროვე სახელმწიფოს წინაშე დგას ამოცანა - მაქსიმალურად უზრუნველყოს წვდომა კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებაზე.

დეკლარაციაზე ხელმოწერით, მხარს ვუჭერთ ევროპის ადვოკატთა ქცევის კოდექსის დებულებას, რომ „კანონის უზენაესობის დაცვაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადვოკატს აკისრია კონკრეტული როლი.“[10] ასევე, ვეყრდნობით რეკომენდაციას R(2000)21 ადვოკატის პროფესიის გამოყენების თავისუფლებაზე, რომელიც ხელს უწყობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, კერძოდ, იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის გაწევას ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე პირებისთვის.[11]

ამრიგად, მხარს ვუჭერთ Pro Bono იურიდიული მომსახურების დანერგვას. გვწამს, ჩვენი ადვოკატებისთვის მნიშვნელოვანია,

---

[9] Pro Bono დეკლარაცია მომზადდა ... Pro Bono ალიანსის მიერ (www.probonoaliance.cz, www.probonocentrum.cz) და ხელმოსაწერად გაიხსნა ოფიციალურ საკონსულტაციო ცენტრში (clearinghouse). პრაღა, 25/06/2008, წყარო: http://www.probonocentrum.cz/english/pro-bono-declaration.

[10] პრეამბულა, 1988 წლის 28 ოქტობერს CCBE პლენარულ სხდომაზე მიღებული ევროკავშირის ადვოკატთა ქცევის კოდექსი, რომელიც CCBE პლენარულ სხდომაზე ჩასწორდა1998 წლის 28 ნოემბერს და 2002 წლის 6 დეკემბერს.

[11] მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია R(2000) 21 წევრი სახელმწიფოების მიმართ იურისტის პროფესიის გამოყენების თავისუფლების შესახებ (მიღებულია 2000 წლის 25 ოქტომბერს).

რომ ნებაყოფლობით და შეძლებისდაგვარად დაუთმონ საკუთარი დრო უსასყიდლო იურიდიულ მომსახურებას უუფლებო პირებისა და ჯგუფებისთვის.

ამ კონტექსტში, ვალდებულნი ვართ, აღვნიშნოთ სახელმწიფოს შეუცვლელი როლი იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის საკითხში. ხაზს ვუსვამთ, რომ Pro Bono კონცეფციის დანერგვა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ამ სფეროში ნაკისრი ვალდებულებებისგან.

ვაცნობიერებთ რა ამგვარ გარემოებებს, გვსურს, მხარი დავუჭიროთ Pro Bono იდეის დანერგვას, რათა არა მხოლოდ გამოვავლინოთ საკუთარი ინტერესები საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებში, არამედ ხელი შევუწყოთ ქცევის კოდექსის შესრულებას იურიდიულ პროფესიაში. როგორც გავლენიან პროფესიულ ჯგუფს, გვსურს, საკუთარი წვლილი შევიტანოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ჩვენი მიზანია იმ ინსტიტუციებისა და პირების მაქსიმალური დახმარება, რომელთაც ასევე თავიანთი წვლილი შეაქვთ საჯარო ინტერესებისა და ადამიანის უფლებების დაცვაში. გვახსოვს არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლიც ამ სფეროში და მიგვაჩნია, რომ ადვოკატებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა ბუნებრივიც არის და სასურველიც.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის ყველა ადვოკატს არ აქვს შესაძლებლობა, გამოყოს დრო Pro Bono სამუშაოსთვის და იკისროს მისი შესრულების პასუხისმგებლობა. ამის მიუხედავად, გვჯერა, რომ ამ ქვეყანაში არსებობს Pro Bono კონცეფციის განვითარების უდიდესი პოტენციალი და მზად ვართ, შეძლებისდაგვარად შევიტანოთ წვლილი მის განვითარებაში.

გერმანია: PRO BONO DEUTSCHLAND E.V[12]-ის წევრების მიერ შემუშავებული PRO BONO განსაზღვრება

Pro Bono Deutschland e.V-ის წევრებმა საკუთარი Pro Bono სამუშაოსთვის შეიმუშავეს შემდეგი განმარტება:

„Pro Bono იურიდიული მომსახურება არის საპატიო მიზეზით გაწეული უსასყიდლო იურიდიული მომსახურება და წარმომადგენლობა არაკომერციული თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდებისა და შეჭირვებული პირებისთვის, რომლებიც, ლეგიტიმური მიზეზების გამო, ჯერ არ სარგებლობენ კანონიერი იურიდიული დახმარებით; ეს ტერმინი მოიცავს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ფართოდ გავრცელების ხელშეწყობასაც. Pro Bono იურიდიული მომსახურების მიზანია, ხელმისაწვდომი გახდეს იურიდიული ფირმების პროფესიული გამოცდილება და რესურსები საზოგადოებრივი, უფრო ხშირად კი, საქველმოქმედო მიზნებისთვის და განავითაროს თავისი სამოქალაქო ჩართულობა, როგორც პროფესიული აქტივობის ნაწილი. Pro Bono იურიდიული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული ხარისხის ისეთივე სტანდარტებს, როგორსაც ეყრდნობა ანაზღაურებადი იურიდიული მომსახურების შემთხვევაში. ზოგადად, Pro Bono იურიდიული სერვისები ხორციელდება იმ შემთხვევაშიც, როცა არ არსებობს ამგვარი მომსახურების „ბაზარი“, ან ის ძალიან შეზღუდულია. მხარეებს, რომლებიც ითხოვენ ამგვარ სერვისებს, ხშირად არ შეუძლიათ იურიდიული მომსახურების საფასურის დაფარვა მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან თუ არსებული კანონქვემდებარე აქტებიდან გამომდინარე, ანდა არ სურთ ასე მოქცევა, უპირატესობას ანიჭებენ რა საკუთარი სახსრების მოხმარებას საქველმოქმედო მიზნებისთვის.“

[12] ასოციაცია, რომელიც აერთიანებს, დაახლოებით, 30 ადგილობრივ და საერთაშორისო იურიდიულ ფირმას; დაფუძნებულია გერმანიაში 2011წელს. იხ: http://www.pro-bono-deutschland.org.

უნგრეთი: უნგრეთის ადვოკატთა როლი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობაში (PRO BONO PUBLICO)[13]

წინამდებარე დეკლარაციით ჩვენ ვიხსენებთ უნგრეთის ადვოკატთა ხანგრძლივ და საამაყო მემკვიდრეობას საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობაში.

ვაღიარებთ, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენი პოლიტიკური სისტემის შეცვლამ და ეკონომიკური ტრანსფორმაციით გამოწვეულმა იურიდიული მომსახურების მზარდმა საჭიროებამ მძიმე ტვირთი დააკისრა მოქმედ ადვოკატებს. შედეგად, გაიზარდა სამუშაო დატვირთვა და შემცირდა ყურადღება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმართ.

ამის გამო, ჩვენ, ამ დოკუმენტზე ხელმომწერი უნგრელი ადვოკატები, საჭიროდ მივიჩნევთ, დავადასტუროთ საკუთარი ეთიკური და პროფესიული მოვალეობა Pro Bono იურიდიული მომსახურების წინაშე, კერძოდ, შემდეგი ვალდებულებების აღებით: ჩვენი წვლილი შევიტანოთ და, უსასყიდლოდ ან მცირედი ანაზღაურებით, იურიდიული მომსახურება გავუწიოთ პირებს, რომლებიც საკუთარ თავს ვერ აძლევენ ამის უფლებას, ასევე, ორგანიზაციებს, რომლებიც თავს ღირსეულად უძღვნიან ჩვენი ქვეყნის სამსახურს.

მტკიცედ გვწამს, რომ ყველა ჩვენი კოლეგა შეძლებს, სათანადოდ დააბალანსოს, ერთი მხრივ, კომერციულ კლიენტებთან მუშაობა და, მეორე მხრივ, იმ კლიენტთა მომსახურება, რომელთაც არ შეუძლიათ საფასურის გადახდა, ვინაიდან ჩვენი ეთიკური პასუხისმგებლობაა, უნგრეთის საზოგადოების ყველა წევრი იყოს უზრუნველყოფილი იურიდიული მომსახურებით.

აქვე ვეთანხმებით: ევროპული საბჭოს რეკომენდაციას, რომ „[1] ადვოკატები უნდა წავახალისოთ იურიდიული მომსახურების გასაწევად ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე პირე-

[13] მიღებულია 2006 წელს;

ბისთვის";[14] ასევე, განმარტებას, რომ „მდიდართა და ღარიბთა თანასწორი წვდომა მართლმსაჯულებაზე კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი პირობაა. ამიტომ, საჭიროა ეფექტიანი იურიდიული მომსახურების გაწევა ყველასთვის, ვისი უფლებები და ინტერესებიც საფრთხის ქვეშაა, მათ შორის, იმ პირებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მისი საფასურის გადახდა. ვალდებულება, რომ გარანტირებული იყოს როგორც ეს მომსახურება, ისე მისი ხარისხი, ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა და მას წარმოშობს ამ პროფესიის დამოუკიდებლობა. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს (და მთლიანად საზოგადოებასაც) ეკისრება, ვალდებულება, დაეხმაროს ადვოკატებს ამ პასუხისმგებლობის შესრულებაში."[15]

ვუერთდებით რა წინამდებარე დეკლარაციას, ვაცნობიერებთ და ვიზიარებთ ევროკავშირის ადვოკატთა ქცევის კოდექსის სულისკვეთებას[16], რომელიც ადგენს, რომ „[i] ადოკატს განსაკუთრებული როლი აკისრია კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში."

ვინაიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ უნგრეთის ყველა ადვოკატს არ ხელეწიფება Pro Bono სამუშაოს იმავე დონეზე შესრულება, მაინც მოვუწოდებთ მათ, ეძიონ გზები ასეთი დახმარებისთვის საჭირო პასუხისმგებლობის გასაზიარებლად.

---

[14] ევროპის საბჭოს რეკომენდაცია R(2000)21 ადვოკატის პროფესიის გამოყენების თავისუფლების შესახებ;

[15] ევროპის საბჭოს რეკომენდაცია R(2000)21, ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი (http://cm.coe.int/ta/rec/2000/ExpRec(00)21.htm).

[16] მიღებულია ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოსმიერ (CCBE) 1988წ., ცვლილებები შეტანილია 1998 და 2002 წლებში (http:www.ccbe.org/doc/En/code2002_en.pdf).

ნიგერია: ნიგერიის ადვოკატთა ასოციაციის PRO BONO დეკლარაცია[17]

ვინაიდან მართლმსაჯულებისა და იურიდიული წარმომადგენლობის ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისთვის;

ვინაიდან სამთავრობო და იურიდიული მომსახურების ორგანიზაციების რესურსები არ კმარა ღარიბი და უუფლებო პირებისა და თემების კრიტიკული იურიდიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ხშირად უპასუხოდა არის დარჩენილი;

ვინაიდან საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით, ღარიბ და უუფლებო პირებს, არ აქვთ წვდომა მართლმსაჯულებასა და ეფექტიან იურიდიულ წარმომადგენლობაზე;

ვინაიდან მართლმსაჯულებასა და იურიდიულ წარმომადგენლობაზე ხელმიუწვდომლობა ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას სახელმწიფო თუ სასამართლო ინსტიტუციებისა და დემოკრატიის მიმართ;

ვინაიდან ადვოკატის პროფესია პრივილეგირებულ როლს ასრულებს და ცალსახად პოზიციონირებს მართლმსაჯულების საკითხებში და, ამრიგად, ევალება და შეუძლია, ხელი შეუწყოს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი მართლმსაჯულების სიტემის შექმნას, ასევე, ადამიანისა და კონსტიტუციური უფლებების დაცვას სახელმწიფო და სასამართლო სისტემისა და იურიდიული მომსახურების ორგანიზაციებთან ერთად;

ვინაიდან ნიგერიაში ტარდება ახალი ღონისძიებები და ადვოკატთა ასოციაციები, კერძო და საჯარო ინტერესების სასიკეთოდ მომუშავე იურიდიული ფირმები, ფონდები, სამთავრობო სუბიექტები და არასამთავრობო ორგანიზაციები თანამშრომლობენ ამგვარი მწვავე და დაუკმაყოფილებელი იურიდიული საჭიროებების მიმართულებით;

ვინაიდან ნიგერიის ადვოკატთა ასოციაცია, წამყვანი და შეთან-

[17] მომზადებულია პრეზიდენტის აპარატის, ნიგერიის ადვოკატთა ასოციაციისა და მისისამდივნოს მიერ, აბუჯა. წყარო: http://www.internationalprobono.com/resources/item.291360-Nigerian-Pro-Bono-Declaration

ხმებული მოძრაობა ქვეყანაში, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას Pro Bono სამუშაოს საშუალებით, რითაც გააძლიერებს სწრაფვას დემოკრატიისაკენ და ადვოკატის პროფესიის მსახურებას საზოგადოებისთვის;

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, საზეიმოდ ვადასტურებთ საკუთარ ერთგულებას Pro Bono სამუშაოს მიმართ და ვაცხადებთ:

ნიგერიის ადვოკატთა ასოციაციის წევრებს ეკისრებათ Pro Bono იურიდიული სერვისების გაწევის პასუხისმგებლობა, გამომდინარე ამ პროფესიის როლიდან და დანიშნულებიდან საზოგადოებაში, ასევე, თავისთავადი ვალდებულებიდან სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამართლებრივი სისტემის მიმართ.

„Pro Bono“ მოდის ლათინური ფრაზიდან pro bono publico, რაც ნიშნავს საზოგადოების საკეთილდღეო ქმედებებს;

დეკლარაციის მიზნებისთვის, Pro Bono იურიდიული სერვისები ნიშნავს უსასყიდლოდ ან სასყიდლის მოლოდინის გარეშე მომსახურებას ღარიბი და უუფლებო პირების, თემების ან იმ ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც დახმარებას უწევენ ასეთ ადამიანებსა და ჯგუფებს. სერვისები შეიძლება მოიცავდეს მათ წარმომადგენლობას საჯარო ინტერესების საკითხებში, რომლებიც სხვაგვარად მოკლებული იქნებოდა ეფექტიანი იურიდიული წარმომადგენლობის შესაძლებლობას.

Pro Bono იურიდიული სერვისები შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს სამოქალაქო, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც, რომლებიც ემსახურებიან ეფექტიან იურიდიულ წარმომადგენლობას მოკლებულ საზოგადოების წევრებს.

Pro Bono იურიდიული სერვისები უნდა განხორცილედეს ისეთივე ხარისხით, როგორც კომერციული კლიენტების შემთხვევაში, ასევე, ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

ეფექტიანი Pro Bono მომსახურება საჭიროებს თანამშრომლობას მართლმსაჯულების სფეროს სხვადასხვა სუბიექტს შორის (ადვოკატთა ასოციაციები, კერძო და სახელმწიფო იურიდიული

ფირმები, იურიდიული სასწავლებლები, ფონდები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები).

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, იურიდიულ პროფესიაში საკუთარი როლის შესაბამისად, ვიღებთ ვალდებულებას:

ვიმოქმედოთ და გავაუმჯობესოთ ღარიბი და უუფლებო პირებისა და თემების ეფექტიანი იურიდიული წარმომადგენლობა;

უზრუნველვყოთ ფართომასშტაბიანი და ეფექტიანი წვდომა მართლმსაჯულებასა და იურიდიულ მომსახურებაზე იმ პირებისა და თემებისთვის, რომლებიც მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას;

თითოეული ადვოკატისათვის წელიწადში განვსაზღვროთ Pro Bono იურიდიული მომსახურების, სულ მცირე, 20 საათი ან 3 დღე; იურიდიული ფირმების, ინსტიტუციებისა და ადვოკატთა სხვა ჯგუფების შემთხვევაში კი, საშუალოდ, 20 საათზე მეტი. ამოცანა უნდა შესრულდეს დეკლარაციის მიღებიდან 3 წლის განმავლობაში.

გავაძლიეროთ Pro Bono იურიდიული სერვისების მიწოდებისა და გაფართოების ვალდებულება, მისი მნიშვნელობის გამოკვეთით და იურიდიულ განათლებაში პრაქტიკად დანერგვით;

ხელი შევუწყოთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნას, განვითარებას და საქმიანობას, რომლებიც მიაწვდიან საზოგადოებრივი მნიშვნელობის იურიდიულ მომსახურებას;

პროფესიის ფარგლებში დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ ცნობიერების ამაღლებას Pro Bono იურიდიული სერვისებზე, როგორც იურისტთა ეთიკური სტანდარტებისა და ვალდებულებების ნაწილზე.

დეკლარაცია მიზნად არ ისახავს, შეცვალოს ან ჩაანაცვლოს ნებისმიერი LPA არსებული კანონმდებლობა, დადგენილება ან ეთიკური კოდექსი რომელიმე იურისდიქციაში, ფირმასა თუ ინსტიტუციაში, რომელიც უფრო ხელსაყრელია Pro Bono იურიდიული სერვისების მისაწოდებლად.

დეკლარაცია ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვრიდან.

პოლონეთი: პოლონეთის იურისტები საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის/PRO BONO PUBLICO დეკლარაცია[18]

წინამდებარე დეკლარაციით ვაცხადებთ, რომ ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი პოლონეთის ადვოკატის პროფესიის წარმომადგენლები, ვიხსენებთ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მუშაობის მრავალწლიან ტრადიციას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გამო, შეინიშნება უსასყიდლო იურიდიული მომსახურების საჭიროების ზრდა უკიდურესად შეჭირვებული ადამიანებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ უუფლებო და მარგინალზებული პირების ინტრესებს. გაზრდილია იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა მოვალეობაც ამ საკითხში. შესაბამისად, ჩვენი პროფესია ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს იმ საზოგადოების მოლოდინებსა და საჭიროებებს, რომელშიც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ. საზოგადოების საკეთილდღეო საქმიანობა ახლა მეტ ერთგულებას მოითხოვს ჩვენგან.

შესაბამისად, პოლონეთის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს გვსურს, გამოვაცოცხლოთ ეს სამუშაო, გამოვავლონოთ ჩვენი დამოკიდებულება პროფესიული ეთიკის მიმართ და ხელი შევუწყოთ თითოეულ ადვოკატს, რომ იპოვოს საშუალება საზოგადოების სასარგებლო მოქმედებისათვის.

გვწამს, რომ ჩვენი მოვალეობაა, საზოგადოების თითოეულ წევრს, მიუხედავად მისი ფინანსური მდგომარეობისა, მივცეთ იურიდიული კონსულტაციის მიღების საშუალება. გვსურს, ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად დავეხმაროთ იმ ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ საზოგადოების სასარგებლოდ, ასევე, ყველა იმ პირს, რომელთაც არ აქვთ საკმარისი შესაძლებლობები საჭირო იურიდიული კონსულტაციის მისაღებად.

---

[18] მიღებულია 2007წელს.

დეკლარაციაზე ხელმოწერით მხარს ვუჭერთ ევროპის ადვოკატთა ქცევის კოდექსს, რომლის მიხედვითაც: „ადვოკატს განსაკუთრებული როლი აკისრია კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში“[19]. გვჯერა, ჩვენი პროფესია ყოველთვის ასრულებდა ამ როლს და ასეც გააგრძელებს.

პროფესიული ცოდნის გამოყენებით, გვინდა, ვემსახუროთ ამ პრინციპს და საკუთარი წვლილი შევიტანოთ პოლონეთის ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების შენებაში.

[19] ევროპის ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE), შესავალი, ქვეპუნქტი 1.1

დიდი ბრიტანეთი: Pro Bono იურიდიული სამუშაოს ერთობლივი პროტოკოლი[20]

ადვოკატთა Pro Bono გაერთიანებისა და Law Works-ის მიერ ერთობლივად შემუშავებული Pro Bono პროტოკოლი ადგენს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს Pro Bono სამუშაო. პროტოკოლს ხელს აწერენ Pro Bono მომსახურებაში ჩართული პირები, ადვოკატთა საბჭო, ადვოკატთა Pro Bono გაერთიანება, რამდენიმე პალატა, ასევე, იურიდიული ფირმა და სასწავლებელი.

<...>

Pro Bono იურიდიული სამუშაოს ერთობლივი პროტოკოლი

საკუთარი კარიერის ყველა ეტაპზე ბევრი ადვოკატი მიიჩნევს, რომ Pro Bono სამუშაო, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და უპასუხოდ დარჩენილი იურიდიული საჭიროებების დაკმაყოფილებით, ადვოკატის პროფესიის განუყოფელი ნაწილია. პროტოკოლი შედგენილია ამ სამუშაოს ძირითადი ფასეულობების გადმოსაცემად, ასევე, მისი შემსრულებლებისა და კლიენტების დასახმარებლად. ზოგადად, ბევრი ადვოკატი კისრულობს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო სამუშაოს. ამრიგად, პროტოკოლის მიზანია კონცენტრაცია მათი პროფესიული უნარების გამოვლენაზე Pro Bono იურიდიული სამუშაოს ფორმით.

რას ნიშნავს Pro Bono იურიდიული სამუშაო?

როცა ვახსენებთ Pro Bono იურიდიულ სამუშაოს, ვგულისხმობთ ადვოკატის მიერ იურიდიული კონსულტაციის ან წარმომადგენლობის გაწევას იმ პირებისა ან ჯგუფებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მისი საფასურის გადახდა, ან სახელმწიფო დაფინანსება ამ სერვისზე არ არის ხელმისაწვდომი.

იურიდიული სამუშაო Pro Bono-დ მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როცა ადვოკატი ან ფირმა მას კლინეტისთვის ასრულებს უსასყიდლოდ

[20] წყარო: http://lawworks.org.uk/?id=protocol_text.

(შედეგის მიუხედავად), და ამას აკეთებს ნებაყოფლობით.

Pro Bono იურიდიული სამუშაო მხოლოდ ავსებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული მომსახურების სისტემას და არ ანაცვლებს მას.

როგორ უნდა შესრულდეს Pro Bono იურიდიული სამუშაო?

2.1. Pro Bono იურიდიული სამუშაო ყოველთვის მაღალი სტანდარტით უნდა შესრულდეს.

2.2. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სათანადო იურიდიული კონსულტაციის ან წარმომადგენლობის ხელმისაწვდომობა ყოველთვის მანამდე უნდა განიხილონ, სანამ ადვოკატი იკისრებს Pro Bono იურიდიულ სამუშაოს.

2.3. როცა ადვოკატს სთხოვენ Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულებას, იგი ვალდებულია, გადაწყვეტილება მიიღოს გონივრულ ვადაში.

2.4. Pro Bono იურიდიული სამუშაოს დაკისრების პირობები, ასევე, გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობის შეწყვეტა, თავიდანვე ნათელი უნდა იყოს.

2.5. Pro Bono იურიდიული სამუშაო შეიძლება იკისროს მხოლოდ იმ ადვოკატმა, რომელიც ადეკვატურად არის მომზადებული, აქვს შესაბამისი უნარები და გამოცდილება და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ზედამხედველობის ქვეშაა.

2.6. ადვოკატს, რომელიც კისრულობს Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულებას (საჭიროების შემთხვევაში, მის ზედამხედველსაც) უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ის იურიდიული განათლება და გამოცდილება, რომელიც აუცილებელია ანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად.

2.7. დაუშვებელია კლიენტის შეცდომაში შეყვანა ადვოკატის იმ უნარებთან ან შესაძლებლობებთან მიმართებით, რომლებიც საჭიროა Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესასრულებლად.

2.8. როგორც კი ადვოკატი განაცხადებს თანხმობას Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულებაზე, იგი (საჭიროების შემთხვევაში, მისი იურიდიული ფირმაც) იმავე პრიორიტეტებით უნდა მიუდგეს საქმეს, როგორც ანაზღაურებადი სამუშაოს შემთხვევაში.

2.9. დაუშვებელია Pro Bono იურიდიულ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება სათანადო დაზღვევის გარეშე.

2.10. ადვოკატი, რომელიც მერყეობს ან ეძნელება Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულება, ვალდებულია, კონსულტაცია გაიაროს Pro Bono ორგანიზაციასა ან ადვოკატთა საბჭოსთან, ასევე, იურისტთა ასოციაციასა ან სასამართლო აღმასრულებელ ინსტიტუტთან.

დამხმარე დებულებები

1. ურთიერთობა Pro Bono ორგანიზაციებსა და ადვოკატებს შორის

1.1 თუ მოსახერხებელია, იმ ადვოკატებს, რომელთაც ძალუძთ Pro Bono სამუშაოს შესრულება, ეძლევათ რეკომენდაცია, ეს განახორციელონ Pro Bono ორგანიზაციის, არაკომერციული სეექტორის, ან ორივე მათგანის მეშვეობით.

1.2 ურთიერთობის კოორდინაცია ადვოკატებს, Pro Bono ორგანიზაციებსა და არაკომერციულ სააგენტოებს შორის, როგორიცაა იურიდიული ცენტრები და მოსახლეობის საკონსულტაციო ბიუროები (CABs), უფრო ეფექტიანს გახდის Pro Bono იურიდიულ სამუშაოს.

1.3. როცა Pro Bono ორგანიზაცია ან არაკომერციული სააგენტო ადვოკატს სთხოვს Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულებას, იგულისხმება, რომ ადვოკატის მხრიდან წინასწარი თანხმობის მიცემა ნიშნავს მის მზადყოფნას ამ სამუშაოს შესასრულებლად.

1.4. პალატები, იურიდიული ფირმები და დეპარტამენტები, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობენ, ხელი შეუწყონ

და დაეხმარონ მათი ადვოკატების მიერ სათანადო Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულებას, მათ შორის, ფირმის შიგნით.

2. იმ პირთა წვლილი, რომელთაც არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია, ან სხვა მიზეზით არ შეუძლიათ Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულება.

2.1 პალატებისა და ფირმების არაიურისტ პერსონალს უნდა მიეცეს საშუალება, თავიანთი ანაზღაურებადი სამუშაოს ტოლფასი წვლილი შეიტანონ Pro Bono იურიდიულ მომსახურებაში.

2.2 სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებსა და სტაჟიორ ადვოკატებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შუძლიათ Pro Bono იურიდიულ სამუშაოში, თუმცა, ეს უნდა განხორციელდეს შესაბამისი ზედამხედველობითა და სწავლებით.

2.3 სათანადოდ კვალიფიცირებულ და გამოცდილ აკადემიურ და დასაქმებულ იურისტებს ეძლევათ რეკომენდაცია, განიხილონ სხვების სწავლების საკითხი და მისცენ Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულების საშუალება, თუ თვითონ არ შეუძლიათ ასეთი კონსულტაციისა და წარმომადგენლობის გაწევა. უსასყიდლო Pro Bono იურიდიული მომზადება მნიშვნელოვანი წვლილია Pro Bono იურიდიულ სამუშაოში.

3. Pro Bono იურიდიულ სამუშაოში მონაწილეობა, როგორც იურიდიული პროფესიის ნაწილი

3.1. ადვოკატს მთელი პროფესიული ცხოვრების განმავლობაში ეძლევა Pro Bono იურიდიული სამუშაოს შესრულების რეკომენდაცია, სტუდენტობიდან და პრაქტიკიდან დაწყებული, პენსიაზე გასვლის ჩათვლით.

შეერთებული შტატები: ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის სამოდელო წესი 6.1 ნებაყოფლობითი PRO BONO მომსახურება[21]

თითოეულ ადვოკატს აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა, იურიდიული მომსახურება გაუწიოს მათ, ვისაც არ აქვს საფასურის გადახდის საშუალება. ადვოკატი უნდა ისწრაფვოდეს pro bono publico იურიდიული სამუშაოს, სულ მცირე, 50 საათის შესასრულებლად წელიწადში. ამ პასუხისმგებლობის განხორციელებისას, მან:

(ა) უსასყიდლოდ ან სასყიდლის მოლოდინის გარეშე უნდა შეასრულოს იურიდიული მომსახურების საათების (50) მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგი კლიენტებისთვის:

(1) ნაკლებშემოსავლიან პირები;

(2) საქველმოქმედო, რელიგიური, სამოქალაქო, სათემო, სამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, შექმნილი, პირველ რიგში, ნაკლებშემოსავლიან პირთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

(ბ) უზრუნველყოს დამატებითი სერვისები:

(1) უსასყიდლოდ ან მნიშვნელოვნად მცირე საფასურით მოემსახუროს: პირებს, ჯუფებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ, დაიცვან სამოქალაქო უფლებები, თავისუფლებები ან საზოგადოებრივი უფლებები; ასევე, საქველმოქმედო, რელიგიურ, სამოქალაქო, სათემო, სამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს - მათი მიზნების მისაღწევად, როცა სტანდარტული იურიდიული საფასურის გადახდა მათთვის მიუღებელია, ან მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ორგანიზაციის ეკონომიკურ რესურსებს;

(2) მნიშვნელოვნად მცირე საფასურად მოემსახუროს ნაკლებშემოსავლიან პირებს; ან

[21] წყარო:http://www.americanbar.org/groups/probono_public_service/policy/aba_model_rule_6_1.html

(3) მონაწილეობა მიიღოს აქტივობებში, რომლებიც აუმჯობესებს კანონს, სამართლებრივ სისტემასა და იურისტის პროფესიას.

ამასთან, იურისტმა ნებაყოფლობით უნდა გაუწიოს ფინანსური მხარდაჭერა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ნაკლებშემოსავლიან პირებს აწვდიან იურიდიულ სერვისებს.

შენიშვნა[22]

[1] თითოეულ ადვოკატს, პროფესიული ცნობადობისა და სამუშაო დატვირთვის მიუხედავად, აქვს პასუხისმგებლობა, იურიდიული მომსახურება გაუწიოს პირებს, რომლებიც მოკლებულნი არიან გადახდის შესაძლებლობას, ხოლო უუფლებო პირების პრობლემებში პირადი ჩართულობა შეიძლება ერთ-ერთ სასარგებლო გამოცდილებად იქცეს მის ცხოვრებაში. ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია ყველა ადვოკატს მოუწოდებს წელიწადში, სულ მცირე, 50 Pro Bono საათის მუშაობას. რა თქმა უნდა, შტატებს შეუძლიათ, წლიური მომსახურების საათების მინიმალური ან მაქსიმალური ოდენობა (რაც უნდა გამოისახოს ადვოკატის პროფესიული დროის პროცენტული მაჩვენებლით) აირჩიონ ადგილობრივი საჭიროებებიდან და პირობებიდან გამომდინარეც. რამდენიმე წელიწადში ადვოკატს შეუძლია დადგენილ წლიურ სტანდარტზე მეტი ან ნაკლები სამუშაოს შესრულება, მაგრამ თავისი კარიერის განმავლობაში Pro Bono საქმეებზე თითოეულმა მათგანმა უნდა გამოყოს საათების ის ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული წესით. მომსახურება შეიძლება განხორციელდეს იმ სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ ან კვაზი სისხლისსამართლებრივ საკითხებში, სადაც სახელმწიფოს არ აქვს სახსრების გამოყოფის ვალდებულება იურიდიული წარმომადგენლობისთვის (მაგ.: სიკვდილით დასჯის განაჩენის შემდგომი სააპელაციო საქმეები).

---

[22] წყარო: http://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_condu ct/rule_6_1_voluntary_pro_bono_publico_service/comment_on_rule_6_1.html.

[2] პუნქტები (ა) (1) და (2) აღიარებს იურიდიული სერვისების კრიტიკულ საჭიროებას ნაკლებშემოსავლიან პირებს შორის და ადგენს ყოველწლიური იურიდიული მომსახურების არსებითი ნაწილის უსასყიდლოდ ან სასყიდლის მოლოდინის გარეშე გაწევას მათთვის. ამ პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული სერვისები ასეთი პირებისთვის მოიცავს აქტივობათა ფართო სპექტრს, მათ შორის, როგორიცაა: ინდივიდუალური თუ ჯგუფური წამომადგენლობა, იურიდიული კონსულტაცია, საკანონმდებლო ლობირება, ადმინისტრაციული წესების დადგენა და უფასო სწავლება ან მენტორინგი. ამ აქტივობათა მრავალფეროვნებამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო იურისტთა ჩართულობას, მაშინაც კი, როცა სამართლის საგარეო პრაქტიკა ითვალისწინებს შეზღუდვებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

[3] პირები, რომლებიც (ა) (1) და (2) პუნქტების შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან იურიდიულ სერვისებზე, აკმაყოფილებენ Legal Services Corporation-ის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობის მოთხოვნებს. მათი შემოსავალი და ფინანსური რესურსები ოდნავ მაღალია ამ პროგრამების მიერ გამოყენებულ სახელმძღვანელო პრინციპებთან შედარებით, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ შეუძლიათ მისცენ თავს ადვოკატის დაქირავების უფლება. იურიდიული მომსახურება შეიძლება გაეწიოთ შემდეგ პირებს/ორგანიზაციებს: უსახლკაროთა თავშესაფრები, უფლებადარღვეულ ქალთა ცენტრები, ასევე, სასურსათო ცენტრები, რომლებიც ემსახურებიან ნაკლებშემოსავლიან პირებს. ტერმინი „სამთავრობო ორგანიზაციები“ მოიცავს საზოგადოებრივი დაცვის პროგრამებსა და სამთავრობო ან საჯარო სექტორის სააგენტოთა განყოფილებებს (და არა მხოლოდ).

[4] ვინაიდან მომსახურება უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ ან სასყიდლის მოლოდინის გარეშე, ადვოკატის განზრახვა, გაწიოს უფასო იურიდიული მომსახურება, არსებითია (ა) (1) და (2) პუნქტების შესაბამისად სამუშაოს შესრულებისთვის. სერვისი ვერ ჩაითვლება Pro Bono მომსახურებად მხოლოდ

იმიტომ, რომ მოსალოდნელი ჰონორარი არ არის გადახდილი; ვერც თავდაპირველად Pro Bono-დ განსაზღვრული მომსახურებისთვის ჰონორარის გადახდა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას ზემოხსენებული პუნქტით გათვალისწინებული სერვისებიდან. ადვოკატებს, რომლებიც ამ შემთხვევაში იღებენ ჰონორარს, ეძლევათ რეკომენდაცია, ამ თანხის საკმაო ნაწილი შესწირონ იმ ორგანიზაციებსა ან პროექტებს, რომლებიც ემსახურებიან ნაკლებშემოსავლიან პირებს.

[5] მართალია, ადვოკატს შეუძლია წლიური ვალდებულების შესრულება და Pro Bono მომსახურების განხორციელება ექსკლუზიურად (ა) (1) და (2) პუნქტებით განსაზღვრული აქტივობებით, მაგრამ თუ მომსახურების რამდენიმე საათი დარჩება შეუსრულებელი, ეს ვალდებულება შეიძლება დაკმაყოფილდეს სხვადასხვა გზით (იხ. პუნქტი (ბ)). საკონსტიტუციო, ნორმატიულმა ან მარეგულირებელმა შეზღუდვებმა შეიძლება აკრძალოს ან ხელი შეუშალოს ხელისუფლებას, ასევე, საჯარო სექტორის ადვოკატებსა და მოსამართლეებს (ა) (1) და (2) პუნქტებით განსაზღვრული Pro Bono სერვისების მიწოდებაში. შესაბამისად, ასეთი შეზღუდვებისას, სამთავრობო და საჯარო სექტორის ადვოკატებსა და მოსამართლეებს შეუძლიათ, თავიანთი Pro Bono ვალდებულებები შეასრულონ (ბ) პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გზით.

[6] (ბ) (1) პუნქტი ითვალისწინებს იურიდიული სერვისების გარკვეული ტიპის პირობებს მათთვის, ვისი შემოსავალი და ფინანსური სახსრებიც სცდება ნაკლებშემოსავლიანი პირის სახსრებს. იგი ასევე უფლებას აძლევს Pro Bono ადვოკატს, მომსახურებისთვის მიიღოს მნიშვნელოვნად მცირე საზღაური. მაგალითები, რომლებიც შედის ამ პუნქტში, მოიცავს First Amendment-ის, Title VII-ისა და გარემოსდაცვით მოთხოვნებს. ამასთან, შეიძლება წარმომადგენლობა გაეწიოს ორგანიზაციათა ფართო სპექტრს, სოციალური მომსახურების, სამედიცინო კვლევის, კულტურული და რელიგიური ჯგუფების ჩათვლით.

[7] (ბ) (2) პუნქტი მოიცავს მაგალითებს, სადაც ადოკატები თანხმ-

დებიან/იღებენ მოკრძალებულ საფასურს ნაკლებშემოსავლენი პირებისთვის იურიდიული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ამ პუნქტით რეკომენდაცია ეძლევა უფასო იურიდიული დახმარების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობას, სადაც საფასური მნიშვნელოვნად დაბალია ადვოკატის ჩვეულებრივ განაკვეთთან შედარებით.

[8] (ბ)(3) პუნქტი აღიარებს ადვოკატთა ჩართულობის მნიშვნელობას აქტივობებში, რომლებიც აუმჯობესებს კანონს, მართლმსაჯულების სისტემას და იურისტის პროფესიას. ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტისა და Pro Bono ან იურიდიული სერვისების პროგრამების საბჭოს წევრობა, Law Day-ს აქტივობებში მონაწილეობა, უწყვეტი იურიდიული განათლების ინსტრუქტორის, მედიატორის ან არბიტრის როლის შესრულება, საკანონმდებლო ლობირებაში მონაწილეობა კანონმდებლობის, მართლმსაჯულების სისტემის ან იურიდიული პროფესიის გასაუმჯობესებლად, მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმ მრავალი აქტივობიდან, რომლებიც შეესაბამება ამ პუნქტს.

[9] Pro Bono სერვისების განხორციელება გახლავთ პროფესიული პასუხისმგებლობა. შესაბამისად, იგი თითოეული ადვოკატის ინდივიდუალური ეთიკური ვალდებულებაა. ამის მიუხედავად, შეიძლება ადვოკატმა გარკვეულ პერიოდში ვერ მოახერხოს Pro Bono სერვისებში ჩართვა. ამ დროს, მას შეუძლია, საკუთარი Pro Bono ვალდებულება ჩაანაცვლოს ფინანსური დახმარებით იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევენ ნაკლებშემოსავლიან პირებს. ეს დახმარება გონივრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ სამუშაო საათების ღირებულებას, რომლებსაც სხვა შემთხვევაში შეასრულებდა. ამასთან, ზოგჯერ შეიძლება უფრო მოსახერხებელი იყოს Pro Bono პასუხისმგებლობის კოლექტიურად, ფირმის საერთო Pro Bono აქტივობად განხორციელება.

[10] ვინაიდან, ცალკეული ადვოკატების ძალისხმევა არ კმარა ნაკლებშემოსავლიან პირთა უფასო იურიდიული საჭიროებების

დასაკმაყოფილებლად, ამ სერვისების მიწოდებისთვის სახელმწიფომ და პროფესიამ შექმნა დამატებითი პროგრამები. თითოეული ადვოკატი ფინანსურად უნდა დაეხმაროს ამ პროგრამებს, გაწიოს უშუალოდ Pro Bono მომსახურება ან, როცა ეს შეუძლებელია, ფინანსური წვლილი შეიტანოს მასში.

[11] იურიდიულმა ფირმებმა უნდა იმოქმედონ გონივრულად,- ფირმის ყველა ადვოკატს მისცენ ხსენებული წესით გათვალისწინებული Pro Bono იურიდიული სერვისების მიწოდების საშუალება და მოუწოდონ ამისაკენ.

[12] აღნიშნულ წესში განსაზღვრული პასუხისმგებლობა არ არის გამიზნული დისციპლინური პროცესის გზით განხორციელებისთვის.

შეერთებული შტატები: ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის რეკომენდაცია 121-A [ამონარიდები][23]

Pro Bono პოლიტიკა და პროცედურები

(2006 წლის აგვისტო)

<...>

I. პოლიტიკა და პროცედურები მსხვილი იურიდიული ფირმებისთვის

121-A დადგენილების შესაბამისად, ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია მსხვილ იურიდიულ ფირმებს მოუწოდებს ეფექტიანი სტრატეგიების განხორციელებას, რათა თავიანთი ადვოკატებისთვის უზრუნველყონ Pro Bono სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო შესაძლებლობები, ასევე, შეიმუშაონ ფირმის შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ ტიპის სამუშაოს და რომელთა მეშვეობითაც ფირმა:

(ა) Pro Bono საათებს გაითვალისწინებს ანაზღაურებადი საათების მსგავსად;

(ბ) Pro Bono აქტივობების მიმართ ადვოკატთა სწრაფვას ხელსაყრელ ფაქტორად განიხილავს როგორც წარმატების მიღწევის მხრივ, ისე პარტნიორთა და თანამშრომელთა ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში;

(გ) დასახავს წლიურ მიზნებს ფირმის Pro Bono პროგრამით დახარჯული საათებისა და მონაწილე ადვოკატების რაოდენობასთან დაკავშირებით;

(დ) ქმნის და იყენებს სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფს ფირმის Pro Bono პროგრამების ეფექტიან მართვას, მონაწილე ადვოკატთა სწავლებას და ხელმძღვანელობას, მაღალი დონის ზედამხედველობას ფირმის მენეჯმენტის მხრიდან და

[23] წყარო:http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/leadership/2006/annual/dailyjournal/hundredtwentyonea. doc

მონაწილეობას პროგრამებში;

(ე) ხელს უწყობს უფროსი და პენსიაზე გასული ადვოკატების სწრაფვას Pro Bono პროექტებისკენ და მათში ჩართულობას;

(ვ) იურიდიულ სასწავლებლებს აწვდის სპეციფიკურ ინფორმაციას მათი Pro Bono პოლიტიკის, პრაქტიკისა და აქტივობების შესახებ, კერძოდ:

(i) მათი მიზნები, თუ რამდენი Pro Bono საათი უნდა შეასრულოს ფირმამ ყოველწლიურად;

(ii) ფირმის მიერ რეალურად შესრულებული Pro Bono საათების ოდენობა წელიწადში, ბოლო 3 წლის მონაცემებით;

(iii) Pro Bono საათების საშუალო ოდენობა, რომლებიც წლიურად შეასრულეს ფირმის უმცროსმა, საშუალო საფეხურისა და უფროსმა თანამშრომლებმა, პარტნიორებთან ერთად (ბოლო 3 წლის მონაცემები);

(iv) გათვალისწინებულია თუ არა Pro Bono საათები ანაზღაურებადი საათების მსგავსად, და თუ ასეა, როგორია მისი მასშტაბები;

(v) ითვლება თუ არა Pro Bono აქტივობების მიმართ ადვოკატთა სწრაფვა ხელსაყრელ ფაქტორად დაწინაურებასა და ანაზღაურებაზე გადაწყვეტილებათა მიღებისას, და თუ ასეა, როგორია მისი მასშტაბები;

(vi) რა ფორმალურ სტრუქტურებს იცავს ფირმა საკუთარი Pro Bono პროგრამის სამართავად და მასში მონაწილე ადვოკატთა ტრენინგებისა და ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად;

(vii) იძლევა თუ არა ფირმა Pro Bono აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობას საშვებულებო და ნახევარგანაკვეთიანი Pro Bono პროგრამების, ასევე, სასტიპენდიო თუ როტაციის პროგრამების მეშვეობით.

<...>

ვითვალისწინებთ რა იმ თემების, ასევე, ღარიბი და უუფლებო პირების დაუკმაყოფილებელ იურიდიულ საჭიროებათა სიმწვავეს, რომლებსაც ვემსახურებით, და გვახსოვს რა ჩვენი პროფესიის შესანიშნავი ტრადიციის ფონზე მსხვილი იურიდიული ფირმების ვალდებულება - წამყვანი როლი შეასრულონ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში - ჩვენი ფირმა მოხარულია, შეუერთდეს სხვა ქვეყნების ფირმათა რიგს, მოაწეროს ხელი ამ პრინციპების ფორმულირებას და ძალ-ღონე არ დაიშუროს ქვემოთ ჩამოთვლილი ნებაყოფლობითი მიზნების მისაღწევად:

1. ჩვენი ფირმა აღიარებს ინსტიტუციურ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს თავისი ადვოკატების მონაწილეობას pro bono publico აქტივობებში. თანახმა ვართ, გავახმოვანოთ და დავიცვათ ფირმის ნათლად ჩამოყალიბებული და ყველასთვის გასაგები პოლიტიკა, რომელიც ცალსახად ადგენს მის ერთგულებას Pro Bono სამუშაოსადმი.

2. Pro Bono აქტივობების მიმართ საკუთარი ინსტიტუციურ ვალდებულების გამოსაკვეთად, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ არაუგვიანეს 2015 წლის დასასრულს, ჩვენმა ფირმამ Pro Bono სამუშაოს წლიურად დაუთმოს ფირმის მთლიანი ანაზღაურებადი საათების:

   (1) სულ მცირე, 5% ან 100 საათი თითოეულ ადვოკატზე;

   (2) სულ მცირე, 3% ან 60 საათი თითოეულ ადვოკატზე.

---

[24] მოპოვებულია Pro Bono ინსტიტუტისგან და გამოცემულია მისი ნებართვით. იხ:Pro Bono ინსტიტუტის კომენტარი დებულებაზე პრინციპების შესახებ, http://www.probonoinst.org/wpps/wp-content/uploads/LawFirm-Challenge-Commentary-2014.pdf.
ნაციონალური Pro Bono რესურსების ცენტრმა (ავსტრალიის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს და ავრცელებს Pro Bono იურიდიულ სერვისებს ავსტრალიაში) შეიმუშავა მსგავსი დებულება პრინციპების შესახებ, რომელიც მოიცავს აშშ-ისPro Bono ინსტიტუტის მიერ საკუთარი იურიდიული ფირმების Pro Bono ამოცანისთვის® შემუშავებულ ენას: http://www.nationalprobono.org.au/page.asp?from=8&id=170#LawFirm

3. შეჭირვებული მოსახლეობის იურიდიული მომსახურების განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ფირმის Pro Bono აქტივობები ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობაზე იმ პირებისთვის, რომლებიც სხვაგვარად მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნებაყოფლობითი მიზნების მისაღწევად, ვთანხმდებით, რომ ჩვენი ფირმის მიერ Pro Bono სამუშაოსთვის დათმობილი დროის უმეტესი ნაწილი უნდა მოიცავდეს იურიდიულ მომსახურებას ნაკლებშემოსავლიანი პირებისა ან საქველმოქმედო, რელიგიური, სამოქალაქო, სათემო, სამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის - იმ საკითხებში, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მიემართება მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

4. ვაღიარებთ რა, რომ სასურველია ფართომასშტაბიანი მონაწილეობა Pro Bono აქტივობებში, ჩვენი ფირმა თანახმაა, ძალ-ღონე არ დაიშუროს ზემოაღნიშნული მინიმალური მიზნების მისაღწევად და ფირმის Pro Bono პარტნიორებისა და თანამშრომლების უმრავლესობა ყოველწლიურად იყოს ჩართული Pro Bono აქტივობებში.

5. ამ პრინციპების განხორციელების მიზნით, ჩვენი ფირმა ასევე თანახმაა:

   ა. თავისი ადვოკატებისთვის უზრუნველყოს ფართო სპექტრის Pro Bono შესაძლებლობები, ტრენინგები და ხელმძღვანელობა და თითოეულ მათგანს მიეცეს Pro Bono სამუშაოს შესრულების საშუალება;

   ბ. ფირმის პოლიტიკა საკუთარი ადვოკატების შეფასების, დაწინაურების, პროდუქტიულობისა და ანაზღაურების მიმართ შეესაბამებოდეს მის მტკიცე დაპირებას, რომ წაახალისებს და ხელს შეუწყობს ყველა მათგანის მნიშვნელოვან ჩართულობას Pro Bono სამუშაოში;

   გ. თვალყური ადევნოს ფირმის პროგრესს ამ დებულებებით განსაზღვრული მიზნების მიღწევისას და ყოველწლიურად

ჩააბაროს ანგარიში როგორც ფირმის წევრებს, ისე მის Pro Bono პროექტს.

6. ფირმა აღიარებს მსხვილი ფირმების ვალდებულებასაც, ფინანსური წვლილი შეიტანონ იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ნაკლებშემოსავლიან პირებს უსასყიდლოდ უწევენ იურიდიულ მომსახურებას.

7. ამ დებულების მიხედვით, ტერმინი „Pro Bono“ ნიშნავს ფირმის აქტივობას, რომელიც, როგორც წესი, არ გულისხმობს საზღაურის გადახდას, არ ხორციელდება ჩვეულებრივი კომერციული პრაქტიკის ფარგლებში და მოიცავს: (i) უსასყიდლო იურიდიულ მომსახურებას ნაკლებშემოსავლიანი პირებისა ან საქველმოქმედო, რელიგიური, სამოქალაქო, სათემო, სამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის - იმ საკითხებში, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მიემართება მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას; (ii) იურიდიულ დახმარებას პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ცდილობენ, დაიცვან სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები, ან საზოგადოებრივი უფლებები, ასევე, (iii) საქველმოქმედო, რელიგიური, სამოქალაქო, სათემო, სამთავრობო თუ საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის - მათი მიზნების მიღწევაში, სადაც იურიდიული მომსახურების სტანდარტული საფასურის გადახდა მნიშვნელოვნად ამოწურავდა ორგანიზაციის ფინანსურ რესურსებს, ან სხვაგვარად იქნებოდა მიუღებელი.

გთხოვთ, მოაწერეთ ხელი და დაუბრუნეთ იურიდიული ფირმის Pro Bono პროექტს/Pro Bono ინსტიტუტს.

1025 Connecticut Avenue, NW, #205 ვაშინგტონი, DC 20036

202.729.6699/202.296.0303 ფაქსი,
probono@probonoinst.org; www.probonoinst.org

©Pro Bono ინსტიტუტი 2015.

ISBN 978 9941-9658-4-5